


# ლიტერატურული გზეუტი

№57 2 - 15 სექტემბერი 2011

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



ჯარჯი ფხოველი  
ეს საარაგვო

IV-V

ტარიელ ჭანტურია  
ვიკილეჰსი

VI-VII

შოთა იათაშვილი

კალიეზის შემოსევა

IX

ლაშა იმედაშვილი

ქართული მანონი

X-XI



### ზურაბ ლავრელაშვილი ხელოვანი

თუ ვინმეს ჯერ კიდევ აინტერესებს მიზეზი, რის გამოც მასტრო ბ.ბ. სცენას ჩამოშორდა, ამაოდ გაირჯება და ამ მიზეზსაც ამაოდ დაუნყებებს ძებნას ოფიციალურ ვერსიებსა თუ კრიტიკოსთა მოსაზრებებში. ვერ დაევიწყებ, სიმართლე მე ერთადერთმა ვიცი-მეთქი. ადამიანური ქცევის ჭეშმარიტი მოტივები ყოველთვის და ყველგან დაფარული რჩება, და მისი ამოცნობაც მხოლოდ ვარაუდით თუ შეიძლება. სწორედ ამიტომ, უფლებას ვიტოვებ, ვარაუდი გამოვთქვა, ვარაუდი, რაიც ამ დიდ მსახიობთან რამდენიმე შეხვედრის შემდეგ გამიჩნდა.

ბ.ბ.-ს დიდი ხანი ვიცნობდი. კარის მეზობლები ვიყავით. ჩაკეტილი, გულდახურული კაცი იყო. ურთიერთობაში ცერემონიულობის ზღვარს არ გადადიოდა — სანაინალმდეგოდ გავრცელებული აზრისა, რომლის თანახმადაც მსახიობები ქარაფუტა და უზრუნველი ხალხია. ცოლი რამდენიმე წელია გარდაცვლილი. მოგონებებს რომ არ გაეტანჯა, ძველი ბინა გაეყიდა და ჩვენს სახლში ცხოვრობდა მცირეწლოვან ვაჟთან ერთად, რომელსაც ბ.ბ.-ს მოხუცი დედა ზრდიდა. ბიჭი მშვენიერი ყმანვილი დადგა და მამასაც გაგიჟებით უყვარდა, ანებივრებდა, შეჭხაროდა. ყმანვილი მალე უბნის თვალად იქცა. თვრამეტი წლისას ბ.ბ.-მ მსუბუქი ავტომობილი აჩუქა, რომლითაც უბნის გოგო-ბიჭებს ასეირნებდა. უბედური! სწორედ ავტომობილმა იმსხვერპლა, როცა მეგობრებთან ერთად წყნეთის გზაზე მიქროდა. ეს თავზარდამცემი ამბავი სამსახურიდან მობრუნებულმა შევიტყვე და მაშინვე სამძიმრის სათქმელად გავეშურე. ბ.ბ.-ს კართან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. გზა გაიკვლიე და მიცვალებულთან გამეშებული ბ.ბ. დავინახე. სახეზე ნერვიც არ უტოკავდა, მკვდარ ვაჟს უძრავად, რალაც სიზვიადით დაჰყურებდა, თითქოს მომხდარი ვერ გაეცნობიერებინა. იმდენად არაბუნებრივი იყო მისი გაუმჟღავნებელი წუხილი, გულში ეჭვმა გამიჩაჩუნა. ეს ეჭვი შემთხვევამაც გამიძლიერა. იქვე როიალი იდგა, ზედ ჟურნალ-გაზეთები ეწყო, რომლის ალაგება ვერ მოესწროთ. ფერადი ყურნალის გარეკანს დავეხედე და კინაღამ ელდა მეცა: ეს იყო ახლახან გამოცემული ნომერი, სატიტულო გვერდზე ბ.ბ.-ს ფოტოთი — როგორც ჩანს, ჟურნალს კრიტიკული სტატია დაებეჭდა ბ.ბ.-ს ბოლო ტრაგიკულ როლზე და მკითხველის მისაზიდად გარეკანზე თეატრალური ფოტო გამოეთანა. ეს უცნაური არ იქნებოდა, რომ არა ბ.ბ.-ს სახის გამომეტყველების მსგავსება როლთან. იგივე მზერა, იგივე გამობხედვა, როგორც კლასიკური ტრაგედის გმირს შეჰფერის. დაიხ, პირველად მაშინ მივხვდი, ეს კაცი უდიდესი მწუხარების ფამსაც კი თამაშობდა. და ჩემი ეს მიხვედრა გასვენების დღეს ცხადად დადასტურდა. მასხოვს, ცივი, ღრუბლიანი დღე იყო, ქარი სახეში მტვერსა და ხმელ ფოთლოს გავყრიდა. სასაფლაოზე მოსამძიმრეთა გრძელი რიგი გაჭიმულიყო. კუბო სამარეში ჩასაშვებად რომ დახურეს, ბ.ბ. ქვითინით განერთხა ზედ, ღმუოდა, ქვითინებდა, ცისკენ აღაპყრობდა ხელებს. ხალხში ქვითინი გაისმა. უბედური მამის შემხედვარეს, შეუძლებელია, ვინმეს ცრემლი შეეკავებინა, ოღონდ... ოღონდ ეს ყველაფერი ნაცნობი და უკვე განცდილი მეჩვენა, თუმცა სხვებთან მეც ქვითინი წამსკდა და ცრემლმა თვალი დამიბინდა... მერეღა მივხვდი, იმდენად ჭაბუკის საცოდაობამ როდი ამატირა, რამდენადაც ბ.ბ.-ს დიდოსტატურმა სახიობამ... გამახსენდა, ზუსტად ასევე როგორ ღმუოდა და მოთქვამდა ერთ უცხოურ დრამაში შვილის ცხედართან დაჩოქილი მისი გმირი... მერე იმასაც მივხვდი, ამ კაცს პირადი ცხოვრება არ გააჩნდა, რალაი მძიმე სიტუაციაში ისე იქცეოდა, როგორც თეატრში შეეთვისებინა.. უეჭველია, შვილის სიკვდილი უკვე მრავალჯერ განეცადა. განეცადა იმდენად ცხადად და რეალურად, მის განცდას ახლა სიმწვანე დაპკარგვოდა — ამიტომ იყო, მისი მწუხარე-



ბა ყალბი და ზედაპირული მეჩვენა. იქნებ ვცდებოდი?! არა, არ მაგონია, რადგან ბ.ბ.-ს უცნაურმა ქცევამ, როცა დაკრძალვის მეორე დღეს თეატრში გამოცხადდა, ბევრს აფიქრებინა, რომ ეს კაცი სულით და ხორციით მსახიობი იყო... ისე ჩანდა, როლის გარეშე არსებობა არ შეეძლო და ნამდვილად არც არსებობდა, როლის გარედან ის არავინ იყო... ხელოვანს შთაენთქა მისი ჭეშმარიტი ადამიანური პიროვნება, თუმცა ვინ იტყვის, რომ თითოეული ჩვენთაგანი ამნაირი ხელოვნური ნაყოფი არ არის, გარემოსა და საზოგადოებრივი აზრისაგან დაბლარდნილი! ...ხელოვნებას ქვიშის მარცვალისგან დაემცრო ბ.ბ. — ადამიანი და მსახიობი აღეზევენა. თავად ხედებოდა თუ არა ამას?! ძნელი სათქმელია, რადგანაც ვაჟის დასაფლავების მეორე დღესვე მან კომედიური როლი ითამაშა, ითამაშა ისე დიდებულად და ბუნებრივად, რომ კრიტიკოსებმა სამართლიანად მიიჩნიეს მისი ეს ნამუშევარი ბ.ბ.-ს ერთ-ერთ უდიდეს მსახიობურ გამარჯვებად... ვეჭვობ, მაშინ ვინმეს ანგარიში გაენა ბ.ბ.-ს სულიერი მდგომარეობისათვის... მოდური ფსიქოლოგია გეტყვით, რომ ამ კაცმა მწუხარებას კომედიით მისცა სადინარი, რომ მისი ჭმუხვა და ტკივილი გაუკუღმართებული ქცევით გარდაისახა, რომ ხელოვნებამ გაათავისუფლა იგი დათრგუნვილი აფექტაციისაგან. ჰო, გაანთავისუფლა! მაგრამ ვინც სცენაზე მოხტუნავე, იაფფასიანი კალამბურებით გართულ ბ.ბ.-ს ნახავდა, იოლად ირწმუნებდა, რომ ეს ჯამბაზი სრულებითაც არაფერს ნაღვლობდა... იმის თქმა როდი მინდა, თითქოს ბ.ბ. უგულო იყო და მოყვარულ მშობლად თავს გვაჩვენებდა... ის როლით ცხოვრობდა. როლი კი ისეთი შეხვედა, რომელიც შვილის გლოვას უკრძალავდა... ბ.ბ.-ც მთლიანად დაინთქა მასში... ეს იყო ექსტაზი, ენით აუნერული მება, როცა ადამიანი აქაურობას, ყოველდღიურობას გაურბის და წარმოსახვით ცხოვრობს — უფიქრია კი ვინმეს, რას გვიშვრება წარმოსახვა? ან რად აქვს ჩვენზე ეგრე მძლავრი მეუფება ხელოვნებას?! აუცილებელი როდია, მაინცდამაინც კაცის სისხლი დაიღვაროს, რათა მსხვერპლი გავარჩიოთ... ბ.ბ. ჩემთვის შვილის მკვლეელი იყო... ერთი კვირის მანძილზე, სანამ წარმოდგენა გრძელდებოდა, მან ნაწილ-ნაწილ შესანსლა შვილი, ვითარცა კანიბალმა. ორგანოსტულ ზეიმს კი ბოლო არ უჩანდა... ეგ კია ბ.ბ.-ს შინ არ ვსტუმრებოვარ, სულერთია, დაღმეჭილი ნიღბის მეტს ვერაფერს ვნახავდი. მისი ცხოვრება ხომ მარტო მასალა იყო როლისათვის...

კვირის ბოლოს რეპერტუარი შეიცვალა. ბ.ბ.-ს ახლა დრამა უნდა ეთამაშა. პრემიერას მთელი ქალაქი მოუთმენლად ელოდა. თითქოს ბედად, ბ.ბ.-ს ისეთი როლი შეხვედა, მის ხედვარს რომ ჰგავდა, როლი დამარცხებული მეფისა, პიესის ბოლოს მკვდარ შვილს რომ დასტირის... თქმა აღარ უნდა, რა სულმოუთქმელად შევყურებდი სცენას, სადაც ბ.ბ. ტირადებს აფრქვევდა და მრისხანე მონოლოგებს წარმოთქვამდა... მაგრამ... მისი თამაში ყალბი იყო. აღარსად ჩანდა, გამქრალიყის ცეცხლოვანი ფოიერვერკი, რაც რამდენიმე დღის წინ მაყურებელს აჯადოლებდა... კრიტიკოსები მხრებს იჩენდნენ, პრემიერის ჩავარდნა ვერ აეხსნათ. არავის ენახა ბ.ბ. ასეთი უმწეო და უგემოვნო, მისი გმირი ცოცხალ

ადამიანს კი არა, უსულლო ტიკინას ჰგავდა. ორი-სამი სადამო კმაროდა, უზადო ნიჭის ჩაფერფვლის მონმე რომ გავმხდარიყავით. თავად, ალბათ ვერ გრძნობდა, რაც მოხდა, თქმას კი ვერავინ უბედავდა... მისთვის ამ მძიმე წუთებში არავის ეყო სიმამაცე, სიმართლე გაემჟღავნებინა და სირცხვილისაგან ეხსნა... პირიქით, ბევრი გაახარა კიდევ ამ ამბავმა, ისინი, ვის ნაძალადეგ მსახიობურ კარიერას წინ მთასავით აღმართოდა ბ.ბ.-ს გენია... კრიტიკოსები კი ისე იყვნენ დაშინებულნი, ქების სტატიებს ზედიზედ უძღვნიდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ, ბ.ბ.-ს საკრძალავ კოცონს ამით თითო მუგუზალს რომ უმატებდნენ... ეს კაცი უკვე აუტანელი ხდებოდა თავისი სიყალბით. დიდი მეგობრული ურთიერთობა არასოდეს გვექონია, მაგრამ მაინც შემებრაღა, მორიგი წარმოდგენის შემდეგ გავხვდეთ და საგრძნობლოდ შევედი, რათა მისი რისხვის მიუხედავად, სიმართლე მეთქვა...

სარკის წინ პატარა სეკრეტერს უჯდა, თავის ორეულს მისჩერებოდა. მერეღა გავარჩიე სარკესთან მოჩარჩოებული შავარშანი ფოტო. მისი შვილის სურათი იყო. ბ.ბ.-ც სწორედ მას შესცქეროდა, თუმცა მანამდე მეგონა, გრძნობით შეთხუზნულ თავის გამოსახულებას უმზერს-მეთქი.

ვერ დამინახა. ან იქნებ შემნიშნა, მაგრამ არ შეიძინა. ფოტო უეცრად ორივე ხელით ჩაბლუჯა და ქვითინით სეკრეტერს დაემხო. არასოდეს მომისმენია გულიდან ამომსკდარი გლოვისა და უსასოობის ამნაირი ღმუილი. რამდენიმე წამი მოგუღული ხმით ქვითქვითებდა. მერე თავი აიღო — სარკეში მის ორეულს სახეზე ცრემლით დაღარული ნაკვალევი აჩნდა და ორი მწუხარე, უნუგემო თვალი მიმზერდა.

უხერხულობისაგან ჩავახველე.



ბ.ბ. მძიმედ შემოტრიალდა სკამზე. ნაკვთები კვლავ გაუცივდა, ისევ ნიღბი გადაეკრა. ზვიადი, განურჩეველი სახით შემომყურებდა. ცერემონიულად მელოდა, რას ვეტყვოდი.

ავბლუკუნდი, ვითომ ნუგემს ვცდილობდი, ჭირს უნდა გაუმაგრდეთ, უბედურებს არ უნდა გაეთელინოთ-მეთქი, მგონი ამას ვეუბნებოდი.

„რისთვის?!“ — მკითხა სუსხიანი ხმით.

„თუნდაც ხელოვნებისათვის. თქვენ ხომ დიდი ხელოვანი ხართ“.

„ვიყავი“, — მომიგო მშვიდად, და იმ წამსვე მივხვდი, ყველაფერი იცოდა.

„თქვენ დიდი ხელოვანი ხართ. ბედს არ უნდა დაემორჩილოთ“, — დაუფიქრე უეცარი გაცხარებით, — „მერწმუნეთ, ყველაფერი არ გათავებულა“.

ჩაცვივით დამაშტერდა, მოქურუხებულ მზერაში ვითგვემის არანაირი ნიშანი არ დასტყობია, ხელი ისე გაიშვირა ფოტოსაკენ.

„მე ხომ ახლა ყოველთვის მემასხოვრება, რომ შვილი აღარა მყავს“.

გამოხედვა კვლავ მშვიდი, მკაფიო და ნათელი ჰქონდა. ახლა ის ადამიანი იყო. უხმოდ გამოვრუნდი და კარი გამოვიხურე. რალა უნდა მეპასუხა?! ერთი კვირის შემდეგ ბ.ბ.-მ ბინა გამოიცვალა და ჩვენი სახლიდან გადავიდა. თითქმის იმავე დროულად მიატოვა სცენაც, რომელსაც

აღარასოდეს დაბრუნებია, რალაი თამაში აღარ შეეძლო — მან ხომ ზედმინეწვით განიცადა ცხოვრების დრამა, რომელიც ყველა როლს აღემატებოდა სიმართლით.

### ბრძოლა

ბიძაჩემი ომგამოვლილი კაცი იყო, თუმცა სრულებით არ ეთანხმებოდა საყოველთაოდ გავრცელებულ და შინაარსით ბელეტრისტულ თვალსაზრისს, კაცთა კვლას ჰეროიკული შარავანდელით რომ მოსავს.

„ომი მძიმე გარჯაა“ — უთქვამს ხშირად, — „რა გასაკვირია, თუ განაზებული და უნებისყოფო ხალხი ამას ვერ უძლებს“.

ამ სენტენციის დასტურად ერთი სახასიათო შემთხვევის გახსენებაც უყვარდა, რასაც უცვლელად იმეორებდა საოჯახო წვეულებებსა თუ ნადიმებზე. წლები გავიდა და ეს ამბავი მიმავინცდა, — მხოლოდ ახლა, როცა იგი ცოცხალი აღარაა, ვნდები ამ ისტორიის ჭეშმარიტ არსს, — რატომღაც მგონია, ბიძაჩემი ამას ჭკუის სასწავლად გვიყვებოდა.

აი, მისი ნაამბობი:

„1944 წლის დეკემბერში რუსულმა არმიამ ბალტიისპირა ფრონტი გაარღვია და შემელი აიღო. მოტომსროლელ პოლკში უმცროს ოფიცრად ვირიცხებოდი, რაც ცუდად ეხამებოდა ჩემს ფილოლოგიურ განათლებას. ძველგერმანული ყიდიის პატარა ქალაქი მძიმე ბრძოლის შემდეგ დაგვინებდა. აგურით ნაშენი ორ და სამსართულიანი, მუქი კრამიტით დახურული სახლები ყუმბარებსა და ჭურვებს თითქმის დაენგრია. აქა-იქ თუ მოჰკრავდი თვალს ფანჯარაში შემოდგომულ ნემსინვერას ქოთანს, წარსულის კმაყოფილ ცხოვრებას რომ მოწმობდა. უკვე ბინდებოდა, როცა სამხედრო შტაბი რატუშაში დაბინავდა. რატუშის წინ თოვლით აზელილ და დათხრილ მოედანს საიდანლაც მოფრენილი ყვავები დასტრიალებდნენ. ყვავებს საპატიო ნადავლი თუ იზიდავდა — ფარნის ბოძებზე მაგისტრატის ათიოდე წვერის გვამი ეკიდა. მტრის განაჩენისთვის დაესწროთ და თავი ყულფში გაეყარათ. სუფთად გაპარსული, მავსერთუყიანი მაგისტრატები რალაც ავბედით მუქ ლანდებზედ მოჩანდნენ საღამოს ცაზე. ომის დროს მიცვალებულთა მეტი რა მინახავს, მაგრამ ამ უტყვი თვითგანაჩენის ხილვამ მაინც დამზაფრა. ჩემი იმჟამინდელი სულიერი განწყობა რომ წარმოიდგინოთ, უნდა იცოდეთ, ბედმა რა საზარელ მხარესაც გადამაგლო. ეს მუდამ მოქურუხებული გარემო, გაუნელებელი ჩრდილოური მწუხრი, დაულამებელი დღე თუ გაუთენებელი ღამე, ზღვის ტყვიისფერი სივრცე, ძვლის დამაზრობელი ყინვა გულს ჩაფესვილ შავნაღვლიანობას უფრო მიორკეცებდა. მეგონა, დედაჩინა აქ თავებოდა (წინააღმდეგ ასტრონომიისა, მის სიმრგვალეს რომ გვარწმუნებს) და ვეღარც მე გავალწვედი ამ წყეული ქალაქიდან.

როგორც უკვე ვთქვი, სამხედრო შტაბი რატუშაში მოთავსდა, მოედანს იქით კი, დანგრეულ თეატრში — საველე ჰოსპიტალი. შეგვეძლო ღამე დაგვეცვენა. გერმანელები განთიადამდე შემოტყვას არ ნამოინწყებდნენ. შებინდებისას პოლკის უფროსმა მიხმო და ქალაქის ერთ-ერთი გარეუბნის შემოვლა დამავალა. ამგვარ პატრულს სარდლობა ხშირად მიმართავდა, რათა დაღლილ მეომრებს სანგარში არ ჩასძინებოდათ და არ გაყინულიყვნენ. გერმანელებზე მეტად ჩრდილოეთის ყინვა გვცველავდა, განსაკუთრებით სამხრეთელებს.

ცაზე უკვე ვარსკვლავები იმციმებდნენ, როცა რატუშიდან გამოვიდდი. ბინდი გაიყარა და ზღვამდე მოკირჩხლებული იაქთანაღი გადგიჭიმა. თოვლიანი მინდორი გავიარე. სანგრებს მივუახლოვდი. ვიცოდი, ამ პოზიციაზე მცირე ქართული ნაწილი მორიგეობდა. ბიჭები გავამხნევე. გავაფრთხილე არ დაეძინათ, მაგრამ ორი საათის შემდეგ, როცა უკან მოვბრუნდი, ბევრი მათგანი სანგრის ძირას მიყუჟული თვლემდა.

იმ ღამით რამდენჯერმე მომიხდა ჯარისკაცების გაღვიძება, თუმცა დაღლილობით თავადაც თვალი მებლიტებოდა. შუალამისას ყინვამ მოუჭირა. ბრძოლის შემ-





დეგ ყოველივე მიჩუმდა. მერე თოვა დაინ-  
 ყო. სიცივით გათანგული, ქანცგან-  
 ყვეტილი მეც სანგარში მივეგდე — ძალა  
 აღარ მყოფნიდა, შენებებული ქუთუთოე-  
 ბი გამეხილა, თოვლის შრიალი ნანასავით  
 ჩამესმოდა. ვგრძობდი, რა შემპარავად  
 მაზრებოდა ხელ-ფეხი, სულში კი საოცარი  
 სიმშვიდე და სიკარგილე ივანებდა — არ-  
 ყოფნის ტკბილი და მსუბუქი განცდა, როცა  
 სხეულს შორდები და აზრით ცად მიილტვი.  
 ნელ-ნელა მავინყდებოდა, ვინ ან რა  
 ვიყავი. მავინყდებოდა ომი, ჩრდილოეთის  
 უდაბურება, გარეგანი მზერა დაიხშო, სა-  
 მაგიეროდ იქ, შიგნით განათდა რაღაც  
 მქრქალად. „დასთმე მანდაურობა,  
 შეუერთდი ღამეს, ეზიარე არყოფნის სიხ-  
 არულს!“ — ჩამჩურჩულებდა ვიღაც, თუ  
 თოვლს ჩამოჰქონდა ეს მონოდება ციდან!  
 არ გამიკვირდებოდა, ფიფქად ქცევა რომ  
 მომენდომებინა, ფიფქად, მინაზე დაფენი-  
 სას რომ დენება.

შეხება ვიგრძენი. ვიღაც ნამომანყდა.  
 თვალი გავახილე და შაშხანიანი ჯარისკა-  
 ცი დავინახე. მეცნო და ვერც მეცნო.  
 ჯარისკაცი მიბრუნდა, ნაფლატუნდა. მის  
 მოხრილ ზურგს მზერა გავაყოლე. სანგრის  
 ბოლომდე რომ მივიდა, შემობრუნდა და  
 ისევ ჩემკენ ნამოვიდა. შაშხანი მკვდარი  
 ბავშვივით ესვენა მკლავებზე. გამიკვირ-  
 და, რასა იქმს-მეთქი.

„ჰეი, ძმობილო, რად დაიარები?“ —  
 ვკითხე, როცა გამიპირდაპირდა.

შეჩერდა, დადგა.

„გავიყინები“ — მომესმა მისი ბლუკუ-  
 ნი.

ახლად ვიცანი. ერთი ტლუ ჯეელი  
 იყო, იმდენად უბირი და უნდო, სახელიც  
 არ ახსოვდათ მისი. ბიჭები დაცივნილი ქიტე-  
 სას ეძახდნენ, ეს კინი მეტსახელი მარ-  
 ტლა შეეფერებოდა მის გონებრივ სიყრუეს  
 და უფიცობას. წერა-კითხვა არ იცოდა და  
 არც რაიმე გაეგებოდა ამ ქვეყნისა, ომში  
 იმ თავისი ყანიდან თუ ვენახიდან ნამოყ-  
 ვანათ, რუსულის არცოდნამ კინაღამ იმ-  
 სხვერპლა. გამახსენდა, როგორ უმიზნებ-  
 და რუსის ოფიცერი რევოლვერს, რაკილა  
 ამას ბრძანება ვერ გაეგო და შეტევაზე არ  
 წასულიყო. მაშინ ვიხსენი, ოფიცერს კლან-  
 ჭიდან გამოვტაცე.

აი, ახლა ეს ქიტესა ნამდგომოდა თავს  
 და რაღაცას მეტლუკუნებოდა, მარტო იმას  
 მივხვდი, თუ არ ვიმოდრავებ, გავიყინები,  
 მეუბნებოდა.

დაქანცული მზერა მის ურჩ შუბლზე  
 შევაჩერე.

„შენ რა ამათზე უკეთესი ხარ?“ — ხელი  
 მძინარეებისკენ გავიშვირე, — „თუ ამათ  
 სძინავთ, შენც დაიძინე“...

არ ვიცი, ეგ რამ მათქმევინა, იქნებ იმან  
 გამახსენა, ჩემი ნება-სურვილის გარდა ამ  
 ქვეყნად კიდევ რომ იყო ვიღაც, ვინაც  
 ცის მონოდებას არ ემორჩილებოდა! აკი  
 მეგონა, არყოფნის ნადილი საყოველთაო  
 იყო! ვხვდები, ჩემი ფილოლოგიური განც-  
 და გახდა ამის მიზეზი, იმასაც მივხვდი,  
 ოღონდ მოგვიანებით, თავად მე რომ და-  
 ემორჩილე სხვათა ნებას და მეც იმ მძინა-  
 რეებივით ნელი-ნელ ვიყინებოდი, როცა  
 მათი ხსნა მევალებოდა. ჰო, ამან გამახ-  
 სენა, ჩემმა უნებისყოფობამ, რაიც მისტი-  
 ური განცდით შევფერე და გავამართლე.  
 ახლა კი ჯავრს ამ ტლუ გლეხის ბიჭზე ვიყ-  
 რიდი.

„რას მომჩერებიხარ, ვერ  
 გაიგე?“ — თითქმის ვულრიალე  
 ბრაზით ატანილმა, რაკი ისევ მორ-  
 ჩილად იდგა და ელოდა, რას ვიტყ-  
 ვოდი. ალბათ, ჩემგან დავალეზულად  
 მიაჩნდა თავი და იმიტომ არ იძვრო-  
 და, ვერ გაეგო, რისთვის გან-  
 ვურისხდი ასე ანაზღად, — „ნადი,  
 დაიძინე! სიკვდილის უამია! მორჩა,  
 შინ ვედარ დაბრუნდები. აქ უნდა  
 დარჩე“.

შაშხანი და ფეხი მოინაცვლა.  
 აბაკუნდა.

„გავიყინები“ — გავიგონე ისევ.  
 მერე მიტრიალდა და ნაჩანჩალ-  
 და. თვალი მიმელულა, მაგრამ  
 უცებ გამოვფხიზლდი. ძილი  
 გამიკრთა. სანგრისგან ამოვდდი.  
 შეუგნებლად გავემართე რატუში-  
 საკენ. მაგისტრატები ისევ იქეკიდ-  
 ნენ. მხრებზე ყვავები ასხდნენ.  
 დიდხანს ვიდექი მოედანზე, სანამ  
 გუშაგმა არ შემომძახა. იძულებუ-  
 ლი ვიყავი, მეპასუხნა.

ღამე შტაბში გავათიე. დილით  
 კი, რიფრაფისას, როცა პოზიციაზე გას-  
 ლის დრო იყო, კიდევ ერთხელ შევავლე  
 თვალი მაგისტრატებს. მოგვიანებდა ნა-  
 ძიძგნით, ღირსება დაჰკარგოდათ. მათი  
 შეხედვა აღარ მალეღებდა.

ინათა, თუმცა ვერ გაიგებდი, ჩრდილ-  
 ოური მწუხრი გრძელდებოდა თუ რიფრაფი  
 დადგა. სანგარში მისვლამდე ვიცოდა, რაც  
 იქ დამხვდებოდა. მოგვიანებით შევიტყვე,  
 დანაკლისი მართლაც დიდი იყო. ოღონდ  
 მაშინ ამაზე როდი ვფიქრობდი — თხრილს  
 მოვუახლოვდი და მოლოდინით შევჩერდი.  
 სანგარი თოვლს გავსუდრა. ზეცას თავისი  
 მონოდება აესრულებინა, ახლა აქ ძილის  
 ნაცვალს მიეფობდა. ტრიალ მინდორს მზ-  
 ერა მოვატარე. სულიერი არ ჭაჭანებდა,  
 თითქოს ქვეყნიერება უკვე აღესრულაო.  
 გაყინული ზღვა და დაბურული ჰორიზონ-  
 ტი ჯოჯოხეთის ბჭესავით ჩანდა. დაახ, ად-  
 ამიანთა მინა აქ თავდებოდა. ამ ჩრდილო-  
 ეთის შოლში, პოლარულ ჰადესში, სადაც  
 ბუნების ჩვეული კანონიც კი დარ-  
 ლევეულიყო და დედამინა ბრტყელსა და  
 ოთხკუთხა უნონადო ნაჭერს ჰგავდა.

თოვლის ჭრაჭუნს მომესმა.  
 მოვიხედე.

ფიფქით დაზვიინული და მხრებში  
 მოხრილი არსება მოაბიჯებდა სანგარში.  
 შაშხანით ვიცანი. ქუდსა და უღვაშზე თოვ-  
 ლი შეჰყინვოდა. მაინც მოდიოდა, გლეხური  
 ფლატუნით, უშნო რნევით, მოკუზული.  
 დამინახა და შედგა. მცირე ხანს ერთმანეთს  
 შევყურებდით, როცა უცებ გერმანელთა  
 მხრიდან ქვემეხმა იგრილა. ჰაერი თითქოს  
 ზენარითვით გაიხა. ჭურვი სანგარს იქით  
 აფეთქდა.

— დანექი, სულელო! — დამიყვირა  
 ზურგიდან ნამოსწრებულმა კაპიტანმა —  
 ვერ ხედავ, ბრძოლა დაიწყო.

კაპიტანს ღიმილით შევხედე, დამარც-  
 ლით ვთქვი.

— ბრძოლა გათავდა, ჩემთვის უკვე გა-  
 თავდა.

კაპიტანმა გავკვირვებულმა შემო-  
 მიკურთხა. ცხადი იყო, ვერაფერს მიმიხ-  
 ვდა. არადა, ეს იყო უსასტიკესი ბრძოლა,  
 რომელშიც გავიმარჯვე.“

### საფული

ზომბჰერი ისე ხდებდა, კაცი ნუთი-  
 სოფელს გალევს, მაგრამ ღვთის ნყალობას  
 ვერ ეღირსება. უფლის საჩუქარი მოუხ-  
 ელთებელია, უცოდნელი. არავინ იცის,  
 როდის გვებოდება. ამის გამო მოუშადა-  
 ბელნი ვხვდებით და ხშირად ხელიდან გვე-  
 ცლებთ.

ერთი შემთხვევა მინდა გიამბოთ. ჭა-  
 ბუკობისას გადამხდა თავს და დღემდე  
 ღრმა ჭრილობად გულს მამჩნევია. იმხანად  
 სტუდენტი, არდადეგებზე ქობულეთში  
 მივემგზავრებოდი მეგობართან. აგვისტოს  
 ცხელი საღამო იყო, მატარებელი  
 თბილისიდან რომ დაიძრა. ჩემი თანამგზა-  
 ვნი, ხნიერი ცოლ-ქმარი ქვემოთ მოთავს-  
 და სანოლებზე, მე კი ზემოთ ავიყვირი. სარკ-  
 ელი ჩამოვნიე. კუბეში ბული იდგა, სუნთქ-  
 ვა ჭირდა. მცხეთას გავცდით და ჩამობ-

ნელდა კიდევ. ვაგონის ჯაგჯავამა კარგა  
 ხანს არ დამაძინა. მერე, როგორც იქნა,  
 ჩავთვლიე. დროდადრო სადგურთა ლამ-  
 პიონები ანათებდნენ ბნელში. მათი შუქი  
 თვალს მჭრიდა, მაგრამ ძილს თავს მაინც  
 ვერ ვართმევდი. სადგურს გავცდებოდი  
 თუ არა, მაშინვე მეყვინებოდა. მაგრამ  
 ერთხელ უეცრად გამეღვიძა, თითქოს ვინ-  
 მემ მიბრძანაო. ძილში მომჩვენა, მეძახ-  
 ნენ. თვალი გავახილე. შუალამე გადასული  
 იქნებოდა. უცნობ სადგურზე ვიყავით. არ  
 ვიცი რად, მაგრამ ტანზე ცივმა ოფლმა  
 დამასხა. შიშით გული მეკუმშებოდა. ჩვენი  
 ვაგონი სადგურის მოშორებით, ბნელში  
 იდგა. სიბნელე შემაშფოთა. სადგურის  
 მხრიდან ჩვენამდე შუქის არილი აღწევდა,  
 ოღონდ, ამის გამო სიბნელე უფრო საზა-  
 რელი იყო. მოულოდნელად ბიძგმა შემახ-  
 ტუნა. ზარდაცემული ნამოვიჭერი. თავი  
 ტიხარს შევახლე. კვლავ ჩემი სახელი მო-  
 მესმა, ვიღაც მიხმობდა და მაფრთხილებ-  
 და. მაგრამ ხმა სუსტი იყო. მხოლოდ  
 შორეულ ექოდ მწვდებოდა.

მერე მატარებელი დაიძრა. ლოგინზე  
 გავიმოტე, ნიკაპით ბალიშს დავეყრდნე.  
 სიბნელე მიზიდავდა, ვგრძობდი, რაღაც  
 საშინელება უნდა მომხდარიყო, მაგრამ  
 სადგურზე სინყნარე იდგა. მატარებელმა  
 დიდ, ყვითელ შენობას ჩაურა. ლამპიონები  
 ნელა გაცურდა ბნელში. შვებით ამო-  
 ისუნთქე. გული გამიხალვავდა. დღის შუქი  
 ყველგან ერთნაირია, მაგრამ ღამე, ის  
 ღამე... ხშირად განიცდი ღამის მზაკერუ-  
 ლი შემოტევა — შორს დარხეული ბგერა,  
 ფოთლის შრიალი, წყლის ხმაური თუ ჭოტის  
 კივილი კმარა, რომ თმა ყალყზე დამიდ-  
 ეს. ვინ გამოიცნობს, ღამე რად გვამინებს?  
 ან თავად შიში რაა? იქნებ შიში ბი-  
 ოლოგიური სიგნალია, საფრთხეს ნინასნარ  
 რომ გვატყობინებს, მაგრამ მაინც მგონია,  
 იმდენად ხიფათი არ გეზაფრავს, რამდენა-  
 დაც სამყაროს იდუმალება — ბნელში ცხა-  
 დი ხდება, რა უმნეო და უსუსურნი ვართ.  
 უამრავი ვარსკვლავი თითქოს სასიგნალო  
 ციმციმად ლაგდება ჩვენი გონების ჰორი-  
 ზონტზე. ვგრძობთ, მინას მიჯაჭვულნი  
 რომ ვართ და ვიღაც თვალს გვაღვევებს.



სწორედ ეს უჩინარი თვალთვალ და  
 მიყურადება გეზაფრავს. ღამე ათასი  
 საცეცით გვეჭიდება, ზღვის რვაფეხასავ-  
 ით. ღამე სულს გვიცარიელებს, მაგრამ სა-  
 მაგიეროდ აღარაფრით გვავესებს. ვინ  
 დაიკვებნის, რომ შეუძლია შეებრძოლოს ამ  
 დამთრგუნველ ელდას, რასაც ბნელი სიფრ-  
 ცის ფეთქვა აგზავნის ჩვენამდე? ნელა და  
 უჩინრად, ოღონდ დაჟინებით და შეუწყვეტ-  
 ლად აღწევს ეს ფეთქვა ჩვენს არსებამდე.  
 სამყაროს შეკუმშული გული ცივი ტალღით  
 ავსებს ჩვენს დაჭიმულ ნერვებს და თუმცა  
 ამ დროს ქვეყნიერების თანაზიარი ხდები,  
 თავს იოლად ჰკარგავ. მაშინ ხვდები, ამქვეყ-  
 ნად სიკვდილი არ არსებობს, რადგან ყვე-  
 ლა და ყოველი შენშია, შენი ნილია, ისევე,  
 როგორც შენ — იმათი. საოცარია, მაგრამ  
 ბნელი გონის ნიალია, საბრალო, მინიერე-  
 ბით დამძიმებული გონებისა, შეუცნობელის  
 შეცნობას რომ ლამობს, მაგრამ გახვევები-  
 სა თუ გაშეშების მეტს ვერაფერს ახერხებს  
 — მეც უძრავად ვინეკი ოფლით სველ ზე-  
 ნარზე და ვგრძობდი, ერთდროულად გო-  
 ნიერიც ვიყავი და უგზურიც. რაღაც მნიშ-  
 ვნელოვანს ველოდი. მატარებელი სად-  
 გურს გასცდა. იმედს გამიცრუდა. გულად-  
 მა ამოვტრუნდი და სწორედ ამ წამს ღია  
 ფანჯარაში რაღაც შემოფრინდა. იმ რაღა-  
 ცამ ყურთან ჩამიქროლა, იატაკზე რბილად

დაეცა. შეძრწუნებულმა ზენარი წავი-  
 ფარე. უჰაერობით ვიხრჩობოდი, მაგრამ  
 თავის ამოყოფას ვერ ვებედავდი. მერე  
 თანდათან დავწყნარდი. ძირს ჩამოხედ-  
 ვა მაინც ვერ შევძელი. გული გამიდიდ-  
 და, გამებერა, სისხლის ტიკად მექცა.  
 სულს ძლივს ვიბრუნებდი. ჰაერი აღარ  
 მყოფნიდა. ვაგონის რწევა ნელ-ნელა  
 მამშვიდებდა. მკერდზე ხელი დავიკრივე,  
 თვალი დავხუჭე და მალე ჩამეძინა.

დილით თანამგზავრების ხმამ გამა-  
 ღვიძა. ძლივს გამოვფხიზლდი. ნუხანდე-  
 ლი განსაცდელი ღამეს ნაელი. ვაგონის  
 სარკმელში მწვანე გორაკები მოჩანდა.  
 კუბეში გრილი ნიავი ტრიალებდა. კარგა  
 ხანს ვინეკი, ძალის მოზღვავებას  
 ვგრძობდი.

გამცილებულმა კარი შემოაღო. მგზა-  
 ვრები აფუსფუსდნენ. ჩაცმის დრო იყო.  
 სანოლიდან ნამოვიწიე და ცოლ-ქმარს  
 მივესალმე. ხნიერმა კაცმა მიპასუხა,  
 ქალბატონს კი მზერა იატაკისთვის მიე-  
 ბჯინა და ხმა არ გამცა. სანოლიდან გა-  
 დავიხარე და იმ ადგილს მეც დავაკვირ-  
 დი.

იატაკზე მოზრდილი საფულე ედო.

— თქვენია? — მკითხა ქალბატონმა.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

— ალბათ, ნუხელ გადმოგივარდათ!  
 — თავგამელოტებულმა ხნიერმა კაცმა  
 ამომხედა, — გავიგონე, როგორ დაეცა,  
 გეძინათ და აღარ გაგაღვიძეთ, თორემ  
 მამინევი მივხვდი, თქვენი რომ იყო.

— რას ბრძანებთ, საფულე არასოდეს  
 მქონია! — სანოლიდან ჩამოვხტი და  
 სამგზავრო ჩანთას ნაწვნი, — კარგად  
 ბრძანდებოდეთ, ჩემი ჩასვლის დროა!

მელოტმა კაცმა საფულე აიღო და  
 გახსნა.

მსხვილი ასიგნაციები გამოცვივდა.

— იქნებ ვინმეს დარჩა! — ვთქვი და  
 კარი გამოვალე. პასუხისთვის აღარ მო-  
 მიცდია. ხალხით და სიცოცხლით ვიყავი  
 სახვე. მატარებელი ბაქანს უახლოვდე-  
 ბოდა. კიბიდან ჩავხტი და ჩემი მეგობარი  
 დავინახე. შეხვედრამ ნელანდელი ამბავი  
 გადამავინყა. ბრბოში გზა გავიკვლიეთ,



\* \* \*

წარსულმა დარდით უნდა გაგთელოს:  
იმის შავ დღეებს ცრემლებს მიაშლი!  
იქ შაჰ-აბაზი გულ-საქართველოს  
სისხლს დალევს ქროლა ისტორიაში!

მოდით, წარსულზე ჯავრი ვიყაროთ,  
აქ როსმე ფრენდი ნისლში ნამალი,  
დღეს ფრთებდალენილს გაეხარ იკაროსს,  
უფრთებოდ ფრენა ძნელი რამ არის!

სისხლმა დაშალა ძველი ქვითკირი,  
აქ აგმართავენ, სულ სხვა ქვითკირო!..  
გულო, რამდენი რამე იტკინე,  
შენ ის წარსულიც უნდა იტკინო!

აქ გადაგინვეს გულის ადგილი,  
შენი დღეშავი: მინა უნამო...  
მიდი, ჩვენს წარსულს ფეხი დაადგი,  
გეპატიუები აქეთ, ცუნამო!

**მარტყოფი: მანანას საფლავთან**

მთვარის ცაზე  
დედამინა მიახატა  
უცხო ვინმე პოეტის ხელმა...

ელავს ლამეში სხივ-ანბანი, სხვაპლანეტური.

დედამინის ღრუბლები და ვარსკვლავები  
სავსე მთვარის ფერმიხილ ცაზე...  
დედამინის ყელგამშრალი მდინარეები...

The Rawen:  
ყორნის შავი ყრანტალი,  
მთვარის ცაზე გადაფენილი...

ვისი კენესა მოდის ჩემამდე,  
ვისი სიტყვა: ცადმავალი, დაუშობელი?

შავო ფრინველო,  
შეხედე ერთი:  
მთვარის ცაზეც ირეკლება  
დედამინის შური, მტრობა და სისხლისდენა...

და ისიც აღარ გამიკვირდება,  
რომ სადმე  
მთვარის უღრუბლო ცაზე,  
მისი სახელი რომ გაილანდოს:  
დედა ნანა, თვალცრემლიანი,  
მთვარის პოეტის ლექსებს რომ უსმენს  
ჯარჯი ფხოველის  
პოეზიის უარმყოფელი...

ვიცი: შეგაკრთობს მთვარის თეთრ გულზე  
ჩემი სიტყვის ანარეკლი, ცისიქითური...

ეხლა ჩემს სახელს რომ ახსენებ,  
გაიხსენე შუაზამთარი:  
პირმოკუმული და უპირქუბო...

მარტყოფის მინას რომ დავეუტოვე  
ჩემი გულის ბაგაბუგი, ბედისწერული!

აჰა, ყორანი: ჩემი ბედის შავი მიმინო  
მთვარის ციდან დამჩერებია...  
რა გინდა-მეთქი, ვეკითხები  
და ხმას არ იღებს!

ხომ წაიყვანე ის, ვინც ქვეყნად  
დამიკეტა გულისკარები!  
ის, ვინც ეხლა მთვარის ციდან დამყურებს და  
მესაუბრება  
მთვარის პირთეთრ პოეზიაზე.

რა გინდა-მეთქი, ვეკითხები  
და ხმას არ იღებს!

შავი მიმინო, კლანჭისხლიანი,  
დამყაყაშებს  
აქ მარტყოფის სისხლისღერის მაცნე...  
თითქოს მამადლის მარტყოფის მინას:  
იქ დატოვებულ ძვირფას სამარეს!..

რა გინდა-მეთქი, ვეკითხები,  
გადაიფრენს და ხმას არ იღებს!

ოღონდ არ მითხრა: „nevermore“,  
ჩემთვის ცაში გადანახული  
ეს მწარე სიტყვა არ მომიგდო:  
შავი კენესა ბედისწერისა...

გეუბნები: აღარ მითხრა: „nevermore“ ...  
ისედაც ხომ ნათელია სუყველაფერი!



**ჯარჯი ფხოველი**

**P.S.**

აქ გადატყდა ლერწმის ღერო,  
იყო ბედის გულთან შებმა...  
აქ გადატყდა ლერწმის ღერო,  
მთვარის ცაზე მოკვდა წერო,  
მე კი შენზე უნდა ვწერო:  
გადმოვხატო, გადმოვწერო  
ავი ბედის გულთან შებმა...  
მთვარეზე ხარ: შენ გიმღერონ  
ეხლა მთვარის პოეტებმა!

**ვინც ამაღლდა**

აქ რომ იტყოდნ სადღეგრძელოს გულისჩამჯიღვით:  
ვინც ჩაიარა და ველარ ამოიარაო...  
ვინც ჩაივლის და ველარ ამოივლისო...

მაგრამ არწივს არ ჩაუვლია,  
ის ამაღლდა საკუთარი ფრთების წრებზე...  
ასცდა დიდბორბალოს,  
ასცდა ღრუბლებს,  
ასცდა სამშობლოს მაღალ ზეცას...  
ასცდა ცაში ტოტებგადგმულ უღრანის წვერებს...

არა, არწივს არ ჩაუვლია:  
ის ამაღლდა, ის ამაღლდა, ის ამაღლდა და...

ეხლა ჟიპიტაურით სავსე ყანწზე  
თვალეზდახრილი წამებულისაგან  
ამგვარ რამეს თუ გაიგონებ:  
ვინც ამაღლდა, ეხლა იმას გაუმარჯოსო,  
ვინც ამაღლდა, ეხლა იმას გაუმარჯოსო...

ვინც ამაღლდა,  
ვინც ამაღლდა,  
ვინც ამაღლდა,  
მოდით,  
იმას გაუმარჯოსო!..

**ის საარაგვო**

და კურუმკურუმ... და ოკრობოკრო...  
ეს საარაგვო ოქროა, ოქრო!..

დავესესხები რითმას ილიონს,  
დავესესხები ბებერ ბარაკონს...  
საშოთაოა და საილიო,  
საარაკოა და საარაგვო!

ბოლს დააყენებს ძველი ვარამი,  
მტერს დააბრუებ ცეცხლით, მაჟარო!  
საგურამოა და საგვარამო,  
საყაზბეგოა და სავაჟაო!..

და კურუმკურუმ... და ოკრობოკრო...  
ეს საარაგვო ოქროა, ოქრო!..

საგურამოა და სასაბაო,  
საგვიარგო და სადავითო...  
ხედავ: ვილაცის ცხენი აბია  
აქ ისტორიის გრძელი სადავითო...

გულო, ძველისძველ დარდთან საუბრობ:  
აქ ძველი დარდით უნდა დავითრო!  
მინა: სამზეო. მინა: საუფლო.  
საფარნავაზე და სადავითო!..

და კურუმკურუმ... და ოკრობოკრო...  
ეს საარაგვო ოქროა, ოქრო!

\* \* \*

ჩემს ზოგიერთ ლექსს,  
ყმუილით ნათქვამს,  
ვიცი, მხეცებიც წაიკითხავენ!

და იგრძნობენ  
და გაიგებენ,  
როდის ყმუიან პოეტები  
და მგლის ხახა როდის ეხსენებთ!

ჩემს ზოგიერთ ლექსს,  
სინანულის ცრემლებით ნათქვამს,  
შენც წაიკითხავ მაშინ,  
როცა ჩემი ცხვირი  
ეშმაკის სახნისივით  
შენს სიზმარში გაილანდება!

როდის ყმუიან პოეტები,  
სინანულის მწარე ცრემლებს  
როდის თესავენ  
თავის პირქუშ გზისნაპირებზე?!

**სხვა არწივი**

დღეს შენ ხარ სულ სხვა არწივი:  
ტკივილს ითმენ: არ წივი!..

ძველს იხსენებ დაჯახებას:  
შესული ხარ ომში ასჯერ!..  
ეხლა ფრთები დაგაჭრეს და:  
საქათმეში იხდი სასჯელს!..

ეხლა სულ სხვა არწივი ხარ!..

**წლებმა**

წლებმა მოგახვიეს თოვლიანი ღრუბლები:  
შენი ნილაბი თეთრად გადალბეს...

ძილიც გაძვირდა თრიაქივით...  
შეგძულდა შემზარავი სიზმრების ყურება.

ხანდახან ნაცნობ სიტყვასთან წაიყბედებ:  
გაიხსენებთ პოეტების მიუსაფრობას,  
იმათ ცრემლებს,  
იმათ კენესას,  
სისხლის დენას, დაუსრულებელს...

ხანაც შხამიან მოგონებებს დაემგზავრები:  
დრო დაგადვენებს  
ჩანაცრული წარსულის ამბავს...  
და კიდევ ერთხელ სისხლის ცრემლით დაიბნკალები  
და შენს გულშიც კიდევ ერთხელ ჩაიღვრება  
გამდნარი სიტყვა...

წლებმა მოგახვიეს თოვლიანი ღრუბლები:  
შენი ნილაბი თეთრად გადალბეს...

**პოეზია: ვითომ ოპტიმისტური**

აქ მოვლენ, მაგრამ ვერ დაანგრევენ  
ქართული სიტყვის ციხესიმაგრეს:  
მარტო ის დარჩა  
საბოლოოდ აუღებელი!

ისტორიის პირშავ ურდოებს  
ის კავკასიის კედლებივით  
წინ ეღობება!

ისტორიის ნატერფალში დაყრილო ქვიშავე:  
მძივო,  
ასხმულო ჩემი გულის არტერიებზე! -  
დამივიწყეო,  
რომ მეხვეწები,  
ვცდილობ,  
მაგრამ ველარ გივიწყებ!..

არაგვმა გუშინ ცა გამოორიყა:  
გამორიყა ჩემი გულის არტერიები...  
გამორიყა უხილავი სტრიქონები:  
ცის ფურცლებზე მიწერილები -  
ისინი ხომ  
ისტორიის დარდს აცხადებენ!  
თან რომ მოაქვს ერთი ბრძანება:

სამშობლოს მინის ქურდო, შენ  
გიხმობენ ოქროს ურდოში!

კარგად ვიცი, რომ არ შეხორცდება  
ამ ლექსის ტანზე  
ძველისძველი ნაბზარები:  
ძველი ნახმლევი,  
ნახანჯლარი,  
ნალაჯივი!..



ანდა: არაგვის გამორიყულ ცას  
რა გაამთელეს, ერთი მითხარი!

დაჭრილი გული შევანჯღრიოთ,  
გავიხსენოთ  
გურამ ციხელაშვილის  
ღვთაებრივი ბალახები:  
ნაგროვები შორს,  
უდაბურ არაბიჯაში...  
კიდევ უფრო შორს,  
კიდევ უფრო შორს:

ცასთან ახლოს  
და ცაზე მაღლა!..  
იქ, სადაც ბავშვი არაგვი მღერის  
და თვალს იბანს  
მთების ნიავეთ...

სამშობლოს მიწის ქურდო, შენ  
გიხმობენ ოქროს ურდოში!  
ეს სტრიქონებიც ხომ არაგვმა გამორიყა,  
ეს სტრიქონებიც და კიდევ სხვებიც...

ეხლა გულში  
ისტორიის შემოდგომაა...

მოდი, ეს სიტყვები წავანეროთ  
საქართველოს ერთერთ დროშაზე:

სამშობლოს მიწის ქურდო, შენ  
გიხმობენ ოქროს ურდოში!

თან მივხატოთ დავითის ხმალი:  
საქართველოს შემრგებელი!!!

**აქ აღარ ხარ...**

ხმალი ლესე, გული ხარშე  
ამ ნანგრევში, ნაცხარში...  
სულ ამაოდ დაგეძებ და:  
აქ აღარ ხარ, ცაში ხარ შენ!

იმ ცაში ხარ, სადაც სიზმრის  
უცხო გზები მოგძებნიან...  
სად ვარსკვლავის,  
სადაც მთვარის  
და ღრუბლების ძონძებია...

ამ მიწაზე გული ხარშე,  
ამ ნანგრევში ნაცხარში...  
სულ ამაოდ დაგეძებ და:  
აქ აღარ ხარ: ცაში ხარ შენ!

**ნაკაპი**

სულ მცირე ჟამი გეკუთვნის:  
არ მოგცეს წელი ასიო!

აქ ძველებს რო ჩაუფარდათ,  
ის სიტყვა უნდა ასნიო!


აიღე, თარგმნე ბასიო,  
რომ დარდმა არ დაგასიოს!

ჟამი გაქვს ერთი წინწკალი:  
არ მოგცეს წელი ასიო!..

**გაგარ კოიტებს**

და პოეტები წარსულს გასცქერენ,  
ტბორავს, ედება ნისლი ცას ხშირი...  
გულო, შენც ძველი დარდი გაძგერებს,  
სავსე ხარ, სავსე ძველი ნახშირით!..

წინ აიშრთა სულ სხვა ჯებირი,  
სისხლით აემღვრა ცრემლებს სათავე:  
კენესენ ლექსდამშრალ პოეტებივით,  
მაგრამ ძველ დარდებს ველარ ხატავენ!



...სადღ ხარ, საით გადამეკარგე, შენ ჩემთავმკვდა-  
რო, გოგიაო, სად გეძებოს ამ ამომქრალმა თვალბმაო,  
ან უშენოდ როგორ გაძლოს ჩემმა ოჯახმაო, ან მე  
როგორ ვიყო, რო არ გისწავლებიაო?!.. საით გაიწია შენ-  
მა გუმანმა, რომელ კლდეზე გადაგჩეხა, რომელი მთიდან  
გადაგაფრინა, დიდთვალემა გოგიაო, ხომ გეუბნებოდი,  
არ იარო-მეთქი მაგ გზებით, ვინროა და იქა წყდება, საცა  
სამშვიდობო გგონიაო, ეხლა რაღა გიყო, რამდენი დღე  
გეძებო და, უფრო მეტი დაგელოდო, ათი დღე თუ ასი  
დღე თუ კიდევ მეტი, გოგიაო?..

ჩავიგდებ ხოლმე თავს მკლავებში, კუტი პურივით,  
ჩავტირი და ჩავლოლნი შენ მოუსვლელობას, ჩამალამ-  
დება ესევე მკლავებში, პანტა რო ჩაგლპობია ისე, ჩამ-  
იდედდება ეს ფიქრებიც და გაიცქაფებს საღაცას კარი,  
წამოვხტები, ეგებ შენ იყო, ეგებ, კი არ მომიკვდი და,  
მართლა გზა აგერია და მომიხვედი... წამოვსხლტები და,



ნინო სადლობელაშვილი

**გოგია**

— ძალია, ან ნიავია, ან რავი, გველმა თუ კარისქვემ  
გაისრიალა და ხმა გაიყოლა... იმდღეს ჩემმა შუათანამ  
გნახა სიზმარში. როგორც იცი ხოლმე, ვითომ კისრით  
დაატარებდი, მერე ვითომ ისე მოიღერე ეგ კისერი და,  
აისროლე ე ბალღი ცაში, შიგ ვარსკვლავების ხომლში,  
ესაო რა ყოფილა ზეცის ფარდაგო, — ზუსტად ეგრე  
ყვებოდა მერე, — რამოდენა ნაჭრელაო, სულ ბლუჯა-  
ბლუჯა ეყარა ოქროს თვლებივით ვარსკვლავებიო... გა-  
თენდა და დაიწყო ტირილი. რო არ გამოჩნდი, იმიტომ.  
აჰყვა უფროსიც და მარტო უმცროსმა შეიკრა პირი. შენ  
რათ აღარა ტირი-მეთქი და, მკვდარსა ტირიანო, თქვენ  
რა იცით რო მკვდარი კი არა, ცოცხალიაო. მოგვეცა  
ცოტადენი შვება და გადავასამხრეთ ის დღეც. ღამე  
კიდე, ხო იცი რო მარტოობისაა გოგიაო, შევძვრებით  
ხოლმე ჩვენ ჩვენს კანში და ვყრიალებთ ამ მარტოობას...  
შე კარგო და მადლიანო, შე ჩემი შვილების გამზრდე-  
ლო, სადა ხარ, საით წამიხვედიო...

ხანდახან იმის ფიქრიც გამკრავს, ხო არაფერი გენყ-  
ინაო... მაგ ჭკვიანმა თვალბმა რამე თუ უშნო, უწესო  
დაინახა და ვერ აიტანაო... იმ დღესაც ხომ ცოტა გამი-  
ჯავრდი, ის უცხო სტუმრები რო შემოვუშვი სახლში,  
სტუმარი ღვთისაა და რა იყო მერე, განა ეგ უნდა გწყენ-  
ოდაო? კარებში ხო არ დავაყენებდი, თან მანამდე სკო-  
ლაშიც იყვნენ მოსულები და მე მიკითხესო, წიგნიერის  
სახელი მაქ, განა ვინმეს თავს ვამეტებ მარა, უცხო სტუ-  
მარი რო მოვა, ჯერ ჩემკენ მოასწავლიან, რა არი რო —  
პირწმინდად დავხვედო... და რა ქნეს იმათ ისეთი, რაც  
შენ არ მოგეწონა შე ბეჩავო გოგიაო, ისეთი ბრაზით კი  
უბღვერდი, თვალი აგარიდეს, ეზო კედელ-კედელ გად-  
მოიარესო, არაყი მქონდა და ქლიავის ჩირი, თითო ჭიქა  
დალაღეს და წავიდნენ, რაღაც წიგნები კი დამიტოვეს,  
კარგად არც ჩამიხედა, იმათი თავი აღარა მქონდა, შენ  
გამიხდი საძებარიო... ისე კი ისე პრიალებდა ის წიგნები,  
ეხლაც, მზე რო დაედება და სხივს დააჭყლიტავს — ცხრა  
მთის იქიდან ჩანან, იმ ნახატებიანად ბრჭყვიალებენო...  
მარტო ის კი მითხრეს, ცხრაჯერ გაიმეორეს — ახლოა  
ჟამი, ახლოაო და, მე რა ვიცი, გულთმისნებიც თუ იყვნენ,  
უშენობის ჟამზე თუ მელაპარაკებოდნენო...

გახსოვს, როგორ ავათავეთ ერთ დილას ჩვენი დე-  
კიანი, ნისლის კოტორში რო გამიჭალარავდი, სულ შენს  
გაკვალულ გზაზე ვიარეთ, ყველას ბარგიც შენ მიგქონ-  
და, მთელი კლასისა ავლადიდებო... ბაიდაურთ თედო  
რო სიტყხიანი გვყავდა, ზედაც ის გეჯდა, მაგ ძლიერ  
კისერზე და, იმ დასიცხულ თვალებს სანწყლად ლულავ-  
და, უცებ რომ წამოგვიხტა და ზედ შენს კისერზე დაიწ-  
ყო ბორგვა და ღრიალი: ანგელოზი დავინახე! ან-  
გელოზი დგას და თითებზე გვითვლისო! რამდენი


იცინეს ბავშვებმა და შენ კი ისე უცებ ჩაიჩოქე, კინაღამ  
თედოც ქვეშ მოიყოლე, ნეტა რა გინდოდა გეთქვა გოგიაო,  
ნეტა შენი ენა მცოდნოდა და, როცა რამის თქმა გინდო-  
და, გამეგოო...

ჩემო მარჩენალო და პატრონო, ჩემო მსხლისფერავ,  
ნიშნინაო, როგორ უხსოვარიდან მოვდივართ მე და შენ,  
ერთად გაზრდილები ვართ გოგიაო, ერთად გადა-  
ვტყავდით ამ წუთისოფელშიო, მინას რო შეეჭიდებოდი,  
ის მინა შეყვარებულ გულივით იძვროდა, ერთ რამედ ღირ-  
და შენი ყურება და მაგ ხმის მოსმენა, როგორც შენ და  
დედამინა ერთმანეთს ამღერებდითო... სოფელში ჩემი ყვე-  
ლას შურდა, შენ გამო და, ყველას შენი მემკვიდრე უნ-  
დოდაო...

ან იქნებ იმას მიწყრები, ნაწილი მინა რო გავყიდე ამ  
ზაფხულსაო? აბა, აღარც შენა გქონდა ბევრი ჯანი და  
ვერ განვდებოდი, მეც ხო ხედავ, დამეძრა ეს კენჭები და  
ლამის არის ტკივილმა გამიტანოს, რომელი მიხედავდა  
ჩემი შვილებიდან — უმცროსი, უფროსი თუ შუათანაო?...  
მაგათ სწავლა ურჩევნიათ და კომპიუტერი, ის უყიდე, იმით  
მოვიბრუნე შინა თორე, გარე-გარე წანწალს უმატებდ-  
ნენო... რა უჭირს მერე, ნაწილი გავყიდე სულ ხო არა და,  
თან გადამთიელს ხო არ მივიყიდე, ახლობელი კაცია, დაჩა  
უნდა და, კარგად მოუვლისო... მე ამასაც ვიკმარებდი რაც  
მექნებოდაო... შენ აღარ გეყოფოდა ფრთების გასაშლე-  
ლადაო?...

სანყალ დედაჩემის საფლავს ზამთარში რო ათბობდი  
გახსოვსო?... მიუწვებოდი ბალღივითა და შენ გარშემო  
თოვდა, მარტო შენ და დედაჩემის ალაგი იყო თბილი და  
მინისფერიო...

ნეტა ის ხო არ გენყინა, ამ ჩვენმა ინგლისელმა იმ-  
დღეს ცოტა უშნოდ რო მოგმართა: დზროხაო... ხო შეუს-  
ნორეს ბაღლებმა მაშინვე, ჯერ ერთი ეგ ძროხა კი არა,  
ხარია და მეორეც, თავისი სახელი აქვსო... არ ჩაიდო არც  
ევა რაა გულშიო, რაღაც პროგრამაა, იმის გამოა ეგ ბიჭი  
აქა, ბაღლებს სკოლაში ინგლისურს ასწავლის და ყოფა-  
ცქევასაო, ცოტა მეტი პირობები რახან მქონდა, მე შემო-



მისახლეს, დიდხანს კი არ იქნება, ადგება და წავა, ისედაც  
არა ჩანს ცუდი სულისა მარა ე თმას რატო იღებავს, ვერა  
გზვდებოო...

გოგიაო, შე ბეჩავო შენა, რომელმა მგელმა გაგკრა  
კბილი? ან თუ სადმე ცოცხალი ხარ და არ მოდიხარ, შენს  
კისერზე იყოს ჩემი ცოდვაო...

ხანდახან, რო ჩავჯდები ჩემთვის, კონვერტის ყუასავ-  
ით ჩემ თავს ჩავენებები და, ვფიქრობ: კაცის სული  
გქონდაო. ხანდახან იმასაც ვფიქრობ რო მე ეს სული სამ-  
უდამოდ დავკარგეო...



ტარიელ ჭანტურია

პიკილქა

რა დროს პიკილქასი და რა დროს პიკილქასიარო,

ასე მითხრა ირაკლიმ და თან გაზეთიც გამოიწია — გაზეთში ჩვენი პლანეტის — დედამიწის — ფასი იყო დასახელებული: ერთი კვადრილიონი ანუ ათასი ტრილიონი! ის აღარ ეწერა — დოლარი? ევრო? ტურგრიკი? მარკა? ფრანკი? ლარი?

ერთი კვადრილიონი ყოფილა დედამიწის ფასი! საინტერესოა: ვინც ეს ფასი დაადგინა, მყიდველად ვინ ივარაუდა! — ვინ უნდა გადაიხადოს ეს ერთი კვადრილიონი ანუ 1 000 ტრილიონი, ან ვის უნდა გადაუხადოს! — იქნებ მუშტარზეც ეთქვა ორი სიტყვა!

საინტერესო ქვეყანაში ვცხოვრობთ — პარდონ — საინტერესო პლანეტაზე ვცხოვრობთ, მე და ჩემმა ღმერთმა!

დავბეჭდებ ახლა ამ ჩანაწერს — იქნებ ვინმე გამოგვეზნაუროს და ცოტა მეტი გვითხრას ამ თემაზე — ხუმრობა იყო ეს განცხადება თუ მართლად ამ ფასად შეფასდა ჩვენი დედა მიწა!

სუფსაში მინის ნაკვეთი ვერ გავყიდე ჩემი — დამენანა! მიეჭვება, დედამიწის გაყიდვის დოკუმენტს მოვანერო ხელი...

ამ ინფორმაციამ, რომელსაც სახალისო ელფერიც კი დაჰკრავს, ერთი იდეა გააჩნია: ალბათ ახლავე უნდა დაარსდეს **ევროზე** მალალი კურსის ვალუტა — ვთქვათ, **პლანეტა!**

ისიც არანაკლებ საინტერესოა: დედამიწას რომ გავყიდით და იმ ჩვენს ერთ კვადრილიონს ჩავიჯობავთ, მერე ჩვენ საითკენ უნდა გავწიოთ — უნდა დავცალოთ დედამიწა? თუ, ჩვენი სტატუსი **„მდგმური“** იქნება! ისიც სათქმელია, ვისი მდგმურები ვიქნებით და სანამ გაგრძელდება ეს საქმე — სანამ გავაგაჩერებთ ის კაცი (კაცი?) თავის პლანეტაზე!

აი, რამდენ კითხვას აჩენს ეს ერთი შეხედვით უწყინარი ინფორმაცია! მართალი იყო ირაკლი: ამ პრობლემის ფონზე ვიკილიკსი და ვიკილექსიც დიმილისმომგვრელ საქმედ გამოიყურება! — ჩვენ ჯერ **დედამიწის** შედეგები ვართ და მხოლოდ ამის მერე — სუფსის, სოხუმის, ცხინვალის თუ ბათუმის...

... რაკი დედამიწის მუშტარი ჯერჯერობით არ ჩანს, ვიკილექსის გაგრძელება ალბათ შეიძლება!

პირველ ანდერსონს კითხვისას...

მრი ჩანაწერი გამიკეთებია ანდერსონის კითხვისას.

პირველი ესაა:

„ვიყიდით ნივნებს, ჩამოვანკინებთ თაროებზე, ჩვენ კი გავწევთ კინოსკენ!“

მეორე ჩანაწერი უფრო საინტერესო მეჩვენა:

„საკმარისია, ადამიანმა ხელში ჩაიგდოს ხელისუფლება, მაინცე მის გარშემო თავს მოიყრიან მჯღაბნელები, რომლებიც მზად არიან, მეტიც, ენატრებათ, შეთხზან მისი უდიდებულესობისთვის ჰიმნები.“

ნაღვლია ეს. აგერ საქართველოს მაგალთიც კმარა.

აჰა, აფრინდა შევარდენიო, ბრძანა ჩემმა მეგობარმა პოეტმა!

შევარდენი ამოფრინდა აბრეშუმის ბუდიდანაო, დასჭექეს ხალხური სიმღერის ანსამბლებმა!

კრწანისი, დიდგორი, მარაბდა, მამათიო, დაწერა ნონევილიმა!

აღმაშენებლის ტახტზე დღეს შენ ზიხარო, აღდგომილმა ხალხის საყვარელმა პოეტმა შევარდნაძე!

ასე დაეხვივნენ მწერლები ახალგაზრდა ხელისუფალს და დაამტკიცეს ანდერსონის სიტყვის სიმართლე!

ცხადია, იგივე განმეორდება, თუ შევარდნაძეს ნააბრძანებენ და მის მოსკოვურ დუბლს მოაბრძანებენ — ჰიმნი ამ უკანასკნელსაც დასჭირდება!

\*\*\*

ერთი ქართველი მწერლის ერთი საშუალო ლირსებისა და ღირებულების ნიგუნი გამოსულა ერთ უცხო ქვეყანაში. არც იმ მწერალსა და არც იმ ქვეყანას არ დავასახელებ, ჩემს სათქმელს ისე მოგახსენებთ. ამ სასამოვნო ფაქტის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მეორე ქართველი მწერალი. ვთქვათ, ის ნიგუნი გამოიცა ბეირუთში. ვთქვათ, იმ ნიგუნის შესახებ ბეირუთის მოქალაქე ლიტერატორმა დაწერა, რომ ეს ქართველი მწერალი — არც მეტი, არც ნაკლები — გენიოსია! შენ რომ ქართველი ხარ და შესაისმნავად იცი, არავითარი გენიოსი არაა ის თარგმნელი ქართველი, რაღას იმეორებ იმ სისულელეს ავტორის გენიალობის თაობაზე! სისულელეს-მეთქი, ვთქვი, ნამდვილი სისულელე! საქმე ის გახლავთ, რომ იმ წყ-

ალწყალა ნიგუნის მაქებარი არაბი სწორად იქცევა, რომ აქებს და ადიდებს ახალთარგმნილ ნიგუნს!

ვთქვათ, ადგა აგერ ქართველი გამომცემელი და თარგმნა და გამოსცა ბეირუთელი მწერლის ნიგუნი! როგორ იქცევა ის გამომცემელი ამ დროს! რაკი ეს ნიგუნი, ბოლოს და ბოლოს, საქონელია, რომელიც უნდა გაიყიდოს, გამომცემელი ენევა მის რეკლამირებას! — იგი წერს სარეკლამო ნინათქმას ან ბოლოთქმას, მასმედიის წყალობით ავრცელებს ინფორმაციას და ა.შ. რას დაწერს ახლა იმიჯმეიკერი იმ სარეკლამო განცხადება-წერილებში — ეს უცნობი ავტორი კრეტიანია, მისი რომანი კიდევ ხელში არ აიღებო? იგი წერს, რომ ნიგუნი, რომელიც პოტენციურ მყიდველს ხელში უჭირავს, არის ლიტერატურული სასწაული, რომლის ბადალი რომანიც დღემდე არ დაწერილა! არა, ბიჭო, გალანძლავს — სისულელეა, არ ქნათ, არ იყიდოთო! ამ ტიპის სარეკლამოსაცნობარო ტექსტებს არ ევალება ლიტერატურული ჭეშმარიტების დადგენა, მათი ამოცანა მარტივია — დაეხმაროს გამომცემელს ნიგუნის გასაღებაში! — ჩვენ რომ დავიჯეროთ ყველაფერი, რასაც სატელევიზიო კლიპები ერთ წყალწყალა ქართველ მომღერალ ქალზე ჩაგვიჩინებს, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ იმ ქალბატონის შემდეგ, თუ მსოფლიოს ჭკუა აქვს, არც ერთ ქალს არ უნდა მოუხმინოს, მაგრამ ჩვენ, ტელემყურებლებმა, ვიცით, რომ ეს ასე არ არის!

იცის თუ არა ეს ბეირუთში გამომცემელი იმ სუსტი ნიგუნის ავტორმა! რა თქმა უნდა, იცის, მაგრამ რა უნდა ქნას, ადამიანია, თანაც ჰეროსტრატეს კომპლექს-მორეული! მთავარი „დამნაშავე“ ისევ მისი ადვოკატია, თუმცა ვინ დაიჯერებს, ვინ დაუჯერებს! არც არავინ!

„ამაოება ამაოებათა“ — კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, გახშიანდება გონებაში...

აქლავა ცნობა...

ლიტერატურულ ნაწარმოებს შედეგად თანამედროვეობა აცხადებს, მაგრამ ამას მხოლოდ მომავალი ადასტურებს და ამტკიცებს (ან არ ადასტურებს და არ ამტკიცებს) — ამის რწმუნება მხოლოდ მომავალს გააჩნია! გახსოვთ? — რა აზრისა იყო ჩვენი კრიტიკა, ვთქვათ, რევაზ ჯაფარიძის უსახელო, ინფანტილურ პროზაზე! რა გამოვიდოდა აქედან! — არც არაფერი! მსგავსი მაგალითებით ვაძეგლია მწერლობის ისტორია! სამწუხაროდ, ჩვენთან, საქართველოში, ეს ისტორია ან საერთოდ არ იწერება, ან კიდევ მისი საბოლოო რედაქცია შორეული მომავლის საზრუნავია! განსაკუთრებით ცუდადაა საქმე ამ თვალსაზრისით პოეზიაში! აქ უფრო ხშირია **პოეზიის უფლისწულებად, პოეზიის მეფეებად, გუბერნატორებად და სარდლებად** გამოცხადების ფაქტები! მომავალი ამ შემთხვევაშიც დიდი დაუგვიანებელი ცვლის არაკომპეტენტურ და ჩანყობილ ვერდიქტს! ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლებას და პასკვილანტს ამას არაფერ ეეთხება! ტყუილად არ ვიმომწებ ნამდუაუნუმ ბორხესის „თეორიას“ მწერლის **შეფარდებით უკვდავებაზე**! — ვინ — ათი წლითა უკვდავი, ვინ — ასით, ვინ — ათასით! ვიმეორებ და ვიმეასებ — ვერდიქტს შორეული მომავალი ამტკიცებს ან არ ამტკიცებს — ბეჭდი და ხელმოწერა მისია... ისე, ლიტერატურული ზღვები ცუდი გამლიზანებელი არაა ნამდვილი მწერლისთვის! — ეგ არის — ყელში ამოსვლა იცის მისმა გაუთავებელმა პროცესმა — აქებს, ადიდებს თანამედროვეობა რომელიმე შარლატანს, და იდგე უნდა და უცქირო ამ სიგიჟეს!

ლექსის ქურდები

მამიხმალს ბოდიშს ვუხედი იმის გამო, რომ ჩემი ოპუნის სათაური „ნათქაია“ — „ღვინის ქურდები“ მაქვს მხედველობაში! ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინ დავწერე: ლიტერატურად ქურდობა, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ რად გინდა, რა აზრი აქვს — ნაქურდალის დამალვა ჭირს-მეთქი!

და თუმცა ამ „აქსიომის“ ავტორი ვარ, მაინც ვლიზიანდები, როცა ქურდი ფანჯრიდან მაინცა და მაინც ჩემს ბინაში გადმოძვრება, ჩემს უჯრებში დაინყებს ფათურს და შავი დღისთვის „გადაამალულ“ ჩემს „გროშებს“ მიადგება!

ნაქურდალის დამალვა ჭირს-მეთქი! მართლაც და, ვთქვათ, გადავეირო რემბოს ან პუშკინის, ჰოუგოს ან ჰერლი ჯეიმის, ჯოისის ან ვან გოგის, ვენინის ან რუსთაველის, გალაკტიონის ან პიკაბიას, გინზბერგის ან უმბერტო ეკოს ბინაში — რად გინდა, რაში გამოგადგება — ხომ ბა-

ზარზე უნდა გაიტანო, ბოლოს და ბოლოს, ნაქურდალი! რომ იცნონ „მთვრალი ხომალდი“? რომ იცნონ „ისევ ეფემერა“? რომ იცნონ „ულისე“? რომ იცნონ პიკაბიას ლექსი ან ნახატი?

კაი ოცდაათი წელია, ნიგინდან ნიგნში გადადის ჩემი ერთი თავისუფალი ლექსი „ლიფტში გაჭედული კაცის ფიქრები“...

გადმომძვრალა ჩემს ბინაში სოხუმელი კაცი, როგორც გაზეთ „24 საათის“ ერთ-ერთი ავტორი ნია ნუცუბიძე იუწყება, პროფესიით კინოსცენარისტი ოთარ პერტახია, დაუფლია ხელი იმ ჩემი „ლიფტში გაჭედული კაცის ფიქრებისთვის“, ნაუღია და თეატრ „ვერიკოსთვის“ მიუსალებია. მოგვესმინოთ ნია ნუცუბიძეს:

„ოდესმე თუ გაჭედვით ლიფტში, თანაც სრულიად მარტო? ცხოვრებაში ერთხელ მაინც თუ შეგმთხვევიათ მსგავსი რამ, წარმოიდგინეთ და გაიხსენეთ, რა გრძობებს და ფიქრებს მისცემს ხართ ასეთ მომენტში, მითუმეტეს, თუ კლაუსტროფობიით ხართ შეპყრობილი.“

სწორედ მსგავს სიტუაციას ეხება თეატრ „ვერიკოსი“ რეჟისორ გიორგი სიხარულიძის მიერ ოთარ პერტახიას პიესის მიხედვით (უნდა იყოს: „ტარიელ ჭანტურის ლექსის მიხედვით“. ტ.ჭ.) დადგმული მონოსპექტაკლი...

მე მოგიყვებით ლიფტში გაჭედული კაცის ამბავს, რომელიც კულტურის დეპარტამენტის ერთ-ერთი ჩინოვნიკია, საოცრად ეშინა ლიფტის და დახურული სივრცის. ბედად თუ საუბედუროდ, ცოლის დაბადების დღისთვის ნაყიდი სიურპრიზი-საჩუქრით მე-13 სართულზე გაიჭედება... ამგვარად იწყება მონოლოგს მსახიობი მალხაზ ბუაძე...

რომ ავდგე ახლა მე და ვუჩივლო ლექსის ქურდებს სასამართლოში, ისევ მე გამამტყუნებენ — არ გეკადრება პოეტს ამის გაკეთება! — სოხუმთან დევნილმა, ლტოლვილმა კაცმა რაღაც გააყოლა ხელს, ამის გამო ციხეში ხომ არ ჩავსვამთო! გადახდით კიდევ რა გადაიხადოს, რა ექნება ლტოლვილს სხვისთვის მისაცემიო!

კარგი, გაეჩერდები! მარტო წვენას ვიტყვი ჩემსას, წყენას იმის გამო, რომ აღარაფერ აღარაფერს კითხულობს, გამკითხავი არ არის, კრიტიკა არ არსებობს, მით უმეტეს არ არსებობს ლიტერატურული „პოლიცია“, რომელიც უნდა ქურდებს „აკაუბდეს“ — აი, იმათ, ფანჯრებიდან სხვათა ბინებში რომ მიძვრებიან, იპარავენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებათ, და აავსეს ნაქურდალით სალიტერატურო და სახელოვნებო ბაზარი!

მე სულაც არა ვარ დაინტერესებული, დაწერო „კარცემში“ გაჭედული სცენარისტის ფიქრები“, რომლის პროტაგონისტიც მაინცა და მაინც სოხუმელი კაცი იქნება...

ჩემი ბედი რომ ვიცი, გამორიცხული არაა, ჩემი ქურდი ერთ მშვენიერ დღეს სახელმწიფო პრემიების კომიტეტშიც მომადგეს — ამჯერად ფანჯრიდან კი არ გადმოძვრეს, პირდაპირ საპარადო შესასვლელიდან შემობრძანდეს და სახელმწიფო პრემია მოითხოვოს ჩემი ნაცოდვილარისთვის. ამასთან ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ, წარდგინებაში ერთ-ერთ ნომინანტად მეც შემიტანოს, თანავტორად მაინც!

ვერც გაამტყუნებ — სპექტაკლი ხომ მათია!

ან მან უნდა მიიღოს, ან მე! ამჯერად მას გაუმართლა!

03.10.2004

ქს კითხვის ნიშანი სათაურია და არა ეჭვის ნიშანი!

ჯერ უნდა ანტეოსი გავახსენო მკითხველს — ბერძნული მითოლოგიის გმირი: პოსეიდონისა და გაეს უძღვევლით შვილი, რომელიც უძღვევლი იყო მანამ, სანამ მინას (გეას — თავის დედას) ეხებოდა. ჰერაკლემ მინას მოსწყვიტა იგი, ჰაერში აიტაცა და ასე დაასრწო!

ლიტერატურაში, სადაც ხშირად ითხზება ახალი — წარმავალი, დროებითი, მე ვიტყვოდ, ინფანტილური მითები, სწორედ პირიქითა ფაქტთან გვაქვს საქმე: თუ გინდა, „მენი გმირი“ გადაარჩინო, იგი სწორედ მინას მოწყვიტო უნდა, შეთხზა ზღაპარი იმ „შენს გამოზე“, ახალი მითი, და ასე და ამ გზით გაუთქვა მას სახელი, აამალლო, გამოაცხადო უძღვევლად, ახალ ანტიტოსად, რომელსაც თვით ჰერაკლემ კი ვერას დააკლებს — მინას მოწყვეტილი და სწორედ ამ გზით მიღებულ უძღვევლ გმირს ჰერაკლემ, რომ იტყვიან, ფეხებს ვერ მოჭამს! ამ ერთგვარი სახუმარო ტონის მიუხედავად, რაც ვთქვი, მართალია: **ახალი უძღვევლი გმირის შესაქმნელად აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ანტიკონის მაგალითი: იგი უნდა ჰაერშიც უძღვევლი იყოს!**

ასე იქმნება ლიტერატურაში მინას მონსუეტოლი მწერლის ტიპი, და ქმნიან ამ ტიპს ხელმოცარული ლიტერატორები — მეტწილად კრიტიკოსები, კულტუროლოგობაზე პრეტენზიის მქონე ვრდომანები, ცრუ ფილოსოფოსები და, საბოლოო ანგარიშით

— ლიტერატურული აფერისტები!

ხომ ვერ გაბედავენ ჩვენი წყალწყალა ლიტერატორები ამტკიცონ, რომ ნობელის ამჟამინდელი მადიბელი ოთარ ჭილაძეზე კარგი პოეტი ან მწერალია! რაღა დარჩენიათ — უნდა ჰაერში აიტაცონ ლეგენდებისა და ზღაპრების შემგროვებელი კაცი, თავად იგი გამოაცხადონ ლეგენდად, და ადგენენ მერე და ნარაადგინონ იგი ნობელის პრემიაზე მასზე ბევრად ღირსეული ადამიანების ნაცვლად! — ეს, გენაცვალე, ლეგენდებს ქმნისო, უფრო სწორედ, თავადაა ლეგენდაო, მითიო, ეს ახალი, მოდერნიზებული ანტიკონია, ამჯერად — დაუმარცხებელი ანტიკონი — **იგი ჰაერშია უკვდავიო!** აი, ჩვენ, ავტოტაცეთ იგი ჰაერში, და გამოუშვით ერთი ის თქვენი ჰერაკლე, ერთბაშად ფეხები არ მოჭამოსო!

აი, ლიტერატურული აუტსაიდერების ცხოვრების წესი! ისინი ამ გზით აპირებენ, ანგარიში გაუსწორონ ყველას, ვინც ჭეშმარიტი მწერალია და პიარისთვის საჩალო იწოდ არ სცალია, ამ გზით აპირებენ, დაიკმაყოფილონ მონური მოთხოვნისება — იძიონ შური! — შური იძიონ ყველაზე, ვინც ნაღვლია — იმავე ოთარ ჭილაძეზე, იმავე ჭაბუა ამირჯიბზე, სამოციანელთა მთელ თაობაზე, რომელთაც ბოლოს და ბოლოს ის ნობელიც, თუ მაინცა და მაინც ნობელს მივიჩნევთ მწერლის შეფასების მთავარ კრიტერიუმად, ეუთვნით ასჯერ და ათასჯერ მეტად და უმალ, ვიდრე ნობელის მამებელ ენთუზიასტებს და მინას მოწყვეტილ სხვა ფალსუტორისტებს, სერგი მაკალათიათი დასაყვებელი და ახლანდელმთი დამთავრებული!

ქაო, კმითა ხარ ქლირი...

დიდი ხნის — დაახლოებით ორმოცი წლის წინათ, უფრნალ „ციცკარში“ სახუმარო კუპლეტები დაიბეჭდა ჩემი, ერთი ძმებს — თამაზ და ოთარ ჭილაძეებს ეძღვნებოდა. პირველი ორი სტრიქონი მასსოვს მხოლოდ, მაგრამ ჩემი სათქმელისთვის მეტი არცაა საჭირო:

შენრის და თომას — მანები, ოთარ და თამაზ — ძმანები...

მოგვიანებით მე „ჭკვიანი რითმების“ ლექსიკონი შევაადგინე, და თუმცა, როგორც მოტანილ იუმორისტულ სტრიქონებში ნახეთ, **თომასი** და **თამაზი** ერთმანეთს ერთმანება, ეს სარითმიო წყვილი „ჭკვიანი“ რითმების ლექსიკონში არ შემიტანია! ჭკუა ამ სარითმიო წყვილს მაშინ ექნებოდა, **თომასი** და **ოთარ** რომ ერთმანებოდეს ერთმანეთს: როგორც გერმანულ ძმებშია **თომასი** ჰენრიხზე მეტი, ისე ქართველ ძმებშიც **ოთარია** თამაზზე მეტი! ამიტომ სარითმიო წყვილი — **თომასი-თამაზი** — ჩემს საღალბო ლექსიკონში ვერ მოხვდა!

რა მინდა ამით ვთქვა! ის მხოლოდ, რომ თუმცა მე მწერალი ძმებს — ჭილაძეებს — უნიჭიერეს მწერლებად მივიჩნევდი და ახლაც მივიჩნევ, ყოველთვის ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ **ოთარ ჭილაძე** — დიდი მწერალია, თამაზ ჭილაძე კი — კარგი მწერალი!

ჩემდამი თამაზ ჭილაძის ცუდი, მეტიც — მეტისმეტად ცუდი დამოკიდებულება დაიწყო მას შემდეგ, რაც მე დავბეჭდე ოთარ ჭილაძისადმი მიძღვნილი აპოლოგეტური ლექსი, სადაც იგი, არც მეტი, არც ნაკლები, ღმერთად გამოვაცხადე:

... მიკვირს კიდევ ზოგადად, როცა ჩვენთან გხედავ — დგახარ, ზიხარ... სულ ღმერთებში იტრობალებ, ოდეს აიღებენ ტიხარს...

ასეთს, ცხადია, ვერაფერს დავწერდი თამაზ ჭილაძეზე. და თუმცა სხვა მხრივ პატივისცემა არ დამიკლია — წერილი მაქვს გამოცემული მისი წერილების ნიგნზე, თარგმნილი მაქვს მისდამი მიძღვნილი ლექსი, და არც ერთ ჩამონათვალში, რომელიც ჩემს წერილებშია, მისი გვარი არ დამვიწყებია — მისი გული, უზრალოდ რომ ვთქვათ, ვერაფრით მოვიგე! ყველაფერიდან ჩანს: მას სურდა, მე ტოლობის ნიშანი დამესვა მასსა და ოთარს შორის, მე კი ამას არც ვიზამდი და ვერც ვიზამდი, ისევე, როგორც არც ერთ ჭკუათმყოფელ გერმანელს არ მოუვა აზრად, ტოლობის ნიშანი დასვას დიდ მწერალ **თომას მანსა** და კარგ მწერალ ჰენრიხ მანს შორის!

მაინც, რაში გამოიხატა თამაზ ჭილაძის „ყურადღება“ ჩემს მიმართ! — არალოდეს ქალაღზე არ გადაუტანია ჩემი გვარი (მხოლოდ ერთხელ გვახსენა მე და გივი გეგეჭკორი, როგორც „მოზი დიკის“ მთარგმნელები).

ბარემ მცირე მოგონებაც. „ციცკარში“ წლიური პრემია დაარსდა ახალი და საინტერესო პუბლიკაციებისთვის სხვადასხვა ჟანრში. კოლეგიას უნდა ემსჯელა და მიენიჭებინა პრემიები. პოეზიიდან სხდომაზე ჩემი გვარი დაასახელეს. ადგა თამაზ ჭილაძე და განაცხადა, ეს არ იქნება სწორი, პრემია გივი გეგეჭკორს ეუთვნისო! — მან სხვებზე არანაკლებ იცოდა, რომ მე და გივი გეგეჭკორი ძმები ვიყავით... მაშინ მივხედდი, სხვათა შორის, რომ თამაზი არ იყო ურიგო ინტრიგანი და წესით პიესები კარგად უნდა გამოსვლოდა.

რომ გითხრათ, გამეხარდა მისი მამ-



ინდელი საქციელი-მეთქი, ან იმ გადანყვეტილებების გამოწვევებზე მიზნებს ვერ ჩაგვხვდით-მეთქი, სწორი არ ვიქნები. მოკლედ, ასე ამწვავებდა ურთიერთობებს წლების მანძილზე, და ეს, ცხადია, გვასურდა ჩვენ თუ არ გვასურდა, ჩემი და ოთარის ურთიერთობაზეც მოქმედებდა...

მისი ამგვარი დამოკიდებულების ბოლო გამოვლენა იყო ის, რომ მან — თავის დროზე რუსთაველის პრემიების კომიტეტის მდივანმა — უსაბუთოდ გააკრიტიკა და თანაც ოჯახი, პრემიების კომიტეტი მხოლოდ მაშინ და სწორედ მაშინ, როცა მის თავმჯდომარედ მე დავინიშნე. თუ რაიმე აბსურდული გადანყვეტილება მიუღია პრემიების კომიტეტს, ეს იყო სწორედ იმ წლებში, როცა იქ თამაზ ჭილაძე მუშაობდა მდივანად! კი, ჩემს დროსაც იქნა კომიტეტის მიერ მიღებული ერთი „აბსურდული“ გადანყვეტილება — კომიტეტმა კანონი დაარღვია და სიკვდილის მეურვე, ასე წლის იუბილესთან დაკავშირებით, რუსთაველის პრემია მიანიჭა ანდრია ბალანჩივაძის გენიალურ ძმას, ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ქართველს — ჯორჯ ბალანჩინს (არა მგონია, ცხონებულ ანდრიას წყენოდა, თუ გაიგებდა, რომ ვიღაცას ჯორჯი — გიორგი ბალანჩივაძე მასზე მეტად უყვარდა)...

მე არ ვაპირებ ამის კვლევას, მაგრამ ისე გამოვიცხადებ სულაც არაა, იმ აბსურდული გადანყვეტილების მიღებისას, როცა განკარგულნი ლიკვიდაციამნილად გამოცხადდა რუსთაველის პრემიების კომიტეტი (დახს, განკარგულებასი სწორედ ეს სიტყვა — ლიკვიდაცია — იყო ნახმარი), ზემდგომ ორგანოებს მხედველობაში ცნობილი ავტორიტეტის — თამაზ ჭილაძის — პუბლიკაციებიც მივლოთ...

ხელისუფლებამ უხეში შეცდომა გამოასწორა და პრემიები აღდგინო იქნა.

ზოგიერთი შეცდომის გასწორება არც ჩვენ გვანყენდა — ადამიანებს! მით უმეტეს — კარგ ადამიანებს!

**P.S.**  
რად გინდაო, მითხრეს! რად გინდოდაო, მეტყვიან, ალბათ, როცა ეს ჩანანერი გამოქვეყნდება!

არ მინდა, ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, არ ამოვთქვა ზოგიერთი სამართლიანი წყენა, მეტიც — გულისწყურება!  
მადლობა დიმიტრი, მტყუან-მართლის გამარჩევი მუდამაა ამქვეყნიდან — ნამდვილი მკითხველი...

**აქეთ — ბელურა, იქეთ — შვილები...**

ლექსები აკერ დაბეჭდილი. ერთ ლექსში („რისი პოეტულ-პალასი“) ასეთი სტრიქონები წავიკითხე:

„... თავი მომიკვდეს, ბელურავ, ჩემს შვილებს თუ არ ჯობდე, შენგან რა უნდა მწყენოდ, იმით მომიღეს ბოლო“.

ერთი ბელურა რომ ურჩევნია თავის შვილებს, ახლა ნაწამოიდგინებ, რამდენჯერ ურჩევნია თავის შვილებს, ვთქვათ, ერთი ინდაური! ღორზე აღარცაა ლაპარაკი!

დავიჯერო, ეს რომ იბეჭდებოდა, არავის ნაუკითხავს? როგორ არ გააფრთხილეს, მარტო შვილებთან კი არა, მთელ საქართველოსთან, მთელ კაცობრიობასთან გექნება საქმე ამის დამწერსო...

(ცოდვია, რა თქმა უნდა, მაგრამ იმის პატივად, რაც ამ ადამიანმა მამაშვილობის ინსტიტუტს აკადრა, არაა იოლი...

**ათეულ, სწორად!**

(თითქმის იუმორესკა)  
შურონალ „ლიტერატურა და ხელოვნებას“ მეორე ნომერში (29.XI.2004) მიხეილ ქუთუნიანი წერს: „ახლა ჩემი წინასწარმეტყველება და ზაზა ქინქლაძე ახლა თვალსაჩინო თანამედროვე პოეტების ათეულშია“.

ძვირფას მიზან განმარტებული არა აქვს, ეს თვალსაჩინო პოეტები — ათეულში შესული პოეტები — მხოლოდ ქართველები არიან თუ ათეული მსოფლიო პოეზიის თვალსაჩინო პოეტებისაგან არის შედგენილი.

თუ მსოფლიო პოეტებისაგან შედგენილი ათეული იგულისხმება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ ათეულში საქართველოდან ერთი ან, დიდი-დიდი, ორი ქართველი პოეტი შევიდოდა, მეტი ვერა. ალბათ ვერა.

თუ ერთი პოეტი შევიდოდა საქართველოდან, ის ერთი პოეტი ზაზა ქინქლაძე იქნებოდა. თუ ორი ქართველი პოეტი შევიდოდა, მაშინ ესენი იქნებოდნენ... მოკლედ, გასაგებია, რა როგორ იქნებოდა!

უფრო რთულადაა საქმე, თუ ათეული მხოლოდ ქართველ პოეტებს გულისხმობს. ორი პოეტი ამ შემთხვევაშიც ცნობილია. დანარჩენ რვა ვაკანსიაზე პრეტენზიას ალბათ თვალსაჩინო ქართველი პოეტების დიდი ჯგუფი გამოაცხადებს!

მილოცვის მეტი არაფერი დამრჩენია!  
2004

**დიდი პოეტის „პროზაული“ სისუსტეები**

„პოლიცემისტურმა მინის გრაფიკის მინისავე მარგალიტო ხუფი მოხდა, წყალი ჭიქაში დაასხა და ნატოს გამოდგა“.

ეს ფრაზა პოეტის დაწერილია. პროზა-იკოსი ასე დაწერდა:

„პოლიცემისტურმა წყალი დაისხა“. თუ მაინცა და მაინც გრაფიკიდან დაისხამდა, იმით აღარ გაუწყალებდა მკითხველს გულს, ეს გრაფიკის მინის რომ იყო, მინისავე ხუფი რომ ეხურა და ის ხუფი მრგვალი გახლდათ — რისთვისაა საჭირო ეს „ინფორმაცია“ — ხასიათების გადმოცემისთვისაა აუცილებელი? აი, ასეა გადავსებულნი რომანი „უსარგებლო“, „ზედმეტი“ სიტყვებით, სიტყვებით, სიტყვებით (სიტყვა, თავის ადგილას ნახმარი, არასოდეს არაა უსარგებლო და ზედმეტი. მომეცით საჭირო სიტყვა და დედამიწას გადავებრუნებო, „იმუქრებოდა“ კონრადი). რომანის ავტორ დიდ პოეტს არა აქვს ამ საჭირო სიტყვის ძებნის სურვილი და იქნებ არც უნარი. ამ თვალსაზრისით იგი პროზა-იკოსი არცაა ალბათ. ეს არაა ქართული მწერლობის პრობლემა! ეს მისი პირადი პრობლემაა — დიდმა პოეტმა დიდი დრო და ენერჯია შეაღია ამ საქმეს და უღალატა მოსალოდნელ პოეტურ შედეგებს...

დასავლეთის (ვთქვათ, ამერიკულ) მწერლებს ჩვევდა აქვთ, ნაწერს ჩვენსავით თაბახის ფურცლების რაოდენობით კი არ ზომავენ, არამედ სიტყვებით — ამდენი და ამდენი ათასი სიტყვა დაწერეთო.

საინტერესოა, რამდენი ათასი სიტყვაა დიდი პოეტის რომანში ზედმეტი!

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, მაგრამ ამ ხელოვნებას ყველა როდი ფლობს! — ყველამ რომ იცოდეს და ყველას რომ შეეძლოს ის, რაც რუსთაველს შეუძლია, მაშინ ერთი რუსთაველის ამარა კი არ ვიქნებოდით!

თუმცა ამაში თავისთავად ცუდი არაფერია! — მაგალითად, გაკვეთილად — ერთი რუსთაველიც კმარა!

1994

**გვერდითი მოვლენა...**

გვერდითი მოვლენები იცით, რაც არის!

ეს კაცი წლების მანძილზე მეგობრობას მიცხადებდა — ასე ვთქვათ, გვერდით მედგა, მაგრამ, როგორც ბოლოს გამოიკვს: არც მეტი, არც ნაკლები — გვერდითი მოვლენა აღმოჩნდა!

საბედნიეროდ, ის ისეთი გვერდითი მოვლენაა, ქე რო იოლად იკურნება! საინტერესოა, ახლა ვის ექვეტება, ახლა ვის გვერდით მოვლენადაც ექვეული!

სერიოზული საფრთხე არც მათ ემუქრება — როგორც მოგახსენეთ, იოლად იკურნება!

\*\*\*  
მივაღიქვი ორ შვიდიანს — უკვე გავხდით 77 წლის!

რით არის ეს კარგი, იცით? — იქნებ მეც მეპატოს სამოცდაჩვიდმეტჯერ...

ისე, კაცმა თქვას, არც კი ვიცი, რა მექონდა ამდენი საპატივებო, მაგრამ ადამიანები ვართ, ცოდვის ჩადენას რა უნდა! — ერთი მოუზომავი სიტყვა და — ტკივილი მზადაა!

კიდევ ერთხელ დახედეთ: 77...  
თქვენი საქმე როგორაა ამ მხრივ — გეპატათა უკვე სამოცდაჩვიდმეტჯერ? თუ აწი ელოდებით ამ დღეს!

გისურვებთ, თქვენც გაგველოთ ორი შვიდიანი! — ჩვენ ბოლომდე ვინ გვეტყვის, რა როგორ არის, მაგრამ შანსი შანსია — გვეპატოს სამოცდაჩვიდმეტჯერ! სატომ მაინცა და მაინც სამოცდაჩვიდმეტჯერ, არ არის საინტერესო? ერთ ჭკვიან სასულიერო პირს ვკითხე! არ იცოდა...

**ქირსე მკითხველი!**

საუბრალო ავტორს!  
წმინდის ვკითხვობ ავტორ! ესაა მტკიცება იმისა, რომ ყველაზე კარგი წიგნი ამ ქვეყანაზე ერთია: ის, რომელსაც არ კითხულობენ, ის, რომელსაც მკითხველი არ ყავს, ან ყავს ერთი, ერთადერთი მკითხველი — თავად ავტორი!

არ არის ცუდი აზრი! არ ჩანს ცუდი წერილი! ბარემ ბოლომდე ჩავიკითხავ, მაგრამ ამით ის მოხდება, რომ თავად ეს წერილი, როგორც ლიტერატურული ფაქტი, არსებობს შეწყვეტს — რაკი მას, ჩემი სახით, გაუჩნდა მკითხველი, — თუნდაც ერთი, ერთადერთი მკითხველი, ეს ნიშნავს, რომ მისი ფასი კაპიკია!

აი, ამ აზრის დამამტკიცებელ საბუთებს უნდა ჩავყვე ბოლომდე! ეს თუნდაც იმისთვისაა საჭირო, რომ ამ წერილს შევძინო ნამდვილი მკითხველი, და ამით წერილი დაეფასოს მის არსებობას! — ყავს მკითხველი? ესე იგი, მისი ფასი კაპიკია! მწერლობაში დაშვებულ მკითხველის რა ხერხსა და საშუალებებს არ მიმართავდნენ დღემდე, მაგრამ მწერლობაში დამკვიდრებისთვის თუ მწერლობაზე უარის თქმა იქნებოდა საჭირო, არ შეეძინა!  
თუმცა რატომ უნდა გამიკვირდეს

თვითმკვლელობის ფაქტი — რა, პირველად გავიგე ასეთი რამ?

— მიდი-მიდი, ხასია! — მაგონდება ჩვენს სტადიონზე გაგონილი, ერთ დროს პოპულარული ფრაზა-ხუმრობა!

მიდით-მიდით, ჩემო იმანოებო! აბა, თქვენ იცით! ყოფას გიტყვით: სულ ვიქნები თქვენი მკითხველი და ამით წერტილს დაეფასებ თქვენს არსებობას!

საზოგადოების დიდ ნაწილში დამკვიდრებულია აზრი, რომ არც სერიოზული მწერლები და არც სერიოზული კულტუროლოგები არ აპირებენ ცნობილი ტრადის — მწერალი-ტექსტი-მკითხველი — რევიზიას, თუმცა ამან არ დაგაფიქროთ, ბატონო პოსტ. პოსტ. პოსტ. მოდერნიტები! ვინ ეკითხება საზოგადოების დიდ ნაწილს, კატას კული საითა აქვს!  
მოკლედ ასე: ძირს მკითხველი! გაუმარჯოს ავტორს!

**გაკარგვებით კი?**

კიბისარ კითხეს, რატომ მიდიხარ ეს-პანეთშიო. რომში რომ დავბრუნდეთ, იყო პასუხი.

ასეა ჩვენი ზოგიერთი პოეტის საქმეც — მიდიან ევროპასა და ამერიკაში, რათა საქართველოში დაბრუნდნენ. ამ ნასვლამოსვლის მიზანი მარტივია: ევროპასა და ამერიკაში ნამყოფი ცუდი ლექსი უკვე „კარგი ლექსია“, ცუდი პოეტი — „კარგი პოეტი“!

ყველაფრის მიუხედავად, სასურველი ტურენა! მახინჯი ვააარ, მაგრამ შენთვის გაკარგდებით, რომ მღერის ხუჯაძე, იმისი არ იყოს, ხომ შეიძლება, ის ცუდი ლექსებიც გაკარგდეს! მაგრამ რომც არ გაკარგდეს, ევრო-ამერიკაში მოგზაურობა, რა, ცუდია?

(რა შუაშია, მაგრამ ამ სიმღერაზე — აი, **გაკარგვებით**, რომ გვპირდება, კაცს ძალაუნებურად გახსენდება გაკარგებული კარგები!).

**მოჯიხის მსოფლიო ბანკი**

დიხს! არსებობს პოეზიის მსოფლიო ბანკიც, სადაც დოლარის, ევროს, სტერლინგის, იენის, ტურკიკის, ზოლოტის, მარკის, მანეთის... მსგავსად, ინახება პოეზიის ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი თვლები! იქ პროტექციით არავინ მიიღებს შენს დაჟანგებულ რკინას, თუჯის ნამსხვრევებს, ფოლადის ნარჩენებს... არც კარგად რეკლამირებული „მეანაბრენი“ აინტერესებთ პოეზიის მსოფლიო ბანკის პატრონებს — მათ პოეტური ღირებულებები სჭირდებათ! — ნამდვილი მარგალიტი, ნაღდი ალმასი, ბრილიანტი, პლატინა, ოქრო, იშვიათად — ვერცხლი და ფოლადიც...

კარგია, ცნობილი პოეტების სახელები რომ გაგიგონია, ასევე ცნობილი სოციალოლოგები, კულტუროლოგები, ფილოსოფოსები, ფუტუროლოგები, კრიტიკოსები! ლიტერატურული მიმდინარეობების თაობაზეც რომ გაქვს საკმარისი ინფორმაცია, ტერმინებიც რომ დაგიმასსოვრებია! მაგრამ არ შევლის ეს საქმეს — ნიჭია საჭირო! — ნაკითხი უნიჭო იმ ბანკში ვერაფერს შეიტანს! ყველაზე მეტი, რაც შენ შენი ჩაღიბით შეგიძლია გააკეთო — შეგიძლია დაარწმუნო გულბრწყინო მკითხველთა ერთი მცირე ჯგუფი, რომ მსოფლიო პოეზიის ბანკში კრედიტი გაქვს შეტანილი, მაგრამ კრედიტ-კარტს ვერ წარადგენ...

შეისტყვება „მესტინ პოეტი“ (იცით, რასაც ნიშნავს — სადაც პროვინციაში მცხოვრებ, ადგილობრივი მნიშვნელობის პოეტს მოიხსენიებენ ასე რუსები!

პუშკინი ჰყავთ ავტორ რუსებს, ლერმონტოვი, ბლოკი, ცვეტაევა, ახმატოვა, პასტერნაკი, მანდელშტამი, ესენინი... მაგრამ ერთი „მესტინ პოეტის“ ერთმა სტრიქონმა სულ გადაფარა აქ ჩამოთვლილი სახელების ოქრო და ვერცხლი — მოიარა მთელი მსოფლიოს თეატრები, ესტრადები, კაფეები, მანტანები, შოუები, ცირკები, ჰუმენინგები, მეძვრა სპექტაკლებში, ფილმებში, საიუბილეო საღამოებზე, დაბადების დღეებზე, კორნისებში...  
გაგახსენებთ „მესტინ პოეტის“ იმ სტრიქონს:

**ეებს, რაზ, ეში რაზ, ეში მნოგო, მნოგო რაზ...**

ეს სტრიქონი, რამდენიც არ ავიბზუთი ცხვირი და არ ჩამოვადოთ სიტყვა შემთხვევითობაზე, მსოფლიო ბანკში შეტანილი ოქროა (გნებავთ — ალმასი, გნებავთ — ბრილიანტი, გნებავთ — ვერცხლი...).

ლანძღეთ ახლა, იქილიკეთ, გამოაცხადეთ ეს ფაქტი აბსურდად, შეცდომად! არაფერი აქედან არ გამოვა! — იმ „მესტინ“ პოეტს აქვს უსათუოდ პასკვილანტა მარცხი, მიხერული კრედიტი! ჩვენ? — არა! ჩვენ — ვერა! ბოდიში!

**ქალის ნაკბენივით? — თუ ფუტკარის ნაკბენივით!**

ქალის ნაკბენივით მახსოვსო! ფუტკარის ნაკბენივით — არა?  
ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი მშვენიერ ლექსიკონებშია მოქცეული! არც ერთ მათგანში არაა დაფიქსირებული ასე-

თი გამოთქმა — ფუტკარის ნაკბენივით მახსოვსო!

არც ტრაქტატის დაწერას ვაპირებ ამ თემაზე, არც იუმორესკისას. უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ რაც ჩემზე კრიტიკული რამ დაწერილა, ზოგი — ძალის ნაკბენივით მახსოვს, ზოგიც — ფუტკარის ნაკბენივით!

ძალის მეტწილად სხვას იცავს და იკბინება!

ფუტკარი ყოველთვის თავს იცავს და იკბინება!

ძალის, თუ შეიძლება ასე ითქვას — პოლიტიზირებულია!

ფუტკარი თავისუფალი არსებაა!

ათასწლეულებია, იკბინება ძალის!

ათასწლეულებია, იკბინება ფუტკარი!

ერთზეც უამრავია დაწერილი, მეორეზეც.

გახსოვთ ის წიგნები, ის წერილები, ის ლექსები?

ძალის ნაკბენივით გახსოვთ თუ ფუტკარის ნაკბენივით?

თუ ვინმეს ჩემი სიტყვა ემნარა, დაიმახსოვროს იგი, როგორც ფუტკარის ნაკბენი — მე არასოდეს ვყოფილვარ დაბმული ვინმეს კარზე ძალისივით, თუ ვიკბინებოდი, ასე ვთქვათ, ჩემი სკის, ჩემი თაფლის, ჩემი უზარმაზარი ოჯახის დასაცავად!

დამიმახსოვრეთ — თუ, ცხადია, ამას აპირებთ და ამაღ ვლირვარ — **ფუტკარის ნაკბენივით!** არ გინდათ ძალის ნაკბენივით!

გახსოვთ ფუტკარზე დაწერილი ყველაზე კარგი წიგნის ავტორი?

ძალის ნაკბენივით გახსოვთ თუ ფუტკარის ნაკბენივით...

**ანდერძის ქურდი! — პარბია, არა?**

ბატ. პასკვილანტის ჩემი ლანძღვა-გინება წიგნად გამოუცია და სათაურად დაურქმევია „ანდერძი ტარიელისა“ — ჩემი ერთი ლექსის სათაური. როგორც იცით, ვეფხისტყაოსანში არის ავთანდილის ანდერძი, მაგრამ ტარიელის ანდერძი არ არის. ეს შესიტყვება — ანდერძი ტარიელისა ჩემია, მისი ავტორი არათუ პასკვილანტი, თვით რუსთაველიც ვერ იქნება! აი, ასე იქურდა, ასე დაარღვია პასკვილანტმა ჩემი საავტორო უფლება! მე ის „წიგნი“ არ წამიკითხავს და არც მაინტერესებს ის სიგიჟეები! იმ აბსურდის ჩემული შეფასება ნაუკითხავადაც იოლი გამოსათქმელია. ახლავე გავკეთებ ამას!

გარდა პასკვილანტისა, ჩემზე, ჩემს ნაცოდვილარზე სხვებსაცა აქვთ აზრი გამოთქმული. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

ჭაბუა ამირჯიბი, ნოდარ დუმბაძე, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნანიძე, გრიგოლ აბაშიძე, ფრიდონ ხალვაში, გურამ ასათიანი, ევგენი ვეტუშენკო, ოლეგ ჩუხონცევი, ზაურ ბოლქვაძე, გივი ალხაზიშვილი, თამაზ ნივინიძე, რევაზ მიშველაძე, ჯანსუღ ღვინჯილია, ჯარჯი ვიოველი, ია სულაბერიძე, პიკო ნიყარაძე, ვახტანგ დავითაია, დავით მჭედლური, ნინო ჩხიკვიძელი, ვახტანგ ჭელიძე, გიორგი შატბერაშვილი, როსტომ ჩხეიძე, აკაკი ბაქრაძე, ედუარდ შევარდნაძე, გრიგოლ კიკნაძე, ლადო მინაშვილი, იუზა ევგენიძე, გივი გაჩეჩილაძე, გურამ ბენაშვილი, თენგიზ მირზაშვილი, რევაზ ინანიშვილი, იზა ორჯონიკიძე, გივი გეგეჭკორი, ალექსი ჭინჭარაული, აკა მორჩილაძე, ზაზა ბურჭულაძე, რევაზ თავართქილაძე, სალომე ოშიაძე, გივი ბერაია, მიხეილ ქურდიანი, ირაკლი კენჭოშვილი, ვილემ მარდაღიშვილი, ქეთი სადღობლაშვილი, ინგა მილორავა, ცისანა კვინიტაძე...

ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც ამ ნაჩქარევ და აბნეულ სიაში არ მოხვდა — სია გაგრძელდა და შევწყვიტე...

(ალბათ იმათი გვარებიც უნდა მესხენებინა, სხვადასხვა დროს ლექსები რომ მიმიძღვნეს და ამით იმედი და სიცოცხლის ხალისი შემამტყუეს...).

მთავარი სათქმელი, რისთვისაც ეს სია ნაკბენივით: რა დასკვნა უნდა გამოვიტანო? — დიდი ქართველი მკითხველი ცდება? და უსათუოდ პასკვილანტია მართალი? მომკალით და ამისი არ მჯერა! და სანამ ასე ვფიქრობ, მანამდე პასკვილანტის აზრები ფეხებზე უკიდია და, სხვათა შორის, არა მხოლოდ ფეხებზე!





გოჩა ხარანაული

\* \* \*
აქ ბალი ხარობს, იქ — ბრონეული...
ლობიდან გარეთ გამოქცეული,

იმ ბრონეულთან სკამს ხისას ვხედავ,
ზედ ნორჩი ბიჭი და გოგო სხედან...

ბიჭმა შეიშრო წვიმა დალალით,
როგორც მზით ზღვიდან ამომავალით...

გოგომ გაანყო ნამნამთა ჯარი,
და ბიჭს შეუერთა ღონე და ჯანი...

ზეცა ირწევა ლურჯი ზარივით,
გოგო პურია!
ბიჭი — მარლი!

სიო აქეზებს ბლის სველ კუნწულებს,
ბრონეულსკენ მიაცუნწულებს...

აქ ბალი ხარობს, იქ — ბრონეული...

\* \* \*
ამიყვავე ქვეყანა, სულში — იაიანი,
რა ბედნიერებაა?! გაჩნდა ადამიანი!

ჩემი გული გებარა, რად მომკერძე ზიანი?!
რა უბედურებაა... გაჩნდა ადამიანი!

ქართულ სულს სხვა დარი აქვს,
რომ არა აქვს სამანი.
ა, ა, ა — ადამიანს,
ადამიანს სალამი!!!

აკოტის გული

გული მანუხებს! მივაშურო რომელ მარჩიელს?!
ნაილეთ გული, მომპორეთ, გადამარჩინეთ!

გულმა შემჭამა და სისხლიან ლაშებს ილოკავს,
გულმა დამდალა, ამიკლო და ამანიოკა!

ნაილეთ გული, უსასყიდლოდ მომირთმევი,
თქვენ თუ არ გინდათ, იქ დამარხეთ, სადაც მთებია!

თუ გეამებათ, მწვადად შენვით, უმად შეჭამეთ,
ფეხით გათელეთ, მიითრიეთ, სადმე შეჩარეთ!

არ მინდა გული! ჩემთან ბრძოლა მისი წესია,
რადგან სიცოცხლე მის გარეშე უკეთესია!

ნაილეთ გული! ძაღლის შვილი ვიდრე მიყვლებს,
რა თავში ვიხლი, რა ფარ-შუბად გამოვიყენებ!

ეს მოლაღატე, გამცემელი, ცოდვის სალარო,
მტერთა იმედი, მოკეთეთა სამასხარაო!

ვით ვიფიქრებდი, უდარდელად თუ გამწირავდა,
ამომავლიჯეთ ეს ლაჩარი და ნაძირალა!

ეხლა თქვენ იყოს, არ ჩამთვალთ ოღონდ სულელად,
თუ ამოიცნობთ - ყველა ნატვრა აგისრულდებათ!!!

ცოდვის ბენია

„ხემან ყველმან, რომელმან არა
გამოიღოს ნაყოფი კეთილი,
მოეკვეთოს და დაედვას ცეცხლსა“
— წმინდა ნიკნინა

ვითარღა სიტყვა აღმოვიწოდო,
ვითარ აღვალო თვალი ალიონს!
მე ვინანიებ, რამეთუ ვცოდო,
და ვცოდავ, რათა მოვიწინაო!
წარვიწყმიდები, უფალო, ვიცი,
ერთს ვლაპარაკობ, მეორეს ვფიქრობ,
(ჯოჯოხეთით ცხელ შუბლს ადნები,
ბოლო იმედის ფარფატა ფიფქო).
მე უფსრულის წინ ვერაფრით შევდექე,
ვცოდავ და ვცოდავ, ვერ ვძლები ცოდვით,
იმის სანაცვლოდ, დავიძრა შენსკენ,
უტიფრად გიხმობ: „უფალო, მოდი!“
დახრაკე ჩემი ხორცი და ძვალი,
მომგუდე ჩემივ სისხლით და ვნებით,
რამეთუ როგორც საცერში წყალი,
მივედინები და ისე ვქრები.
განა არ ვგრძნობდი შენს მზერას ნაცადს!
ამ წუთშიც შენს წინ მორჩილად ვდრკები,
და შენი ეკლის გვირგვინის ნაცვლად,
მაინც ეშმაკის ვარჩიე რქები!
სხნის იალქანი ვისთვის გაბერე,
ვინ მოარჩინე შენი იართო,
რომ აქამომდე თავს არ გაბეზრებს
ტაკიმასხარა ადამიანი!!!
მე გადარჩენის ყველა გზა ვიცი,
მე დაბრუნების ყველა გზას ვცნობდი,

და მაინც უნდა გავტეხო ფიცი,
ისე მწყურია ჩადენა ცოდვის!
დავნებდი ჩემ თავს, და ბრძოლას მოვრჩი,
მე ჩემი თავის არა ვარ ღირსი,
ისე მწყურია სისავსე ხორცის,
ისე არ მინდა დათრგუნვა მისი!
და რადგან ეშმა ძე ცდომილს შენსას
გამარჯვებულის ჟინით უროკავს,
მამ „გაუმარჯოს“ გენიის ცეცხლში,
დამსახურებულ მოგ ზაურობას!!!

\* \* \*
ვერაფრით ვერ ამატეკვეს წლებმა თავის დაკრულზე,
ზოგი ნებით ნაიხარა, ზოგიც ძალით ნაკუზეს!

დამიჟანგდა ზარი ხმაში, სევდის ვნრუპავ ფიალებს,
დღესაც, როგორც ბავშვობაში, წვიმა მასევედიანებს,

შემერივნენ ჩქარა თმაში ფანტელები ირიბად,
დღესაც, როგორც ბავშვობაში, სატირალზე ვტირივარ.

ვერაფრით ვერ გამატარეს წლებმა თავის ჭკუაზე,
ზოგი უკვე თანახმაა, რაზეც იყო უარზე.

ზოგ ნაკაცარს ის მოუნდა, რაც არ უნდა უნდოდეს,
მე - გნოლებად დავერიე წლებად მომდგარ ურდოებს,

ციკნებივით მიეყიდნენ ცოდვის უღელს შებმულებს,
ვერ გავიგე, რა ეტაკათ კეთილ-აფეთქებულებს!

გადარჩენის იმედი მაქვს მაინც კაცის უნასის,
ისევ მიყვარს, ისევ მჯერა ჩემი ხუთკუნწულასი.

ცა მიწას არ ვანაცვალე, რწმენით მოვკალ ლალატი,
არაფერზე არ გავცვალე სიღარიბის ხალათი.

სეტყვად მოსულს ქვად დავუხვდი, ცხვირში ძმარი ვუდინე,
ჩასახვეი ჩავუხიე, დედის დედა ვუტირე!

ეხლა გინდა დანით დამკლას,
კლდეს დამკიდოს ფრიალოს,
გინდა ზურგში თოფი დამკრას,
მომწყლას, გამატიალოს,

ამაცილოს გინდა მცნებას,
გინდაც გულად მიმტყუნოს,
ველარაფერს გამომრჩება,
წავიდეს და იხტუნოს!!!

\* \* \*
დრო იყო მიწას ვერიე, ვიდრე მომზეღდი ზეცით,
გინდოდი ადამიანად, არ ვყოფილიყავ მხეცი!
მომეც ფარა და ნახირი, ტახტი სკიპტრა თუ კვერთხი,
გავდიდგულეთ და ავხირდი, ერთი მაღლობა ვერ ვთქვი,
დილით მზე ამომიმზევე, ღამით — კამკამა მთვარე,
მოფერების წილ ალაღ ძმას გულში მახვილი ვთხარე!
აგების ნაცვლად ვანგრიე, უხვად თავს ლაფი ვისხი,
მერე ყელამდე ჩავდექი ჩემი მოყვასის სისხლში!

არ გამწირე და შემინდე, შენს მამას შემახვენე,
არა დაგინდე დამნდობი და კალოსავით გლენე!
არც საყვედური წამოგცდა, არც მუშტი მომიღერე,
ფერდიდან გადმოგადინე წყლისა და სისხლის ღელე!

სიკვდილის კლიტე შემხსენი - სიცოცხლე დამიმკვიდრე,
მაინც აუგად გახსენებ, ენას ვაბრუნებ ვიდრე.
მტვრად მექცნენ იაგუნდები, სულის ლადარი — ნაცრად,
ნეხვის გროვებას ვუნდები, პურის გროვების ნაცვლად!
პირი და მხარი გიცვალე, გავხდი ეშმაკის ხარჭა,
შენგან ბოძებულ სიცოცხლეს
თვითმკვლელობაში ვხარჯავ!

მოვირგე ურგო ნილაბი, თვალებს გეენა მიწვავს,
ლამაზად მიწა ვიყავი, რად არ დამტოვე მიწად!!!

აუცილებლობა ქართულად

შეგნებულად თუ შეუგნებლად,
შექებულად თუ შეუქებლად,
ვიცი — შენს სიკვდილს ელიან!



ვიცი, მიწვეულის გადაჩვევა,
ცოცხლის სიცოცხლეში გადარჩენა,
წარმოუდგენლად ძნელია!

...ჰოდა, დამდგარან სახედრები,
მზაკერულ მოთმინებით ნახედნები,
დგანან, დგანან და ელიან...

ვირთა განაჩენი საჩინოა!
მაგრამ სიკვდილი საჭიროა!
უფრო მეტიც — ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა!!!

ბამოწინადა
შეშლილის მონოლოგებიდან

რადგან მატლი ვარ, მატლის ცვლილებით,
და შენს სიხარულს მე ვერ გავიგებ,
განმნილე შენი განანილებით და
ფანტელებად ჩამომარიგე!

შემომისიეს გულზე არწივი,
მაქვრეს და მშრიტეს, არ კი მანათეს,
წარილე ჩემი ხორცის ნაწილი,
სანაცვლოდ სული შემომამატე!

თორემ უდაბნოს ხვატი მაბრუებს,
კვალში მიდგას და მარად თანამდევს,
თორემ ამ უღვთოდ უთანაბროებს
შევეტოლე და შევეთანაბრე!

მარხვის მაგიერ მივყევ ღრეობებს,
ვერ აღვუდექი ხორცის ბორკილებს,
გამინდვრების ჟამს გავიხეობე,
წავბორძიკდი და წავიფორხილე!

მჭირდება შენი მართლად მხედობა,
თავს ლოდი მაძევს, ქედზე — უღელი,
გულში — ვნებათა უკუნეთობა,
დასანველი და დასაბუგელი!

მამ, მოგველინა დართა დარები,
ცრემლით ხრიოკი იქნებ მენამა,
არ შემაჩერო, გემუდარები,
რქა შეუმუსრო იქედნეთაგანს!

იმას ვუწოქებ, ვინც დგას ქადაგად,
ვინც უკუქცეულს წაღმა აბრუნებს,
მამ, ჩამონურე მზეი ბადაგად
და იარებზე მომისალბუნე!

თუმც მიწიდან ვარ გამოყვანილი,
მანც უსრულო, ზესრულს ვესავდი,
მაინც კაცი ვარ ზეცის მარლით,
და სურნელს ვაფრქვევ მესანთლესავით!

გამომალვიძე შენს წინ მძინარი,
შემომიმტკიცე ზესნი რვალებად,
შენი წყალობით პირმომცინარი,
არ შემაქციო ნამტირალევად!

იყავი რწმენის ჩემის კედელი,
სიცოცხლის ბუხარს შემა ვუკეთო,
და სიყვარულის სულისკვეთებით
მოვაძაბუნო საუკუნეთო!

მე ვარ წარსული! ასე განვაგე!
მე ვარ სნება და მე ვარ კურნება,
რადგან გომორის ნათესავი ვარ,
სოდომს ჟინით რომ ეკურკურება!

მე ვარ მყობადი! ასე განვაგე!
რამეთუ ჩემი თავის თავი ვარ,
მე — დანყებული სანყისს მიყვებები,
მე არ ვიგონებ სანყისს თავიდან!

ქვაბშიგან ვიჯექე!
შიგან მიჭირდა!
სულში ბარდნიდა ხორცი ფერფლივით!
გამოვიხედე და გამიკვირდა,
ცისკარი ხეზე შემოფრენილი!!!

აკოტი

დ ი ლ ა
სისხამზე,
იანვრის
სუსხში,
როცა ძაღლებს ყეფა ეზარებათ, მე გამოვდივარ
სიწუმეში გაფანტულ სიყვარულზე სანადიროდ...
არ ვარ ტოროლა, არ ვარ ჭოტი და არც „ჯოტია“,
მე ვარ პოეტი, პოეტი კი ოქროს ზოდია!
შენ ვერ მიპოვნი, ვაჭარი და ავი მუშტარი,
კითხვა არ იცი, მე კი შენთვის მომაქვს უსტარი!
რომელშიც
შ ე ნ ი
გადარჩენის
ტ ე ქ ს ტ ი
წ ე რ ი ა !
მ ე ვ ა რ
პ ო ე ტ ი !



შოთა იათაშვილი

კალიების შემოსევა

ქალაქში კალიების შემოსევა დაიწყო. ქუჩებში ადამიანების ჟესტიკულაციები დღითიდღე მძაფრდებოდა. ხმოვანი ეფექტებიც სულ უფრო შთაბეჭდავი ხდებოდა. ვიდუოკამერა ჩავრთეთ და გარეთ გავედით. ჩემთვის, როგორც ქორეოგრაფისთვის, ეს ახალი გამოცდილება დაგროვების ბრწყინვალე საშუალება იყო. დავდიოდი და ვიღებდი. ქალაქი რამდენიმე დღეში სცენად იქცა. მოსახლეობა ერთ დიდ თეატრალურ დასად. კალიებმა აქამდე არაფრით გამოჩნულ ან ნაკლებად გამოჩნულ ადამიანებში გასაოცარი არტისტიკული ნიჭი გამოავლინეს. უკვე თითქმის ყველას თავისებური, გაუმოწრებული პლასტიკა ჰქონდა. ხელ-ფეხის ქნევის თავბრუსმომხვევი და თვალისმომჭრელი კასკადები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ყოველი ჟესტი ღრმა შინაგანი ექსპრესიით იყო აღბეჭდილი და სიყალბის ნიშანყალბე არ ეტყობოდა. პანტომიმა უცებ იწყებოდა და მოულოდნელადვე მთავრდებოდა. ასეთი მძაფრი დინამიკა ხშირად არანაკლებ საინტერესო სტატიკაში გადადიოდა. ადამიანები ჩემთვის აქამდე სრულიად ნარმოუდგენელ პოზებში შეშვდებოდნენ. და მერე ისევ იწყებდნენ ბზრიას, ქანაობას, კიდურების ასინქრონულ მოძრაობებს. ხანდახან სირბილსაც, გადაადგილებას ახალი, სპორტულ-თეატრალიზებული წესებით. არანაკლებ საინტერესო ფენომენს წარმოადგენდა მათი ნამოძახილები, ნამოყვირებები, შეკვივლებები, ყმუილები, ამოქოშინებები, ამოხზვრები და, რაც მთავარია, ის უცნაური აუდიორიები, როდესაც შეკვივლება უცებ ამოქოშინებაში გადადიოდა, მერე იქიდან დასტვენაში, დასტვენიდან ზმუილში, ზმუილიდან კი ლოცვის ბუბუტში და ასე შემდეგ, დაუსრულებლად... კომბინაციათა რაოდენობა უღვევი იყო, და მე, კალიების შემოსევის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ საბოლოოდ ვინამე, რომ ადამიანის ფანტაზიას და შესაძლებლობებს მართლა არა აქვს საზღვარი.

სახლში რომ ვბრუნდებოდი, ჩანანერები კომპიუტერში გადაქმნიდა და ვამუშავებდი. ყველაზე ორიგინალურ სცენებს ცალკე რგოლებად ვჭრიდი და ვხარისხებდი. მერე დეტალურად ვსწავლობდი შენელებული მოძრაობების და დაპაუზებების საშუალებით და ვცდილობდი, ეს ნომრები თავად შემესრულებინა. თუმცა აქვე ჩემი ქორეოგრაფიული გამოცდილება ირთებოდა და ნაცვლად ზუსტი გამეორებისა, ვცდილობდი სტილიზაცია მომეხდინა, ყოველივე ეს რაღაც ესთეტიკური პრინციპისთვის ან კონცეპტუალური სქემისთვის დამეჭვემდებარებინა. რაც უფრო ძლიერდებოდა კალიების შემოსევა ქალაქში, მით უფრო უკეთ იკვეთებოდა ჩემი მომავალი სპექტაკლის მონახაზი, სპექტაკლის, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, გადატრიალება უნდა გამხდარიყო თეატრალურ სამყაროში.

თანდათან იმაზეც დავინყე ფიქრი, თუ ვის შეიძლება, ჩემს ამ საეტაპო სპექტაკლში ეთამაშა. მოცუკნავეების, დრამატული თეატრის მსახიობების, მიმების გრძელი სიები ჩამოვწერე. მერე ვუჯექი ამ სიებს და გვარებს ერთმეორის მიყოლებით ვშლიდი. რამდენიმე კანდიდატურა მაინც შემრჩა. ერთი-ორს კიდევ და ვუძახე და ერთად რაღაცები მოვსინჯეთ, მაგრამ უკმაყოფილო დავრჩი. გულიც მიგრძობდა, რომ ამ წარმოდგენისთვის არტისტები სადღაც სხვაგან უნდა მეძებნა, მაგრამ სად, ვერ ვხვდებოდი. ყველა რაღაცნაირად ყალბი იყო, ყალბად ისტერიული, ყალბად ექსპრესიული, ყალბად ეფექტური. იმას მივანერე, რომ მათ გავუმხილე, თუ საიდან მქონდა წამოდებული ეს მოძრაობები და ხმები და ამიტომ, სცენაზე როგორც კი დგებოდნენ, ყველაში მაშინვე კალიებს ხედავდნენ და მათი შესრულებაც კალიებთან ბრძოლის მიმეზის ვერ სცდებოდა. სხვები დავიბარე და ისე დავინყე მათთან რეპეტიციები, რომ კალიების შემოსევაზე კრინტიც არ დამიძრავს, მაგრამ ზუსტად იგივე შედეგი მივიღე. ბოლოს ისიც კი ვიფიქრე, რომ ამ სპექტაკლს მოცუკნავეები კი არა, კალიებისგან დაშინებული ჩვეულებრივი ხალხი სჭირდებოდა და მათ მოსინჯვასაც მივყავი ხელი, მაგრამ არც ამ ექსპერიმენტმა გაამართლა. და ჩემს პირვანდელ შემართებას ნელ-ნელა უიმედობა შეეპარა.

ანი ისეთი სიხშირით ქალაქში აღარც

გავდიოდი. მასალა თავზეხაყრელი მქონდა და ჩემს მთავარ საფიქრალს ამ მასალის გაცოცხლება წარმოადგენდა, რაც ძირითადად სტუდიურ სამუშაოს მოითხოვდა. მაგრამ იმ დღეს, მორიგი კასტინგით განხილვებულმა, კვლავ ვიდუოკამერას დავადექე ხელი და ფეხით მოსიარულეებს ერთხელაც შევერიე. უკვე რაღაცნაირად უხალისოდ ვიღებდი, ინერტულად, მექანიკურად. თითქოს მხოლოდ დრო გამყავდა და მეტი არაფერი. ისიც კი მომეჩვენა, რომ უკვე მომზერებოდა მთელი ეს დამფრთხალი მოძრაობები, მომყირჭებოდა, უინტერესოდ გადაქცეულიყო ჩემთვის. და არა მხოლოდ ჩემთვის: ქალაქის მაცხოვრებლებიც უკვე რაღაცნაირად დუნედ იგერიებდნენ საბოლოოდ გააფრთხულ უზარმაზარ კალიებს, ისინი თითქოს ადრინდელივით საშინი აღარ იყვნენ, და იმიტომ, რომ ყველანაირ უბედურებას ეჩვევა ადამიანი და რაც დრო გადის, მით უფრო მშვიდად იღებს მას. ბრძოლის გამოცდილებასაც თავისი ექნა და ენერჯის მინიმალისტური დანახარჯებით ხერხდებოდა კალიებთან გამკლავება. კიდურების ქნევის თანხმობები საუნდები ხომ თითქმის საერთოდ გამქრალიყო. ეს უკვე რაღაც ახალი წარმოდგენა იყო. შეიძლება წინაზე უფრო ავანგარდულიც კი. ყოველივე ამის დანახვამ და გაცნობიერებამ უილაჯობის მდგომარეობიდან გამომიყვანა და კვლავ ჩამართო დაკვირვებისა და გადაღების აქტიურ პროცესში.

პაპანაქება სიცხე იდგა. ღია კაფესთან შევეკონი, ტანსაცმლიდან რამდენიმე კალია ჩამოვიფერთხე და მინერალური წყალი მოვითხოვე. სანამ მოზრდილი ცივი ყლორებით ვგრილდებოდი, ჩემს გვერდთან მაგიდასთან მჯდომმა, მეგობართან მოსაუბრე ერთმა მეგობარმა კალიას ხელი დაუკვირვებლად აუქნია და ყავა გადააქცია. საერთოდ, ამ ბოლო დროს ღია კაფეებში განსაკუთრებით შემიყვარდა ადამიანების დაკვირვება და მათი ფორზე აღბეჭდვა. მათი ჟესტიკულაციების ტრაგიკომი აქ კომიკურ ელფერს იძენდა ხოლმე. ცივი ლუდთან ან ტორტის ნაჭერთან აფართხალებული ხელიანი ადამიანებს განსაკუთრებით სანყლებს და სასაცილოებს ხდიდა. თუმცა, მეორეს მხრივ, მარცხის დიდი ალბათობა კაფეებისადმი მათ ერთგულებას ვერანაირად ვერ ანელებდა, პირიქით, თითქოს ამძაფრებდა კიდევ და მე ამაში ადამიანური ბუნების სიღიადეს ვხედავდი. ჭურჭლის ლანალუნი, წვენიებითა თუ ცივი ლუდით წუნაობა, კერძებში თავიარგული თუ სასმელებში ყოზანავე კალიები კაფეში ჯდომის ვნებებს ყველაში ერთიანად ზრდიდა. არცთუ იშვიათად კლიენტის მაგიდისკენ დაძრული მიმტანები ლანგრებს ხელს უშვებდნენ და მთელი შეკვეთა ქვაფენილს ენარცხებოდა. კაფეების მეპატრონეები მიდიოდნენ ამოდენა ზარალზე და თავიანთ დაწესებულებებს მაინც არ ხურავდნენ. ადამიანები შეუპოვრები იყვნენ, და ყველაზე მეტად კაფეებში იყვნენ შეუპოვრები. ისინი კალიების შემოსევის გამო არანაირად არ დასთმობდნენ თავიანთ თავისუფლებას, თავისუფლებას ღია ცის ქვეშ ჯდომისა, მეგობართან გულახდილი საუბრისა, სასმელის წრუპვისა და ოფლის ღვრით მოპოვებული ფულის ფანტისა. კალიები ვერანაირად ვერ აჯობებდნენ ადამიანებს, იმიტომ რომ მათ კაფეები ჰქონდათ, ასეთი დახვეწილი და ნატიფი, მაგრამ შეუვალი ციხისმაგვრები.

ჩემს ფიქრებზე ჩამედიმა. მინერალური წყლის ფული მაგიდაზე დავედე და წამოვდექი. კალია ფულს დაახტა. მაინცდამაინც ფულს. თითქოს კალიების მოქმედებაში უკვე ღრმა აზრები იკითხებოდა. თითქოს კალიებმა უკვე იგრძნეს, რომ ადამიანებთან ომს აგებდნენ და მატერიალური მოგების მოპოვებაზე გადადიოდნენ. ჭამდნენ, სვამდნენ უფასოდ კაფეებში და იქვე ფულის მოვნასაც ცდილობდნენ. ეს უკვე კარგია — გავიფიქრე — ნაიღონ თავიანთი წილი და წავიდნენ. კალიებს უნდოდათ ადამიანები დაეღალათ, მაგრამ მგონი პირიქით ხდება — ადამიანები ღლიან კალიებს. მართლაც, როდემდე შეიძლება მათ ასე იხტუნაონ? ადამიანისგან კი რა მიდის? ხელს ის ყოველთვის გაიქნევს და თუ დასჭირდა, ფეხსაც მიაყლოებს. და მგონი უკეთესებშიც გახდნენ ამ ბოლო დროს ადამიანები. ადრე ერთმანეთს უქნევდნენ ხელ-ფეხს, ახლა კი მხოლოდ კალიებს. შესაძლოა ბოლომდე ჰუმანური

საქციელი არც ესაა, მაგრამ ადრინდელ საქციელზე გაცილებით ჰუმანური ნამდვილად არის...

ვიდეოკამერა ხელში მოვიგდე და გზას გავუყევი. თავში, აი, ასეთი აზრები მიტრიალებდა. ვფიქრობდი. და აღარ ვიღებდი. თითქოს აღარც ხალხისკენ გამიბრბოდა თვალი, მაგრამ ამ ფიქრიან სიარულში ერთმა ორმოციოდე წლის ქალმა ძალაუნებურად, თანდათანობით მაინც მიიპყრო ჩემი ყურადღება. ორივენი ერთი ტემპით ვმოძრაობდით, ერთი მიმართულებით და ის ორიოდე ნაბიჯით ჩემს წინ იყო. თავი ოდნავ დაბლა დაეხარა და მშვიდად გადაადგილდებოდა. თითქოს არც არაფერი იყო მასში განსაკუთრებული, არადა, მე ჩემს ფიქრებს მივსდევდი, ჩემი მზერა კი რატომღაც მას გამოეკიდა და არაფრით არ სცილდებოდა. კაი ხანი ვიარეთ ასე, სანამ ეს თეთრკაბიანი ქალი იმ პატარა თეთრ ნავად არ დავინახე, რომელიც კალაპოტიდან ამოვარდნილ, ამღვრულ მდინარეში თავისი უცნაური მექანიზმის წყალობით წყნარად და უსაფრთხოდ მიცურავდა. ამ სახეობა უცებ გონება გამინათა და ყველაფერს მიმახვედრა: მდინარე ქუჩა იყო, მღვლეარე ტალღები — შიშისაგან შექმნილი არტისტიზმით კალიებთან მეზობლი ადამიანები, თეთრი ნავი კი ის ქალი, რომელიც არც ხელს იქნევდა, არც ფეხს და როგორც ჩანდა, საერთოდ არ აღელვებდა კალიების არსებობა. მეტიც, შესაძლოა, ვერც კი ამჩნევდა მათ. დავაკვირდი: მართლაც, კაბაზე ბლომად კალიები აღსდნენ და აქეთ-იქიდანაც ახტებოდნენ, მაგრამ საერთოდ არ რეაგირებდა მათზე. კამერა ჩავრთე. ვიღებდი მის სიარულს ქუჩაში და თანდათან ვხვდებოდი, რომ ასეთი მოძრაობა დიდი ხანი იყო, რაც აღარ შეინახა. ეს ყველაზე შთაბეჭდავი და გამორჩეული მოძრაობა იყო. ის პლასტიკა და თეატრალური სიგიჟეები, რაც ქალაქებში კალიების შემოსევისთანავე დამკვიდრდა, რამაც ასე მომწუსხადა რის საფუძველზეც სპექტაკლი-შედეგის დადგმას ვაპირებდი, ერთ წამში გაუფრულდა ამ ქალის სიარულის სტილის ფონზე.

თუმცა, არა. ეს სტილი არ იყო. სტილებს თავად მე ვიგონებდი, სახელგანთქმული ქორეოგრაფი, და ახლაც, ახალი სტილის გამოგონების პროცესში მყოფს სწორედ ამ სტილს მიღმერმა მოძრაობამ ამომიყრია ყველაფერი. ნეტა ვინაა? მივიღე? გავიცნო? აქვს ვითომ რაიმე აზრი? ბევრი კითხვა ერთად გამიჩნდა. კამერა გამოვრთე და ნაბიჯი შევანელები. ჩემი მსახიობების არადაამაჯრებული მანჭვა-გრეხვები ამომიტვიცვდა რატომღაც თავში. თეთრკაბიანი ქალი თანდათან მშორდებოდა. ვუყურებდი მას, ჩემს შუბმდგარ სპექტაკლზე ვფიქრობდი და თან ცალი ხელით ყველაზე მომახებურებელ კალიებს ვიმორებდი. და ამ დროს თავში დამკრა: თუ ვინმეს შეუძლია ისეთი პანტომიმის შესრულება, რომელიც მე მჭირდება, ეს ის ქალია! მსახიობებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ კალიების მოგერიების მსგავსი მოძრაობები უნდა შესრულებინათ, ეს ვერ შეძლეს. ვერ შეძლეს ვერც იმ მსახიობებმა, რომლებმაც ეს არ იცოდნენ. და ვერც კალიებით დამფრთხალმა უბრალო ადამიანებმა. რჩებოდა მხოლოდ ის, ვისაც კალიების არ ემინოდა, ვინც მათ ვერც კი ამჩნევდა.

ადგილს მოვწყვიდე და თეთრკაბიან ქალთან მივირბინე.

— გამარჯობა.

შედეგა. ამომხედა. შიგ ჩაბრუნებული მზერით. დაბნეულად. არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიგრძენი, მკითხა, რა გინდაო.

— თქვენთან მინდობა ვასაუბრებო.

მზერა ცოტათი ამოაბრუნა ჩემსკენ. მიყურა, ვითომ მიყურა, ისევ არაფერი მითხრა, მაგრამ ვიგრძენი, იგივე კითხვა გამიმეორა, რა გინდაო.

დავიბენი. ვერ ვხვდებოდი, რა მეთქვა. უაზროდ მომეჩვენა საკუთარი თავის წარდგენა, იმის თქმა, რომ ქორეოგრაფი ვარ და მისით დავინტერესდი. და ისე, რომ გუნებაშიც არ გამივლია, ჩემად მოულოდნელად პირიდან მომწყდა:

— კალიების რატომ არ გეშინიათ?

რამდენიმე წამში ქალს თვალები გაუფართოვდა. ბოლომდე ამოატრიალა მზერა ჩემსკენ და შემომაცქერა.

— რა?

ჩუმად ვიდექი.

— რა? — გამივრია შეკითხვა და ვიგრძენი, რომ ამ ერთმანეთს შეკითხვაში უკვე შიში გაიპარა.

და უცებ ჩემი პერანგიდან ერთი კალია აფრინდა და მას სახეში მიახტა. ქალმა ინივლა. შემზარავი სასონარკვეთით. ხელები სახისკენ გაიქნა და ითხლიშა, ერ-



თიც. მეორეც. მერე თმები მოიპუტა, მერე მთელი ტანით აძაგაგდა. კაბიდან რამდენიმე კალია მოსწყდა, მაგრამ ამან უფრო გაამხარა: ძირს დაცემულ კალიებს ფეხსაცმლის ქუსლებს გაშმაგებით ურტყამდა, კაბას სხვადასხვა ადგილში ეპოტინებოდა და ლაშის იგლეგდა, ცრემლებს ღვრიდა, წიოდა, ცახცახებდა, ტანში იზინქებოდა, ხტოდა, „კალიები, კალიები, კალიები...“ — ბუბუტვებდა კომპარში მყოფივით... ასეთი ისტერიკა აქამდე არ მენახა. და ცხადია, არც გამვლევებს ენახათ. ამიტომ რამდენიმე წამში მის ირგვლივ ხალხი მოჯარდა. ზოგი ცდილობდა დაემშვიდებინა, ზოგი მისი ტანიდან კალიების მოცილებას ცდილობდა, ზოგი, როგორც ასეთ დროს ყოველთვის ხდება ხოლმე, უბრალოდ სეირს უყურებდა. ქალი კი ვერაფრით ვერ მშვიდდებოდა. დაეცა, ტროტუარზე გაგორდა, ფეხები ზემოთ აიშვირა და გაუჩერებლად აქნევდა. ბოლოს სასწრაფო მოვიდა, ძლივს გააკავეს და წაიყვანეს.

ამის მერე ის ქალი აღარ მინახავს. ვერც ვერაფერი გავარკვიე მის შესახებ. სპექტაკლი კი მაინც დავდეგი. ადამიანი სუსტი არსებაა, თვით სახელგანთქმული ქორეოგრაფიც კი. ვხვდებოდი, რომ უნდა შევშვებოდი ამ ყველაფერს, მაგრამ დამუშავებულ მასალას ვერანაირად ვერ შეველიე. დიდი შრომა მქონდა ჩადებული და მისი წყალში ჩაყრა საქმისადმი არაპროფესიონალურ დამოკიდებულებად ჩავთვალე. უფრო სწორად, ჩემს თავს ვუმტკიცებდი ასე, თორემ გულის სღრმეში ვიცოდი, რომ უბრალოდ ცდუნებას ვიყავი აყოლილი და მას ვერანაირად ვერ ვაღწევდი თავს.

პრემიერა სექტემბრის ბოლოს შედეგა. შედარებით აგრესიულიყო და კალიებიც გამქრალიყვნენ ქალაქიდან. ღირს ვითომ იმის თქმა, რომ სპექტაკლი საშინლად ჩავარდა? კალიების შემოსევისგან ძლივს თავდადნაურად მასყურებელი გინებით ტოვებდა დარბაზს, სადაც კვლავ კალიების შემზარავ შემოტევებს აჩვენებდნენ. თეთრკაბიანი ქალის ფინალურ სცენამდე დარბაზი თითქმის ბოლომდე ცარიელდებოდა და რამდენიმე კრიტიკოსი თულა რჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული განზრახვებით. თეატრალურმა კრიტიკამ ჩემს წარმოდგენას „არაპუმანური ეპატაჟი“, „ადამიანების წერვებზე ბოროტი თამაში“, „რეალობის ცუდი სუროგატი“ და რა ვიცი, კიდევ რა არ უნოდა. სამი პრემიერის შემდეგ სპექტაკლი მოიხსნა.

გულდამძიმებული კაფეში შევედი და ვისკი შევუკვეთე. უწრნალ-გაზეთების სქელ დასტას ვფურცლავდი და ჩემს ნაირგვარ თათხვას თვალს ვავლებდი. მსხვრევის სუსტი ხმა შემომესმა. თავი ავნიე. ჩემს გვერდითა მაგიდაზე მჯდომი მეგობრის ყავის ჭიქა ამოყრავებოდა. გამედიმა. მგონი, პირველად ამ ბოლო დღეებში. ოფიციალტმა ვისკი მომიტანა. დავხედე, რამდენიმე წამი ვიფიქრე, მერე ხელი გავიქნე და ისიც ძირს დავახეთქე. ოფიციალტი უკვე დახლთან იყო მიბრუნებული. გოგონამ თვალები მომაჭყიტა.

— კალიები წავიდნენ — ვუთხარი მე.

— ისე დაბრუნდებიან — მიპასუხა გრძელი პაუზის შემდეგ.

— ნნ!

— ...

— მიყვარხარ.

— რა?

— მოვიცალე და მიყვარხარ. აქამდე სულ კალიებზე ვფიქრობდი.

— ჰა? — პირი დაალო.

გავუმოერე ნათქვამი. და ყურებამდე გავუღიმე. მაგიდაზე გაღვრილ ყავის ლაქას დახედა. თითი ჩაანო შიგ. გული მოხაზა. მერე ისარი გაურჭო. ცოტა ხანი უყურა, ყავით მოთხერილი საჩვენებელი თითი მოილოკა,

— ნეტა ერთი — ჩაილაპარაკა, ხელი ჩაიქნია, ოდნავ მიბრუნდა და მეორე მხარეს გაიხედა.

და დავინახე, პატარა კალია როგორ შეახტა გარუჯულ ზურგზე.



დასაწყისი N 55-56

ლაშა იმედაშვილი

# ქართული მანონი



„ქართული მანონი“ და ხელოვნების მუშაკთა შორის არიან ცალკეული პირები, რომლებმაც უნდა გადასინჯონ თავიანთი კავშირთა დასრულება ქართველი ხალხის მტრებთან – აღნიშნულთან, ჯიქიასთან, ელიავასთან და სხვებთან. სერიოზულად დაუფიქრდნენ ამას და გამოიტანონ თავისთვის ყველა საჭირო დასკვნა, ვინაიდან არავის ნებას არ მივცემთ ითვალთმაცქოს, ქართველი ხალხი მოატყუოს და საბჭოთა მანონის ან მხატვრის მალაქი სახელწოდების ამოფარებით აკეთოს თავისი შავი საქმე ხალხის მტრებთან ერთად. მაგალითად, პავლე იაშვილი, რომელიც უკვე 40-ზე მეტი წლისაა, დროა ჭკუა ისწავლოს.

სიკეთე არ მოჰყვება მის ნავარდს ლომინადისგან ჯიქიასკენ, ჯიქიასგან აღნიშნული საკითხი, ლოლობერიძისგან ლომინადისაკენ და ბოლოს, ელიავას კლანჭებში. ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის საქციელს აგრეთვე გამსახურდია, მინიშნული, შევარდნაძე და კიდევ ზოგიერთები.

ჩამოთვლილმა მწერლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი შემდგომი საქციელი, ის გარემოება, თუ რა სწრაფად გარდაქმნებიან და დაჰგომბენ ისინი თავის წარსულ საქმეებსა და კავშირთა დასრულებას, განსაზღვრავს ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას მათადმი“.

**მანონის** ქილა ვერ იტევდა, თორემ ზოგიერთებში, რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად, იგულისხმებოდა მწერალი ვასილ კორინთელი, რომელიც იმხანად, ანუ სანამ ცოცხალი გახლდათ, ლიტერატურაში „კაჭკაჭის“ ფსევდონიმით მოღვაწეობდა.

ცუდი კაცი არ ეთქმოდა ბატონ ვასილს. მართალია, დიდი განათლება- განსწავლულობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ, როგორც იმხანად გახლდათ მიღებული, მაინც ხშირად გამოდიოდა ლიტერატურულ შეკრება-სხდომებზე. პარტიის კურსსაც აქებდა და მთავრობის პოლიტიკასაც იხილავდა, პროლეტარული ელფერით შეზავებულ პატრიოტულ ლექსებსაც უხვად წერდა, მაგრამ რაღაცნაირად, მხოლოდ მისთვის ნაცნობი გზებითა თუ ხერხებით, კოლეგების ლანძღვა-გინებას, იგივე დანოსების წერას, თავს არიდებდა. არადა, ეს კოლეგები გამუდმებით დასცილდნენ ბატონ ვასილს, რა თქმა უნდა, ზურგსუკან, მისი საჯარო გამოსვლებისა თუ შეხვედრების გამო. ერთ თავსეყრანზე განაცხადა: შექსამო ლესინის გავლენით წერდაო. ეს არ იქმარა და მეორე თავსეყრილობაზე პირდაპირ ასე თქვა: ეს მწერლები დეკამერონით და ბეატრიჩეს სტილით მოღვაწეობდნენო. თუმცა ეს არ უშლიდა ხელს, რომ რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი ყოფილიყო და ერთიორი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილიც დაეწერა. მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, მეუღლე ბატონ ვასილს გამუდმებით აფრთხილებდა და ლიტერატურულ ფრონტზე აქტიური მოღვაწეობისაგან თავის შეკავებას ურჩევდა.

– თავი დაანება წერას. – უთხრა მეუღლემ ვასილ კორინთელს, გვიან ღამით, ჩაის სმის დროს, როდესაც მეზობლებს წესით უნდა სძინებოდათ.

– დაანება კარგია. – ჩურჩულით აღმფოთდა ვასილი.

– ახლა წერა არ შეიძლება. – განაგრძო ცოლმა. – ისე არ დაწერ, როგორც ითხოვენ, და სულს ამოგხდინა.

– ისე ვწერ და მეტი რაღა ვქნა. – ისევე აჩურჩულდა ვასილი.

– მოცდა უკეთესია, მერე იქნება შესაძლებელი დაწერა, როდესაც უკეთესი დრო დადგება.

– ამაზე უკეთესი დრო რაღა უნდა იყოს, ქალო! – ახლა უკვე ხმამაღლა თქვა მწერალმა და ერთოთახიანი ბინის კედლებს თვალი მოავლო.

ისე აგხიბეთ ყველაფერი. თავს არ უტყდებოდა, რა თქმა უნდა, არც მეუღლეს, თორემ კარგად გრძნობდა, რომ ამ ბოლო დროს შეკრება-დისკუსიებზე ისე ხშირად აღარ ეპატიჟებოდნენ და აღარც ერთგულების დამტკიცებას სთხოვდნენ.

„აქამტაბისი“ სექცია ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა იმ შემოქმედებით ლაბორატორიად, სადაც გაშლილი უნდა იყოს ყოველდღიური მუშაობა დიდი სტალინის პოლიტიკური პოეზიის ნიშნის ქვეშ, ძირითადი ამოცანა პოეტური სექციისა ის არის, რომ უხელმძღვანელოს პოეტებს თვით ნაწარმოების შექმნის პროცესში, რომ პოეტების მუშაობა დაყენებულ იქნას კოლექტიური კონტროლის ქვეშ. ამ კონტროლიდან თავის დაღწევა სცადა პოეტმა ვასილ კორინთელმა“.

ბსპ იწყებოდა ივანე კიკნაძის კრიტიკული წერილი, რომელიც ზოგადად პროლეტარულ ლიტერატურას ეხებოდა, ხოლო ალაგ-ალაგ კორინთელის შემოქმედებასაც გადასწვდებოდა ხოლმე.

ამას მოჰყვა ვანო ნულუჯიძის წერილი – სკეპტიციზმის შხამით მოწამლული. შემდეგ დავით დემეტრაძის მომცრო ჩანახატი – დაკარგული იმედები.

დაემატა კარლო ორაგველიძე – კულაური ახალგაზრდობის დეკლარაცია. შეემატა მალაქია ტოროშელიძე – მეტი სიფხიზლე.

დააგვირგვინა „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციამ – კონტრრევოლუციური ტროცკიზმის უღელური ნაშთები. საქმეს ცუდი სუნი აუვიდა.

ჩვეულებრივი მონანიება და გულზე მჯლის ცემა მდგომარეობას ვერ შეცვლიდა. კორინთელმა ისევ მწერლური ხერხით გადაწყვიტა უხერხული სიტუაციიდან გამოსვლა, თუკი ამ ყოველივეს მხოლოდ უხერხული ეთქმოდა. ეს ყველაფერი ადრეც უქონდა მომზადებული, მაგრამ, როგორც იტყვიან, შავი დღისთვის გადანახული, ამაზე მეტად შავი დღე კი ძნელად წარმოსადგენი გახლდათ.

მალე ქართველმა მკითხველმა ახალი კრებული მიიღო, რომლის დაბეჭდვაზე, მიუხედავად კორინთელის ჯერ კიდევ დაუმტკიცებული ტროცკისტული მიდრეკილებისა, ვერც ერთმა გამომცემლობამ უარი ვერ თქვა. ამ მიზეზს ყველა ადვილად მიხვდება, თუკი წიგნის სათაურს და გამოცემის წელს კარგად ჩააკვირდება: სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში. ასე ერქვა ამ წიგნს, რომლის სატიტულო გვერდსაც, სათაურის გარდა, ავტორის გვარ-სახელიც ამშვენებდა: შემდგენელ-რედაქტორი პროლეტარული მწერალი ვასილ კორინთელი.

*სტალინო, დიდო ბელადო, შენ, შევარდენო მთისაო, ბრძოლაში გამონათობილო, თავზარდამცემო მტრისაო. დიდი ხანია გვეღირსა – ცრემლი აღარა გვედისაო; მადლობა, დიდო სტალინო, ვაჟკაცო ფოლადისაო.*

სხვა მარგალიტებიც მრავლად იყო, თუნდაც ასეთი:

*სტალინო, შენი სამშობლო საქართველო და გორია, თქვენ აქ ხართ დაბადებული, აქედან დაგყვით გონია.*

ან კიდევ ასეთი:

*სტალინო, ცხრაას ხუთ წელში შემოვივლია გურია, კიდევ გვესტუმრე, ბელადო, იცოდე, გულით გვეწყურია. გამოიცვალა სოფელი, გადასხვაფერდნენ სახლები, ჩვენს მინდვრებს ჩაი ამშვენებს და მანდარინის ბალები.*

თავის მხრივ ამგვარი ნაშრომის გამოცემას კარგად უნდა ემოქმედა მისი ავტორის ბედ-იღბალზე და მწერალთა კავშირისა თუ პარტიული აქტივის თვალში კორინთელის რეაბილიტაცია-აღდგენა უნდა განხორციელებინა, თუმცაღა, გარკვეული მიზეზების გამო, ასე არ მომხდარა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ლექსები თავიანთი განწყობით, სულისკვეთებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი საზომითაც, საოცრად ჩამოჰგავდნენ ერთმანეთს, რაც გარკვეული ეჭვის საფუძველს ნამდვილად უქმნიდა დაკვირვებულ მკითხველს. ამ ყოველივეს, რა თქმა უნდა, მწერალი კორინთელიც ვერ უნდა დასტურებდა, რაც დადასტურდა კიდევ ცეკაში გაგზავნილ წერილში, რომელიც, როგორც ადვილი მისახვედრია, უმაღლეს ორგანოში მწერალმა აფრინა, რომელიც კრიტიკას არამართებულად, მეტიც, ქვეყნის მტრობად მიიჩნევდა და, სხვა ყველაფერთან ერთად, საკუთარ, წარსულ დამსახურებაზეც საუბრობდა.

რინთელიც გრძნობდა, რაც დადასტურდა კიდევ ცეკაში გაგზავნილ წერილში, რომელიც, როგორც ადვილი მისახვედრია, უმაღლეს ორგანოში მწერალმა აფრინა, რომელიც კრიტიკას არამართებულად, მეტიც, ქვეყნის მტრობად მიიჩნევდა და, სხვა ყველაფერთან ერთად, საკუთარ, წარსულ დამსახურებაზეც საუბრობდა.

„ჯერ კიდევ მეექვსე კლასის მოსწავლე, ე.ი. 13 წლის ვიყავი, როდესაც კლასის მოსწავლეთა ჯგუფმა (დემიტრი ძიმისტარიშვილი, შოთა გოგუა და მე) შევექმენით მარქსიზმის ისტორიის შემსწავლელთა წრე. ამის მიზეზი იყო ბავშვებისთვის ბუნებრივი რომანტიზმი და გარდა ამისა ის, რომ როგორც მოგხსენებათ, იმ წლებში ჯერ კიდევ სკოლებში არ იხსნავებოდა მარქსიზმის ისტორია.“

აღნიშნულმა წრემ იარსება მხოლოდ 2-3 თვე, რის შემდეგ სახელმძღვანელოების უქონლობის გამო დაიშალა. 3 დღეც არ იყო გასული წრის დაშლის შემდეგ, როდესაც მე, შოთა გოგუა და დემიტრი ძიმისტარიშვილი დაგვაპატიმრა აჭარის პოლიტსამმართველოში. სამი დღის შემდეგ ჩვენ მოგვანერგეს ხელი რაღაც ქალაქში და გაგვათავისუფლეს“.

არც ამ წერილმა უშველა. აღამიანის დაპატიმრებაში, თუნდაც მწერალი იყოს, გასაკვირი აბა რა უნდა ჩანდეს, მაგრამ საკუთარ გამოძიებულში რომ ლიტერატურულ ოპონენტს შეიცნობ, ჩვეულებრივ ამბავს ნამდვილად ვერ დაარქმევს.

სწორედ ასე დამართნია საბრალო ვასილ კორინთელს.

მიღებული წესის თანახმად, დაკითხვა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რომელიც დაპატიმრებულმა კორინთელმა, იგივე კაჭკაჭმა, ცუდად იცოდა, თუმცა დამტყვევებული რუსულით თავის დაცვას მაინც ცდილობდა.

– შენი სიტყვებით ისე გამოდის, რომ პავლე კიკნაძემ ცილი დაგნაბა?! – ჰკითხა ლიტერატორ-გამომძიებელმა კიკნაძემ თავჩაქნდრულ მწერალს.

– რად უნდა დამეწერა ეგ ლექსი, რა მრჯიდა? პარტიის ერთგულება მე ჩემის შემოქმედებით არაერთგზის დავამტკიცე. – ძლივს შეარჩია სიტყვები კორინთელმა და სანამ გამოძიებელი რამეს კიდევ ჰკითხავდა, იქვე დაამატა – არ დამინერია, ეტყობა კიდევც.

რამდენად დასტყობოდა აღნიშნულ ლექსს კორინთელის შემოქმედებითი მანერა თუ სტილი, ძნელი სათქმელია, კაცმა რომ თქვას, გამოძიებელს ამის დადგენის არც სურვილი გააჩნდა და არც დრო, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ქვეყანა ხალხი იდგა რიგში. არადა, ლაპარაკი სულ ოთხ სტროფს შეეხებოდა.

*ჩემი უთხრა ცეკას: ანი რაღა ვქნაო? დავიჭირე სუყველა ვინც კი რამე სთქვაო, საქმე აღარა მაქვს რა, არც დარდი მასვენებსო, ცეკამ ასე მიუგო: უნდა მისდგე ჩვენებსო!*

– ძიძიძე ამტკიცებს, რომ აღნიშნული ლექსი თქვენ ნაუკითხეთ თბილისის რკინიგზის საპირფარეოში, ეგრედწოდებულ, ტუალეტში, გინდოდათ მისი გადატანა კედელზე, მაგრამ ფანქრის უქონლობის გამო ვეღარ მოახერხეთ, ამასვე ადასტურებს გამცილებელი ფანგანი, რომელიც შემოვიდა ტუალეტში და ამოიცირო ქიქოძე, მისი ამოცნობა არ გასჭირვებია, რადგან ხშირად ხვდებოდა თბილისის-სამტრედიის მატარებელში მგზავრობისას. – ფანგანს არ ვიცნობ. – კვლავ იუარა კორინთელმა. – შესაძლოა, მართლაც შეხვდა ქიქოძეს, მაგრამ მე იქ არ ყოფილ-

ვარ, რაში უნდა სჭირდებოდეს ეს ამბავი ქიქოძეს, ვერ წარმომიდგენია.

– მაინც? – ჩაეძია გამომძიებელი.

– კრიტიკული წერილი დავუწერე ერთხელ, იმის ბრალი უნდა იყოს.

– ეგეთი წერილი მეც დამიწერე, თანაც პირდაპირ ცეკაში, ხომ გახსოვს?! მაგრამ პარტია ასეთი წერილებისთვის არავის სჯის, ჩვენ კონკრეტულ დანაშაულს ვებრძვით, იქნებ, ეს წერილი მაინც გეცნობა. – თქვა გამომძიებელმა და მაგიდაზე პატარა ბარათის ნაგლეჯი დასდო, ისევე და ისევე რუსულ ენაზე.

საქმე, არც მეტი არც ნაკლები, რადიოს ეხებოდა.

**მოქალაქე კორინთელს!**

მოვითხოვთ, სასწრაფოდ ჩააბაროთ რადიომიმღები მისამართზე, კავშირგაბმულობის სახლი, პირველი სართული, სარეულეო განყოფილება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა სასამართლოს. რადიო ხაზების დირექცია.

– მიცნობა. – ამოღებდა პატიმარმა. – რამდენჯერმე მივიღე შეტყობინება, მაგრამ მე წერილით მივმართე კომპეტენტურ ორგანოებს და შევატყობინე, რომ რადიო არასოდეს გამაჩნდა.

– შენი მეზობელი დავლიანიძე, რომელმაც ამოიცირო კიდევ შენი კუთვნილი რადიო, საკუთარ ჩვეულებაში აღნიშნავს: კორინთელი რადიოს ინახავდა ხაშის სახარმ ქვაბში, რომელიც თავის მხრივ განთავსებული უქონდა კარის წინ მდგარ მაგიდაზე. კორინთელი, ხაშის სიყვარულის და ვითომდა მისი მოხარვის მიზეზით, ქვაბს კვირამი რამდენჯერმე ბინაში მალავდა, თუმცა მისი მოხარული ხაში არც ერთ მეზობელს არ უნახავს.

– დავლიანიძე ცილს მწამებს. – უიმედოდ ამოთქვა კორინთელმა.

– ჩხრეკისას მოზრდილ ქვაბში მართლაც იქნა აღმოჩენილი რადიო – განაგრძო გამომძიებელმა.

– რაღაც გაუგებრობაა, პარტიის წინააღმდეგ არასოდეს ნავსულვარ, მთელი საქართველო მოვიარე და ხალხური შემოქმედების კრებული გამოვეცი, კიდევ ბევრი გეგმები მაქვს, პარტიასაც გამოვადგები.

– სიცრუეა! – შეანყევტინა გამომძიებელმა. – ეგ კრებული ერთი კაცის დაწერილია, დიდი გამოკვლევა არ სჭირდება, ისედაც ეტყობა, მაგრამ ეჭვი რომ არაფერში შეიტანო, იმასაც გეტყვი, შენმა ცოლმა დაადასტურა, როგორ იჯექი და წერდი ვითომდა ხალხურ ლექსებს, ხოლო სახელმწიფოსგან მაგ საქმისთვის გამოყოფილი სამიველი თანხები მიითვისე, ხედავ, არაფერი იმალევა?!“

კორინთელი გაჩუმდა, ისე, როგორც შეეფერება კიდევ პატიმარს.

– საცოდაობაა, შენისთანა კაცი სხვას ნანერს უწუნებდეს და მწერლობას ასწავლიდეს. – განაჩენივით წარმოთქვა გამომძიებელმა და პატიმარს ცარიელი ფურცელი წინ დაუდო. – ამაზე ჩამოწერი ყველა იმ ადამიანის გვარ-სახელს, რომელსაც შეხვედრისხარ ბნელი მიზნების განსახორციელებლად თბილისის ტულაეტებში.

ვასილ კორინთელის სამწერლო მემკვიდრეობიდან თითქმის არაფერი შემორჩა ქართველ მკითხველს, თუმცა ქალაქის ისტორიის მუზეუმი, იგივე ქარვასლა, იმდროინდელი თბილისის საზოგადოებრივი ტულაეტების სრულ სიას სწორედ რომ ვასილ კორინთელის აღნიშნულ დაკითხვას უნდა უმაღლოდეს.

ზოგი ჭრი მარგებელიაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

სანამ ანდრო, წყნეთის სიახლოვეს, როგორც კახელები იტყვიან, თავისთვის იჯდა და მანონს მიირთმევდა, ქალბატონი ნელი, როგორც ყველას ახსოვს, ანდროს სიდდერი, დროს უქმად არ კარგავდა და მირიან გარდაფხაძის ოფისში მისთვის საჭირობოროტო საკითხზე მოლაპარაკებას აწარმოებდა.

მირიან გარდაფხაძე გახლდათ უშიშროების ყოფილი თანამშრომელი, ნელის საუკეთესო მეგობრის, ნუნუ ძონენიძის მამის შვილი, რომელიც შემცირების ანუ მეცნიერული ოპტიმიზაციის მსხვერპლი შეიქნა, თუმცა ამის გამო დიდი სინანული არ გამოუთქვამს, რადგან, როგორც მისი პროფესიის ხალხს სჩვევია, მირიანსაც სხვებით უმაღ ალმოაჩნდა ფულადი დანაზოგი, რამაც კერძო დაცვის სამსახურის გახსნის შესაძლებლობა მისცა. ეს სამსახური პირდაპირი მოვალეობის გარდა ბევრ სხვა საჩოთირო საქმესაც აგვარებდა, როგორცაა თვალთვალთ, ინფორმაციის მოგროვება, ურჩი მევალებების დასჯა და სხვა ამგვარი რაღაცეები, მოკლედ, ისე მოქმედებდა, როგორც კერძო დეტექტივთა თავყრილობა, რომელიც, კაცმა რომ



თქვას, თითქმის გავეროპლებულ საქართველოში გაკვირვებას აღარ იწვევდა, რომ არა ერთი გარემოება: ასეთი რამ კანონით აკრძალული გახლდათ, ასე რომ, გარდაფხადქს არაღვალურად უნევდა მუშაობა, რაც ამგვარი მომსახურების საფასურს გვარიანად ზრდიდა.

გარდაფხადქების გვარს ლიტერატურული პროცესებისგან შორს მდგარს ვერ დაარქმევდა ადამიანი. მირიანის ნინაპარი, საშა გარდაფხადქ, რედაქტორულ საქმიანობას ეწეოდა და წლების განმავლობაში ჟურნალ „რემედასს“ უძღვებოდა.

ეს ჟურნალი წარმოადგენდა რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების ბეჭდვით ორგანოს. ჟურნალი პროპაგანდის უნევდა სოციალისტური რევოლუციისთვის თავდადებულ მებრძოლებს მსოფლიო მასშტაბით, ასახავდა საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას სხვადასხვა ეტაპზე. ჟურნალთან, ქართველ მოღვაწეთა გარდა, თანამშრომლობდნენ უცხოელი და რუსი ავტორები. თავის მხრივ ქართველი ავტორები გულმხურვალედ თანამშრომლობდნენ საზოგადოება „ისო-ქიმიასთან“, რომელიც, ხსენებულ ჟურნალთან ერთად, განთავსებული გახლდათ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეოთხე სართულზე და რომელიც თითქმის მთელი ინსტიტუტი იყო განეწვრიანებული, ნუცუბიძისა და შანიძის გარდა, რაც საერთო ოპტიმიზტურ განწყობას ოდნავადაც ვერ აყენებდა ჩრდილს. ასე რომ, მირიანის უკიდველად ოპტიმიზმი მისი დიდი ნინაპრის დამსახურება უნდა ყოფილიყო.

მირიანის ოპტიმიზმი იყო ისეთივე უსაზღვრო, როგორც მისი მომენა-დასმენის შესაძლებლობები. ეს განძობა, იგულისხმება ოპტიმიზმი, ისე სძლევდა, რომ დასაფლავების დროს სასაფლაოზე მოხვედრილი საფლავის ქვებზე ჯვრების მაგივრად მათემატიკურ ნიშანს ხედავდა, პლიუსს რომ ეძახიან, სწორედ იმას.

მირიანის ამგვარი ოპტიმიზმის სულ მთლად წინაპრებზე გადაბრუნება უსამართლო იქნება, ასე რომ, ზოგი რამ დროსაც უნდა მივანეროთ. მირიანს გარდაფხადქ იმ დროის შვილი გახლდათ, როდესაც საბჭოთა იმპერია, იგივე კავშირი, ადამიანური სახის მიღებას ცდილობდა, რაც, თავის მხრივ, მირიანში ტკბილ მოგონებებს აღძრავდა ხოლმე. ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს, რომ მირიანი ამ უცნაური ქვეყნის აღდგენაზე ოცნებობდა. ჰქონდა გეგმა, რომელიც ხუთიოდე წელია, შეიშუშავა და რომელსაც საგულდაგულოდ ინახავდა პერსონალურ კომპიუტერში.

მირიანის გეგმა ასეთი გახლდათ: მას შემდეგ, რაც ნავთობის ფასი მაქსიმალურ ზღვარს მიაღწევდა და მისი გაყიდვა- შეძენა ყოველგვარ აზრს დაკარგავდა, ადამიანი ავტომატობილზე უარს განაცხადებდა და ჯანმრთელი ცხოვრების წესს მიჰყოფდა ხელს. ნელ-ნელა, შესაძლოა, ეს გაუთვალისწინებლად სწრაფადაც მომხდარიყო, ამ წესის თანახმად, უმეტესობა ნარკოტიკებზეც იტყობდა უარს. ეს მოატანდა ყირგიზეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის სრულ გაკოტრებას, რა თქმა უნდა, მათ სხვა გზა აღარ დარჩებოდათ და მიაკითხავდნენ რუსეთს. ასევე დაემართებოდა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, რადგან ჯანმრთელი ცხოვრების წესი სასამელოს დაღვევასაც გამოიწვევს, ასე რომ, მათი გაკოტრებაც მხოლოდ დროის საქმე იყო და მეტი არაფერი. ჯერი უკრაინაზე, ბელორუსიასა და მოლდავეთზე მიდგებოდა, რომლებიც, როგორც ცნობილია, თავს ძირითადად მეძაბობით იჩენდნენ, ჯანმრთელი ცხოვრების წესი ამ ქვეყნებსაც უმალ გააკოტრებდა, რჩებოდა მხოლოდ „პრინალტიკა“, რომელსაც ტანკებით ველარაფერს მოუხეხებდა ადამიანი, მაგრამ, მირიანის ინფორმაციით, დღევანდელ დღეს უცხო ქვეყნის დაპყრობა-განადგურება სხვაგვარადაც გახლავთ შესაძლებელი. ამის შემდეგ დიდი ქვეყნის აღდგენას წინ აღარაფერი დაუდგებოდა, სახელიც, რა თქმა უნდა, ძველი დაუბრუნდებოდა. აბა, სხვა რა უნდა რქმეოდა ქვეყანას, სადაც აღარც ნარკოტიკი მეფობდა, აღარც სასამელო ინოვებოდა, აღარც ფულზე დაფუძნებული მეძავეები არსებობდნენ და საწვავიც სანთლით საქებნელი გახლდათ, რაღა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი.

ასეთი, არც ისე უცნაური, გეგმა ჰქონდა მირიანს გარდაფხადქს, რომლის განხორციელებასაც, თუ შექმნილი მდგომარეობით და ნავთობის დღევანდელი ფასით ვიმსჯელებდით, წინ ველარაფერი უნდა დასდგომოდა.

მოკითხვა-მიკითხვის და თავაზიანი მოგონებების შემდეგ ქალბატონი ნელი პირდაპირ საქმეზე გადავიდა, რაც იმის

მაუწყებელი გახლდათ, რომ მოკლე ხანში ანდროს კარგი დღე არ უნდა დასდგომოდა.

– სიძეს არ ენდობით, ასე გავიგე მე თქვენი გულისტყვილი. – დასკვნა მირიანმა ანდროს ბიოგრაფიის ხანმოკლე მიმოხილვის შემდეგ, რომელიც ქალბატონმა ნელიმ ჩვეული ოსტატობითა და ემოციურობით გადმოსცა.

– დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილის გაუბედურება აქვს ჩაფიქრებული, ამიტომაც ყველაფერი უნდა ვიცოდე, ვის ხედება, სად ხედება, რატომ ხედება, აი, სურათიც დაქვს ნამოყვებელი.

მირიანმა სურათს დახედა, რომლიდანაც მომღიმარი ანდრო იცქირებოდა და რომელსაც, თუ ამ სურათით ვიმსჯელებთ, ვერაფრით წარმოედგინა, რა განსაცდელი უნდა დასტყდომოდა თავს.

– ხომ არ გავესაუბროთ, ისე ნათესაურად, ახლობლურად, თქვენც აცდებით ხარჯებს, ნუნუს ხათრით, რა თქმა უნდა, კარგი ხალხის პატივისცემა ჩვენ არ გვესწავლება. – გაიბრძოლა მირიანმა, რომელსაც ნელის შეუპოვრობიდან გამომდინარე, ამ საჩინოო დავალების თავიდან აცილება სურდა.

– თქვენ ეს ამბავი მომიგვარეთ და სიძესთან გასაუბრება ჩემზე იყოს. – მტკიცედ თქვა ნელიმ, რომელიც უკან დახევას ჩვეული არ გახლდათ.

– კი ბატონო. – უხალისოდ დათანხმდა მაძებარი და ანდროს სურათი მაგიდის უჯრაში შეინახა, სადაც ინახავდა კიდევ განსაკუთრებით საყურადღებო დავალებების ნუსხას.

დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, მირიანის უწყებისა და პირადად მისი მარიფათის საქმეს წარმოადგენდა. ასეთ საქმიან საუბარს, ყველა წვრილმანის გათვალისწინებითა და შეთანხმებით, დიდი დრო არ უნდა დაეჭრა, ასე რომ, ნელის, თუნდაც მის სიძეს, ანდროს ბედი რომ ჰქონოდათ, შესაძლოა, ერთმანეთსაც გადაჰყროდნენ და ერთი მანქანითაც ემგზავრათ, რადგან საავადმყოფო, სადაც ანდრო მიემართებოდა, ამირანის ოფისის სიახლოვეს გახლდათ განლაგებული. ასეთ შეხვედრას ყველგანის თუ არა, ბევრი რამის შეცვლა შეეძლო, სიტყვა სიტყვას მოიტანდა, სიტყვებს დაფიქრება მოჰყვებოდა და შესაძლოა სიძე-სიდედრის დაძაბული ურთიერთობა ადამიანს უხერხულად თვალში აღარც კი მოხვედროდა.

მაგრამ შეხვედრა არ შედგა. ნელი შინსაკენ ტაქსით გაემართა, ხოლო ანდრო საკუთარი მანქანით არამიანცის საავადმყოფოს ჭიშკარს მიადგა, სადაც მკურნალობის კურსს გადიოდა მოქალაქე ნორა ნაყოფია, რომლის გადარჩენაც ექიმებს აღარ ეიმედებოდათ, რის შესახებაც პირდაპირ განუცხადეს მის ვაჟსა და რძალს.

ანდროს გამოჩენას საავადმყოფოში, მცირე ხნით მაინც, დაბნეულობა და გაურკვეველობა მოჰყვა, რომელიც მალევე შეიცვალა მაღლიერების გრძობით, რა თქმა უნდა, ქალბატონი ნელის ოჯახის მიმართ. მართალია, ანდრო ისე აჩვენებდა თავს, თითქოსდა ავადმყოფის ბედ-იღბლით გახლდათ დაინტერესებული, მაგრამ სინამდვილეში გულში სულ სხვა რამ ედო. ანდროს იმ მისამართების გაგება სურდა, სადაც ჯერ კიდევ ჯანმრთელი ნორა მანონს დაატარებდა, რადგან ეჭვად ჰქონდა, და სინამდვილეშიც ასე იყო, რომ სანტერესო საბუთები სხვა ქილებზეც უნდა ყოფილიყო შემოკრული.

მოკლე საუბრიდან გამოიკვია შემდეგი: ქალბატონი ნორა ბრძანდებოდა ღრმა კომაში და მასთან საუბარი სრულიად შეუძლებელი საქმეს წარმოადგენდა, ნორას ვაჟს მისამართები თუ კლიენტთა გვარები კარგად ახსოვდა, რადგან დედას დაატარებდა და მათ გადაცემაზე თანახმა იყო, თავის მხრივ ანდრო პირობას სდებდა, რომ ყველა მისამართს მოივლიდა, მოულოდნელ ამბავს შეატყობინებდა და ავადმყოფის მონახულების რჩევას მისცემდა, რაც აუცილებლად გამოიყენებდა ძღვენისა და, რაც მთავარია, ფულადი დახმარების მიტანას საავადმყოფოში.

სწორედ ამაზე შეთანხმდნენ. ის იყო, ანდრო საავადმყოფოდან ნამოსვლას აპირებდა, რომ ფანჯრის რაფაზე ჩამოდებულ მანვანის ქილას მოჰკრა თავალი, რომელიც, ქილაზე შემოკრული ქალაღლით თუ ვიმსჯელებთ, ნორა ნაყოფიას ნახელავი უნდა ყოფილიყო. ანდრომ საავადმყოფოში შექმნილი ხალხმრავლობით ისარგებლა და ისე ოსტატურად ააცალა ქილას თავფურცელი, რომ ვერაინ ვერაფერი შეინახა. კაცმა რომ თქვას, არც ნორას ვაჟსა და არც ნორას რძალს მანვანის სადარაჯოდ არ ეცალათ, რადგან უფულობის სადარდებელი ჰქლავდათ, რომელიც ასეთ დროს, იგულისხმება ავადმყოფობა და მისთანები, განსაკუთრებ-

ით მიძიმე ხდება ხოლმე.

მანვანის თავსახური ამჯერად ნაბეჭდი აღმოჩნდა.

„საპ.კ.პ.პ. XVIII ყრილობაზე ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებაში, ამხ. მოლოტოვისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებებში, ყრილობის მთელი რიგი დელეგატების გამოსვლებში და ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი ეკონომიურ-პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის გზები. ეს არის სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები.“

დიდი სტალინის მოხსენებამ გამსჭვალულმა გენიალური სიბრძნით და ყრილობის გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს საბჭოთა ინტელიგენციის უდიდესი ალფრთოვანება და შემოქმედებითი ენთუზიაზმი, უფრო მჭიდროდ დარაზმეს მისი რიგები კომუნისტური პარტიის გარშემო, ბრძენი ბელადის, მამისა და მასწავლებლის მშობლიური სტალინის გარშემო.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გაიფურქნა ხელოვნების ყველა დარგი, საბჭოთა საქართველოში გაიზარდნენ ახალი მხატვრები და მოქანდაკენი. მათი მუშაობის შედეგია, გამოფენა სურათებისა ამხ. ლ. პ. ბერიას ნიგნის „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, თემაზე, ნიგნის, რომელიც ძვირფასი განძია ჩვენი სახელოვანი ლენინურ-სტალინური პარტიის ისტორიის შესწავლის საქმეში.

(ტაში). მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის რევოლუციური თეორიის დაუფლებასთან ერთად, საბჭოთა საქართველოს მხატვრული ეცდებიან და ეუფლებიან მაღალი ოსტატობის ახალ ნიმუშებს, განუწყვეტლად იმუშავებენ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაზე, ერთგულად ემსახურებიან თავის ხალხს, კომუნიზმის საქმეს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელოვნების შთამბრუნებელს, საბჭოთა ინტელიგენციის მეგობარს, ხალხთა ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს.

(ტაში).“

სამწუხაროდ, ამ გამოსვლის ავტორის ვინაობა მანვანის ქილამ ვეღარ დაიტია და რადგან ასეთი ქება-დიდება ყოველთვის ერთმანეთს ემსგავსებოდა, გამოცდილი ადამიანისთვისაც ძნელი დასადგინი გახლდათ, რა თქმა უნდა, სტილისა და სხვა ამგვარი რამეების გათვალისწინებით, თუ ვის გულში უნდა გაჩენილიყო ასეთი გრძობა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამ ყოველივეს, რატომაც ლაღად გუდაიშვილს მიანერდნენ. სხვები ბენიტო ბუაჩიძეს, რომელიც წერდა: ჩვენ მოვითხოვთ სკოლის სახელმძღვანელოები ხელახლა იქნეს განწმენილი მამამშვილურად სავსე პატრიოტული ნიგნებიდან.

ისე, ჩვენში დარჩეს და ალექსანდრე სულავასაც შეეძლო ხელი ნაცდომოდა: „კლასიკოსებისგან სწავლის ლოზუნგის რეალიზაციას ჩვენი სინამდვილეში უფრო მეტი ზიანი მოაქვს პროლეტარულ მწერლობაში, ვიდრე სარგებლობა. „მგზავრის წერილებს“ არაერთი წევნიტლიანი ინტელიგენტი აუსტოკინებია.“

ამათ დიმიტრი ბენაშვილმაც მისდია: „ილია დიდი რეაქციონერი და ნაციონალიტიკა.“

სიმონ ჩიქოვანსაც ჰქონდა საკუთარი აზრი: „საქართველოში საბედნიეროდ მისაბაძი კლასიკოსი არ არსებობს.“

მოკლედ, იმ დროს თუ გავითვალისწინებთ, ანდა ისტორიის ცალი თვალით მაინც ჩავხედავთ, მანვანის ქილაზე გადაკრული ტექსტის ავტორი თითქმის ყველა შეიძლებოდა ყოფილიყო და ავტორის დასადგენად იმდროინდელი ტელეფონის ნიგნი უფრო გამოგვადგებოდა, ვიდრე სხვა რამ.

თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამ სიაში მოხვედრას არ თანხმდებოდნენ.

„ბარატი სრ. საქართველოს მწერალთა კონფერენციას.

მოქალაქე გამოძიებლის მიქაძის მიერ უცხო, რუსულ ენაზე დანერგულ ოქმზე ხელს არ ვაწერ შემდეგი მოსაზრებით: ერთი, რომ მე ვცხოვრობ საქართველოში, სადაც ქართული ენა ადგილობრივი მთავრობის დეკრეტის ძალით სახელმწიფო ენა არის. და მეორეც – მე, როგორც ქართველ მწერალს, ქართული ენა უფრო გამეგება.“

ამას თესავს ლენინი? მარქსი? შე ბებერო მარქს, ერთი ამოიხედე ქვესკელიდან და დახედე შენის მოძღვრების ცხოვრებაში გამტარებულთ. ერთი ამოდი საფლავიდან, მაგრამ ფრთხილად კი: თუ გაიგეს, მეტეხი არ აცდებია. უნდა

დაიგმოს მოძალადეების, ოკუპანტების საქციელი. რა გინდათ? ვინ მოგინვიათ? მოგემორდით, წადით თქვენს მხარეში, თქვენს თავს მოუარეთ.“

სიტყვას, ფრაზას წინადადებას არეულობა ეტყობა, გრძობა სჭარბობს, უიმედობაც იგრძნობა, ამის გათვალისწინებით მიხვედრაც ადვილია, ციხეში უნდა დაენერა, თანაც ნაჩქარევად, ეს მიმართვა დავით ერდმხანის ძე ქარცივაძეს, იგივე მეწონგურეს.

სხვაც იყო.

„მოსკოში. კრემლი. სტალინს. დღეს თქვენ ტრიუმფატორი ხართ. რომაულ ტრიუმფებში მონაწილეობდა სპეციალური მონა, რომელიც დიად გამარჯვებულს შეახსენებდა მის ცალკეულ შეცდომებს და ბედის ცვალებადობას. რუს მეფეებთან კრიტიკა წარმოადგენილი იყო სალოსების სახით. რომელი ავგუსტებისა და რუსი მეფეების მონები იმუნიტეტით სარგებლობდნენ.“

არ ვდგავარ რა ავგუსტოსის ტრიუმფალური ეტლის სატერფალზე და არც კარის სალოსი ვარ, ცხადია, ასეთი იმუნიტეტის იმედი არ მაქვს, მაგრამ თავს მაინც ვაძლევ იმის ნებას, რომ ერთგვარი დისონანსი შევიტანო იმ მაქებართა ქოროში, რომელიც თქვენ გეხვევით ახლა, თქვენს ნახევარსაუკუნოვან დღეს.

მე ვიყავი მტკიცე მონინაალმდევე ბოლშევიკური ხაზისა. წინააღმდეგი ვიყავი ოქტომბრის რევოლუციისა და მომხრე ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისა.“

ამ მისალოც ტელეგრამას გრიგოლ ლორთქიფანიძე საპატიმროდან აგზავნიდა, სადაც ამოხადეს კიდევ სული დაკითხვის დროს, რა თქმა უნდა, სასტიკი ცემისას. წერილებიც ღამით ინერებოდა და დაკითხვა თუ ნამება ასევე ღამით ხდებოდა, რადგან ბრაზს თუ ავზრახვას უმეტესად ღამე უხდებდა.

მიუხედავად ამისა, ასეთი წერილები ქართული მანვანის ქილაზე არასოდეს ხვდებოდა, ახლა უკვე ძნელი სათქმელია, მათი რაოდენობისა თუ მათი განწყობის გამო, ამიტომაც ადვილი შესაძლებელია ამ უხერხული მოვლენის ასახსნელად ორივე მიზევი თანაბრად გამოდგეს.

ანდროც ღამით დაბრუნდა; დაბრუნდა და თან ორი მანვანის ქილა მოიტანა, რომელსაც, უშიშროების საერთო საცხოვრებლიდან გამოტანილი ქალაღდების მაგივრად პლასტმასის ქათქათა თავსახური ამშვენებდა, რითაც ოჯახში საერთო გაოცება, გაკვირვება თუ ეჭვი გამოიწვია.

ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება ქალბატონ ნელისთვის დანაშაულის ტოლფასი გახლდათ.

– ეს რა არის? – ისე იკითხა ნელიმ, რომ სიძეს დაჯდომის საშუალება არც კი მისცა.

– მანონი მოვიტანე. – სიამაყით თქვა ანდრომ.

– ეხედავ, რა მანონია?  
– ნორასგან ნამოვილე.  
– ნორასგან? – ჩაეძია სიდედრი და თან ქალიშვილს გადახედა, რომელიც ამ ბოლო დროს სულ მთლად დედის მხარეს იყო გადასული. – ნორა ყოველთვის ქალაღდს უკეთებდა თავზე, სად უკვლავს იმდენი ფული, რომ ყოველ დღე ახალი თავსახური იყიდოს?!

– თავსახური მე ვიყიდე, ნორა საავადმყოფოშია...“

– რა უნდა საავადმყოფოში? – ისე იკითხა ნელიმ, რომ ანდროს სიმართლის დაჯერება, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც უჭირდა.

– მანქანა დაეჯახა, ექიმებს გადარჩენის იმედი აღარ აქვთ, შვილს ველაპარაკე, ახალი მემანვნი უნდა მოვძებნოთ.

ალბათ მოულოდნელობის ბრალი იყო, ქალბატონი ნელი რომ გაჩუმდა. ნორას უბედურება გულზე კი მოხვდა, მაგრამ სხვა სადარდებელი უფრო მეტად ტანჯავდა და იმ თორმეტ ლარს მისტიროდა, რომელიც ათიოდე დღის უკან ნორას მამინ სესხა, როდესაც მემანვნი კარდაკარ, საკუთარი ფეხით ქართული მანვანის ქილებს დაატარებდა.

ანდრომ შექმნილი სიჩუმით თუ სიდედრის დაბნეულობით ისარგებლა და საკუთარ საძინებელში განმარტოვდა, ალბათ საფიქრალად ჰქონდა და სადარდებელიც, თუმცაღა დღეს უკვე ძნელი ამოსაცნობი გახლავთ ანდროს გულისტქმა, რადგან საყოველთაოდ ცნობილი ამბავია: სხვისი ჩანაფიქრის გამოცნობა ისეთივე შეუძლებელი საქმეა, როგორც ახლიდან დაბადება.

გაგრძელება მე-16 კვერღზე



კოალიცია ვაჟა ხორნაული:

# „ჰაიკუს თარგმნა არასოდეს მიცდია“

ვაჟა ხორნაული ჟურნალ „ცისკარში“ გავიციანი. დავინტერესდი და მისი ლექსები წავიკითხე. მაშინ იგი ვერლიბრსა და კონვენციურ ლექსს წერდა. ბოლო ათწლეულია მინიმალისტური პოეზიის მიმდევარია. ტრადიციული, იაპონური პოეზიის მართლაც რთულ სალექსო ფორმას — ჰაიკუსა და ტანკას წერს. ამ პატარა ლექსებში ნათლად ჩანს ავტორის განსაკუთრებული დამოკიდებულება, სიახლოვე ბუნებასთან, გადმოცემული წამიერი შთაბეჭდილება, მკითხველში ერთგვარ ემოციურ ბიძგს რომ იწვევს და თანაგანცდის სურვილს აღძრავს. ჰაიკუსა და ტანკას ჩვენს თანამედროვეობაში არაერთი მიმდევარი ჰყავს. ფორმალისტური თვალსაზრისით, ჰაიკუ და ტანკა ხანგრძლივი დროის მანძილზე არ შეცვლილა.

მიუხედავად ამისა, ცალკეული ავტორები ამჟღავნებენ საკუთარ ინდივიდუალურ შესაძლებლობას, ამ უაღრესად ტრადიციულ და მკაცრ ფორმებში.

ვაჟა ხორნაული მინიმალისტური პოეზიის ნიმუშები საერთო მოზაიკას ქმნიან და მკითხველთან გამორჩეული კადრები, განსაკუთრებული განცდის პოეტური სახეები მიაქვთ.



— პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში შეხვედით ერთმანეთს, სტუდენტი ვიყავი, როცა ჟურნალ „ცისკარში“ დავინწყე მუშაობა, ნაცნობობის მრავალი წელი გვაკავშირებს.

— ის წლები გუმინდელივით მახსოვს, ჩავლილი საუკუნის პერიოდი, მოგონებებისა და მონატრების ჩუმი სევდით ახლა უფრო გალამაზებულია ჩემს ცნობიერებაში. ლიტერატურული ცხოვრება დიდდა და ამ პროცესში ჟურნალ „ცისკარის“ წვლილი იყო თავისებური და მნიშვნელოვანი. იგი გახლდათ განსაკუთრებულად პოპულარული გამოცემა. ტირაჟი ლამის ასი ათასს უტოლდებოდა.

— ძალიან თბილი გარემო დამხვდა, არაჩვეულებრივი ადამიანები...

— მიმზიდველი გარემო იყო, ერთმანეთის ნდობით აღბეჭდილი. შემოიხედავდა თედო ბექიშვილი ოთახში და დამიძახებდა: „ვაჟიკ, შემოდი ჩემთან“. შევიდოდი, გაშლიდა მაგიდაზე ახალ ლექსებს და მიკითხავდა. ჯანსუღ ლვინჯილიას ხშირად დავყავდი თავის ავარაკზე, მისაქციელში. ჩვენც ქალაქიდან გასვლას არაფერი გვეჩერებდა, მივდიოდით, გვიხაროდა მიწასთან, ხესთან თუ ქვასთან სიახლოვე, ბოლოს პატარა სუფრა გაიშლებოდა, ბრწყინავდა იუმორი, უბრალოდ ახალისის ნია-ვი. გვეუფლებოდა საქართველოს მძიმე ბედთან დაკავშირებული სევდაც. იყო მოულოდნელი, არასასიამოვნო, მაგრამ ბოლოს კეთილად დასრულებული, პატარა ნოვლებად მოვლენილი კურიოზებიც. ერთ ამბავს მოგიყვებით. მთავარი რედაქტორის კაბინეტში სამნი ვისხედით: ჯანსუღ ლვინჯილია, მე და თედო ბექიშვილი. უცებ კარი რახუნით გაიღო, ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოიჭრა და გაღიზიანებული ტონით იკითხა, ჟურნალის რომელ ნომერში გამოქვეყნდებოდა მისი ლექსები. ჯანსუღ ლვინჯილიამ მშვიდად აუხსნა, რომ არსებობს თავისებური რიგი და მოცდა მოუწევს. ახალგაზრდამ თვალმოდი დააკეცა და იქნა: „მე და რიგი?!“ და მთელი ძალით მოუქნია პანდოლი რედაქტორს, მისმა ფეხმა ჯანსუღამდე ვერ მიაღწია, მაგრამ მაგიდა ლამის ააყრავა. ჯანსუღმა, ეგრე არ უნდაო და, მუშტი გაუქანა, თუმცა ააცილა. ყველაფერი წამებში დატრიალდა. ვეცი ახალგაზრდას, ჩემთან ერთად ეტაკა თედოც (ახლაც არ ვიცი, მაგიდად შემოუქროლა თუ გადმოველო), შევბოჩეთ ავრესიული, მისხანებისაგან თვალბეგაფართოებული და გაფერ-მკრთალებული პოეტი და ფანჯრისაკენ მივართვეთ. თედო „გზადაგზა“ ეუბნება: „სირცხვილი შენი, მამისტოლა კაცს ასე უნდა ექცეოდეს?!“ მამის ხსენებამ თითქოს ცივი წყალი გადაასხაო, ჩვენგან შებოჩილი გაქავდა, კისერი მთავარი რედაქტორისაკენ ნაივრძელა და განწირული, გამაყრუებელი ხმით შესძახა: „მამა ხარ ჩემი!“ დამშვიდდა, როგორც იქნა. სკამზე დასვით, მისი ლექსები მოვიძიეთ, ორიოდე ამოვარჩიეთ და ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა კიდევ.

— მას შემდეგ აღარ გამოჩნდა?

— თქვენი გგონიათ, ამით დასრულდა ეს ამბავი? გავიდა ხანი. რედაქციამ გამოჩნდა კაცი-იასამანი: ნელს ქვემოთ ადამიანი, ხოლო ნელს ზემოთ იასამნის აყვავებული ჩატები (თითო-თითო მეტრი იქნება). რადგა ოთახის კარში, ტოტებს ციმციმი გაუდის და წვეთები გასდის (ალბათ, შენობაში შემოსვლამდე გვარაზად დაასველა) მისმა ხელმა ერთი ტოტი მშვიდად გამოაცალკევა და მესროლა. ყველა თანამშრომელი ასე „დააჯილდოვა“. ისმოდა იასამნის ტოტების შხუილი, სველდებოდა ხელნაწერები, იცინოდნენ „ცისკარელები“. „კაცი-იასამანი“ გახლდათ თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი „მეპანლურე“. სიტყვაც არ უთქვამს, წავიდა კმაყოფილი, თითქოს რაღაცისა და ვიღაცის წინაშე დამაზად ვაღმობდილი, უცნაურად გაღიმებული.

მთავარი კი ისაა, რომ „ცისკარმა“ ათეული წლების განმავლობაში არაერთ ახალგაზრდა მწერალს გაუკვალა გზა, ზოგიერთი მათგანი ახლაც ღირსეულად

აგრძელებს პროფესიულ საქმიანობას

— „ალბომში ბავშვობის სურათები, ვით სამოთხის ყვავილის ფურცლები“ — თქვენი სტრიქონია. ცოტა ხნით გადაინაცვლოთ შორეულ წარსულში, სოფელ კანალხევში, სადაც ბავშვობა გაატარეთ.

— ბედნიერი და მდიდარია ადამიანი, რომელიც ბავშვობის ასაკს დამშვიდობებია და არა თავად ბავშვობას — კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ერთადერთ სამოთხედ მიჩნეულს. არავინაა უფრო ღარიბი, ვიდრე იგი, ვის არსებობაც წამლილია ბავშვობისათვის დამახასიათებელი სიბოროტი და ხალისი. კანალხევზე ახალს ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ ერთ პატარა ამონაწერს მოვიშველიებ, ჩემი წერილიდან „კურტ ვონეგუტი, ვანდა ჯუნი და მე ფშავის ერთ-ერთ პატარა სოფელში, კოპალას მეზობლად“:

„არაგვის ნაპირას მდებარე კოპალას სალოცავიდან ფშავის ერთ-ერთ პატარა სოფელამდე დიდი მანძილი აღარაა. პატარა სოფელი ოდესღაც სისხლსავსე, უფლის მოსანონი ცხოვრებით ცხოვრობდა, დღეს უკვე, განახევრებას ვინდა ჩივის, გამესამედებელია და თავისი პირვანდელი სახის „მსგავსია ოდენ ჩრდილისა“. ამ სოფლის ადგილ-მდებარეობითა და სილამაზით მოხიბულ ხევსურს უთქვამს ოდესღაც: „კა წყალ-ხევი ას“. ესე იგი კარგი წყალი და ხევიანო. მერე ხევსურულ კილოკავზე აუღერებული გამოთქმა დანმენდელია, ერთ მშვენიერ სიტყვად ქცეულა და ასე დაქრებული ამ სოფელს „კანალხევი“. გული მიკვდება მის ატყევებულ მინდვრებსა და პირმზითებს რომ ვუყურებ — ჯერ კიდევ თითქოს გუშინ, ჩემი ბავშვობის წლებში, ამ ადგილებში ზოგან ნამგალი და ცელი პრიალბდა, ზოგან კიდევ სახნისი ბრწყინავდა და მთიელის დაკორძილი ხელისტალებით ლამაზად გახუნებული გუთნის ტარი ირეკლავდა აისისა თუ დაისის ნათებას.

კანალხევის თავში, მზისყანის გორის (აქ დავბადებულვარ) მისადგომებთან, ხისგან შეკერილ-მოქსოვილი, ფრინველის ბუდე-სავით უბრალო სახლია. მისი აივანიდან სულ ახლოს, მდინარე კანალხურას ნაპირთან, მოჩანს ჯეჭვების სალოცავი, უფრო იქით და მარჯვნივ — ესთავის ხატი და კიდევ უფრო იქით, არაგვის გაღმა, თითქოს უფლის ხელით დატალღული ჰორიზონტის სიახლოვეს შეფენილა ჩარგლის ზემოთა ნაწილი.

— კანალხევს ხშირად სტუმრობთ?

— კანალხევში იშვიათად ავდივარ — ამის მიზეზი ცხოვრების დაძაბული რიტმი, ქალაქური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოუცლელიობა. მდგომარეობას ართულებს წყალდიდობისაგან თითქმის ყოველწლიურად წალექილი გზები თუ ხიდები. ეზოს მეზობელი ამუშავებს.

— ერთი საგულისხმო ისტორია მახსენდება, თქვენს მიერ მოვანობრობ, მიხვილ ხერგანს რომ უკავშირდება.

— ეს „ერთი საგულისხმო ისტორია“ ულამაზეს მოგონებად შემომრჩენია. იგი ხშირად მეხმინება და თან ახლავს სიამაყისა და სიხარულის გრძობა. მაშინდელი შემთხვევა დიდებული მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა უფროხილდებოდეს ადამიანი ღირსებასა და მამულს, როგორ უნდა უპირისპირდებოდეს სატანურ ძალებს და ამით დაბეჭდვულ სიმართლეს იცავდეს...

გასული საუკუნის 60-იან წლებში ბარისახოს სკოლა-ინტერნატიდან რამდენიმე ახალგაზრდა პოეტი (როგორც მახსოვს მე-9 კლასში ვიყავი) ჩამოგვიყვანეს დუშეთში, სადაც პატარა თეატრის ჭერქვეშ ადგილობრივი საზოგადოება ხვდებოდა მიხვილ ხერგანს. წავიკითხე „კლდის ვეფხვისადმი“ მიძღვნილი ლექსი, რომელიც შემდეგ ჩემს არქივში ვერ აღმოვაჩინე და გული დამწყდა... მიხვილ ხერგანმა მოხიბლა დარბაზი მშვენიერი ქართულით, უბრალოებით, ბავშვური ღიმილით (განსაკუთრებით ეს დამამახსოვრდა) და იმ დროისათვის დაუფერებელი სითამამით — რუსებსა და რუსულ პოლიტიკას ისე ამთარახებდა ტრიბუნადან, ჩვენ სიხ-

არულისაგან ცაში დავფრინავდით, ხოლო ჩინოსნებს ფერი მისდიოდათ და ჭირის ოფლში იწურებოდნენ. როცა ფშავში ავდივარ, ბუნების ხმებსა და სიჩუმეს დანატრებული, სულ თვალნი მიდგას მიხვილ ხერგანი (ერთ საბედისწერო დღეს კლდეს რომ მოსწყდა და სამშობლოს გულში ამაღლდა), ხოლო ის საღამო, კიდევ ათას ნელსაც რომ ვიარსებო, სულ ჩემთან იქნება, როგორც სევდიანი ხილვა.

— არაერთი პოეტური კრებულის ავტორი ხართ, თქვენი პოეზია ბუნებისგან არ გამოყოფილა, არ გაუცხოებულა და მასთან მთლიანად შერწყმულია.

— ერთმა მწერალმა მითხრა, ბუნებაზე წერას აზრი აღარა აქვს, ვინაიდან ეს თემა ვაჟა-ფშაველამ ამონურაო. რასაკვირველია, ვაჟა უდიდესი მწერალია, მისი შემოქმედება ნებისმიერი ერის საგანძურს დაამშვენებდა, მაგრამ ბუნებას ათასი ვაჟა და ათასი სერვანტისცი ვერ ამონურავს. ბუნებაში ღმერთის სიბრძნეა განფენილი, რომელიც უნაპირო და უძირო სახსარულია. თანამედროვე მწერლობის (განსაკუთრებით ახალგაზრდობის) ნაკლი ისიცაა, რომ იგი ბუნების მარადიულ ფენობას — პირველყოფილი მშვენიერების ხიბლსა მოკლებული. მე-საამოვანა თქვენი ქათინაო, რომ ჩემი პოეზია „ბუნებისგან არ გამოყოფილა, არ გაუცხოებულა და მასთან მთლიანადაა შერწყმული“. და ისევ ვაჟა: „ჩვენ ბუნებასთან ვართ — იგი ჩვენშია... ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიც“.

— მინიმალშიმ ქართულ პოეზიაში კარგა ხანია მკვიდრდება. ჩვენში ბევრი წერს ჰაიკუსს და ტანკას ტიპის ლექსებს, ამ მხრივ არც თქვენი შემოქმედებაა გამონაკლისი.

— ჰაიკუსა და ტანკას ტიპის ლექსებს მიესადაგება და ეხმობება მოთა რუსთველისეული აფორიზმი: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შარია ამაღ კარგი.“ კარგი ჰაიკუ (ასევე ტანკაც) ზოგჯერ მოულოდნელი და ტყეადი აზრის გამონათებაა, ზოგჯერ ოსტატურად მოხებებული კადრი და ამ კადრის მეშვეობით მოგვიწილი განწყობლება (რომელსაც იგრძნობ და სიტყვით ვერ გადმოსცემ), ხან ისეა, „სამოთხის წყალში ოქროს თევზი რომ გაიღვებ“ (ჰაიკუ ჩემი პირველი მინიმალისტური კრებულადან). ქართველი პოეტი ჰაიკუსა და ტანკას წერისას მშობლიური ენის მრავალი თავისებურების გამო ვერ დაიცივს (და არცაა აუცილებელი) იმ კანონებს, რომელთა დაცვაც საჭიროა იაპონურ სინამდვილეში. დღემდე გამოცემული მაცეს ჰაიკუსა და ტანკას ოთხი ნიგანი. დასამალი არაა, რომ ოთხივეს შედგენისას ერთად იგივე შეცდომა დაფუძნა: ვერ გამოვიჩინე სამართლიანი სიმკაცრე, რომელიც ბევრ ლექსს არქივში მიუჩენდა თავმესაფარს. გამოსაცემად გამზადებულია მცხეთე ნიგანი, რომლის შედგენის დროსაც სიბრაღულმა ბევრი რამ დაუთმო სიმკაცრეს. ნიჭიერი პოეტი ნებისმიერ სალექსო ფორმასთან მიმართებაში გვაგრძნობინებს, რომ მისი შემოქმედებით შესაძლებლობები ამოუწურავია. ჰაიკუს წერა ადვილი არაა. სამი გასროლის იმედზე ხარ. ერთიც რომ გავიყვალბდეს, სანადელს ვერ მიაღწევ. ჩემთვის ძნელი გასათავისებურელი ტერმინი მინიმალისტური, როგორც ჰაიკუსა და ტანკას მხოლოდ გარეგნული მხარის გამოძახილი.

— როდესმე გიცდიათ ჰაიკუს თარგმნა?

— ჰაიკუს თარგმნა არასოდეს მიცდია. იაპონური და ჩინური ენები რომ ვიცოდე, ალბათ ვთარგმნიდი.

— ჰნკარედით თარგმანს ვგულისხმობ.

— ჰნკარედით — არა. მითუმეტეს ამ შემთხვევაში, როდესაც საქმე ჰაიკუსა და ტანკას თარგმანს ეხება. ჰაიკუში (ასევე ტანკაში) დიდი სათქმელია ჩაკრისტალური და სწორედ ამ დროსაა აუცილებელი, რომ მთარგმნელმა ორიგინალის

ენა იცოდეს კარგად, შინაგანად ხედავდეს მას...

— იოსიფ ბროდსკი წერდა: „ვეცილობ, ყველა ლექსი განსხვავდებოდეს ახლისაგან და ამავე დროს, ყოველი დანერვილი ლექსი იყოს გაგრძელება მომდევნოსი“. ეს მოსაზრება ნებისმიერი პროფესიონალი პოეტის შემოქმედებას მიესადაგება.

— იოსიფ ბროდსკის სიტყვები ნათელი დასტურია იმისა, რომ ჭკუმატი პოეტი ყოველთვის უქმარისობის გრძნობითაა შეპყრობილი, ხოლო მისი შედევრები, თუნდაც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული, მსგავსებასაც გვაგრძობინებენ, თითქოს უცნაური ნათესაობის უხილავ ძაფზე არიან ასხმული და ერთი ჰორიზონტისაკენ მივყავართ.

— როგორ გრძნობთ, რომ ლექსი „გამოვიდა“?

— რთული შეკითხვაა. რამდენჯერაც პასუხის გაცემას მოინდომებ, იმდენჯერ ნაქარგის მეორე მხარე შეგრჩება ხელში. ზოგჯერ ახალი ლექსი გაგრძობინებს, რომ ზედმეტი არაა და მკითხველის გულთან მიესვლება. ზოგჯერ კი დასრულებული ლექსის დახედვისას ისეთი განცდა აგაფორიანებს, თითქოს დიდი ხნის წინათ გაცნობილი მშვენიერი მეგობარი გამოგეცხადა. ხანდახან კი ლექსს წინასწარ, ქალაქზე გადატანამდე, დაინახავ (ეს განსაკუთრებით ტანკასა და ჰაიკუს ეხება) და ამ დროს შენში „ვიღაცა“ (ალბათ მეორე „მე“) დაიძახებს: „მოვარტყი“...

— კარგა ხანია, თქვენი საბავშვო ლექსები გამოცემას ელოდება, იმედია, მალე იხილავს მკითხველი.

— პირველი საბავშვო ლექსების მიზეზია ოჯახში შვილების გამოჩენა. შვილები დაიზარდნენ, საბავშვო ნიგნი უჯრათი დარჩია. მერე შვილიშვილები შემოგვიერთდნენ, ხოლო ნიგნი, რომლის ნიაღშიც ერთად შამაშობენ შვილები და შვილიშვილები, ისევე თავის ძველ ბუდეშია და მზეზე გამოსვლა ენატრება... საბავშვო მწერლობაზე საუბრისას ყოველთვის მახსენდება რევაზ ინანიშვილი, როგორც საყმაწვილო პროზის დიდოსტატი... ირაკლი ბაზაძის სანახავად ვიყავი საავადმყოფოში. მასთან ერთად პალატაში ინვა რევაზ ინანიშვილი — მედიკამენტებით მკურნალობის შედეგად გაფერ-მკრთალებული. პატარა მაგიდა და საწოლი უფრცვლებით იყო მოფენილი. რევაზ ინანიშვილი მაშინ ჟურნალ „დილას“ რედაქტორობდა და ახალი ნომრისთვის არჩევდა მასალებს. ვაჟა საბავშვო ლექსებსაც წერს, — თქვა ირაკლი. თუ ძმა ხარ, მომიტანე, მეუბნება ბატონი რეზო. აქ როგორ უნდა მოგიტანოთ, — ვპასუხობ დაბნეული, — ეს ხომ თავხედობა იქნება. „თუ ძმა ხარ“ — უკვე ისეთი ტონით მეუბნება, რომ წინააღმდეგობას აზრი აღარა აქვს. მეორე დღეს იმავე პალატაში რევაზ ინანიშვილმა ლექსები გამომართვა და კითხვა დაიწყო — ჯერ ხმადალა, ხალისიანად, მერე ხმას თანდათან დაუწია და ბოლო ლექსები ჩუმად ჩაიკითხა. მერე მოწყენილი ხმით მითხრა: „ესენი არ გამომადგება. შენს ლექსებში თქვენებური ბალეტი არა ჩანან, კაცო, ფშავლები და ხევსურები“. მოვდიოდი საავადმყოფოდან და უკვე ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ რევაზ ინანიშვილს უკვე „დილას“ რედაქციამ ვესტუმრე და ახალი ლექსები გადავეცი. ხმადალა დაიწყო კითხვა, მერე ხმას აუწია, გახალისდა „თქვენებური ბალეტი, კაცო, ფშავლები და ხევსურები“, — შემომცინა და ხელი ჩამომართვა. ის ლექსები ჟურნალის უახლოეს ნომერში, გარეკანის მეორე გვერზე გამოჩნდა, ფერადი ნახატების ფონზე...

სხვადასხვა დროს ჩემი საბავშვო ნაწარმოებები დაიბეჭდა სასკოლო სახელმძღვანელოებსა თუ კრებულებში. ამჟამად საბავშვო ლექსები და პოემები მიტანაში მაცეს გამოცემლობა „ანბანში“.

— რას უსურვებდით თქვენს მკითხველს?

— ღმერთთან სიახლოვეს, კარგი დღეებისა და ნიგნების მომრავლებას, მშობლიური სათავეების უფრო მეტად შეცნობასა და გათავისებას.

ესაუბრა ხათუნა ალხაზიშვილი



მთარგმნელი მერი ტიტვინიძე:

# „ქართული ლიტერატურის გაცნობის პროცესი აქტიურად დაიწყო“

ესპანურენოვანი და იტალიური ლიტერატურის მთარგმნელისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგის, ქალბატონი მერი ტიტვინიძის სამუშაო ოთახი ნიგნებითაა სავსე. რამდენიმე თარო მის მიერ თარგმნილი ავტორების ნიგნებს უკავია. მაგიდაზე მიგულ დე უნამუნოს ესეები დევს, ერთ-ერთი ესეს თარგმანზე ის სწორედ ახლა მუშაობს. თაბახის ფურცელზე გაკრული ხელით უწერია: „უკვდავების წყურვილი“. ესპანურენოვანი და იტალიური ლიტერატურის თარგმანის პრობლემებზე საუბარს მისი რჩეული ავტორის, უნამუნოს სიტყვებით იწყებს — „მე მტკივა ესპანეთი“ — და ამბობს: „მე მტკივა საქართველო“. ესპანელი ავტორის ციტირებით საუბრის დანებება, ქალბატონი მერისგან არცაა გასაკვირი, მან ხომ ლამის მთელი ცხოვრება დიდი მწერლის შემოქმედების თარგმანს მიუძღვნა.

— პირველი თემა, რომელზეც საუბარი მიმდინარეობდა, ესაა თარგმანი და მისი მნიშვნელობა ქვეყნის კულტურული განვითარებისთვის.

— თარგმანის პრობლემა ძალზე მნიშვნელოვანი თემაა. ეს გახლავთ ჩემი უპირველესი საფიქრალიც. ამას წინათ, ჩემს მიერ თარგმნილი ერთ-ერთი ნიგნის პრეზენტაციაზე, რომელსაც ესწრებოდა საქართველოში იტალიის საელჩოს ატაშე კულტურის საკითხებში — სწორედ ქართული თარგმანის პრობლემებზე ვისაუბრე და ვთქვი, რომ იტალიური და ესპანური ენებიდან თარგმნილი ლიტერატურის თვალსაზრისით ძალიან ღარიბები ვართ.

— რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ ინტერნეტგამოცემაში გავეცანი სტატიას, სადაც სწორედ ესპანურენოვანი და იტალიური ლიტერატურის თარგმანების სიმწირეზე იყო საუბარი. ავტორი აღნიშნავდა, რომ ამ ხარვეზის გამოსწორებას თქვენ, ქალბატონო მერი, სხვა მთარგმნელებთან ერთად გულმოდგინედ ცდილობთ. მიუხედავად ამისა, ქართველ მკითხველს ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურის დიდი არჩევანი არ აქვს.

— მართლაც ასეა. ქართულად მხოლოდ ორმოცდაათამდე იტალიელი და ესპანურენოვანი მწერალია თარგმნილი. ვფიქრობ, ამ პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ იტალიური და ესპანური ენები სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არ ისწავლებოდა. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამისი ფაკულტეტი სულ რაღაც თუთმეტიოდე წლის წინ გაიხსნა და ახლა ის განყოფილების სახით მოქმედებს. მოგეხსენებათ, მე იქ თარგმანის თეორიასა და პრაქტიკას ვასწავლი. მიმდინარე, რაც შეიძლება მეტი კარგი მთარგმნელი გავზარდო, ეს ჩემი უპირველესი ამოცანაა და მიზანია. და ბედნიერად ვგრძობ თავს, როცა ჩემი ძალისხმევით შედეგს ვხედავ. ჩემი სტუდენტების მიერ იტალიური და ესპანური ენებიდან თარგმნილი ნიგნები სულ უფრო მეტია, მათ თარგმანებს სხვადასხვა პერიოდული გამოცემა ინტენსიურად აქვეყნებს.

— მიგულ დე უნამუნო, ანტონიო მარია ადო, გოფრედო პარიზე, რამონ მარია დელ ვალიე-ინკლანი, რუბენ დარიო, ხულიო კორტასარი ქართულენოვანმა მკითხველმა თქვენი თარგმანებით გაიცნო. თქვენი თარგმნილი ასევე ლუიჯი პირანდელი, გარსია ლორკა. სხვა მთარგმნელებისგან განსხვავებით, თქვენ მხოლოდ რამდენიმე ავტორის შემოქმედებაზე მუშაობთ, რამ განაპირობა ამგვარი არჩევანი?

— დაახლოებით ოცდაათი წელი ვიმუშავე საქართველოს ცენტროლოგიაში, საზღვარგარეთის ლიტერატურის განყოფილების რედაქტორი ვიყავი. მოგეხსენებათ, იმხანად გარკვეული შეზღუდვები არსებობდა, აუცილებელი იყო დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მოდელით გვემუშავა, ამიტომ, მოსკოვში მივლინებით ყოფნა ხშირად მიწვედა. ერთ-ერთი მივლინებისას ლენინის სახელობის საკავშირო ბიბლიოთეკაში მიგულ დე უნამუნოს ესეებს მივაგენი, მაშინ ტექსტების ქსეროქსით გადაღების ტექნიკური საშუალება არ იყო და მთელი ესეები ხელით გადავწერე. ასე მაქვს გადაწერილი ანტონიო მარია ადოს მრავალი ტექსტიც. ეს ავტორები როგორც მკითხველმა ჯერ ჩემთვის აღმოვაჩინე და შემდეგ ქართველ მკითხველსაც ვაპოვებინე. ეს სიამაყით მავსებს. ხულიო კორტასარს ასეთი რამ აქვს ნათქვამი: „კლასობანა“ რომ არ დამეწერა, სენაში უნდა დამეხრჩო თავი“. მე კი ვიტყვი — მტკვარში უნდა გადავვარდნილიყავი, უნამუნო და ანტონიო მარია რომ არ აღმომიჩინა. ეს მწერლები და მათი შემოქმედება ჩემი სიცოცხლის წყა-

როა. არიან მთარგმნელები, რომლებიც ერთნაირი გატაცებით თარგმნიან როგორც XII საუკუნის თხზულებებს, ისე XX საუკუნის ლიტერატურას. მე კი ოთხი-ხუთი ავტორის შემოქმედებაში ვარ „ჩაკეტილი“ და ვერ ვეშვები მათ — უნამუნოს, მარია ადოს, ვალიე-ინკლანს, პირანდელს. ჩემთვის, თარგმანი დიალოგია დროსთან.

— რამდენად ვიცით, უნამუნოს თარგმანს გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დაიწყო.

— დღემდე ვთარგმნე უნამუნოს ხუთი რომანი — „ბურუსი“, „სიყვარული და პედაგოგია“, „ახელ სანჩესი“, „წმინდა მანოელი სათნონამებული“. ბოლოს მის ფსიქოლოგიურ რომანზე „დეიდა ტულაზე“ ვიმუშავე. ამას გარდა ვთარგმნე მისი მოთხრობები, ესეები, მაგრამ მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა იმდენად დიდია, რომ მთელი ცხოვრება არ მეყოფა მის სათარგმნელად. ახლა ვმუშაობ უნამუნოს ძალიან საინტერესო ესეზე „უკვდავების წყურვილი“, სადაც ავტორი სიკვდილის გარდუვალობაზე საუბრობს და ამბობს, რომ ნებისმიერი ადამიანის, მათ შორის მწერლის, უკვდავება იმამაა, თუ რას ტოვებს იგი სიკვდილის შემდეგ. ყველა ვერ მოითხოვს ინტელექტუალური ღირებულებანი შექმნას და ამით უკვდავდეს თავისი სახელი. ბევრი ადამიანი შვილებში, შთამომავლობაში რეალიზდება. რაც შეეხება უნამუნოს მეექვსე რომანს „მშვიდობა ომის დროს“ — მის თარგმანს ჯერჯერობით გული ვერ დავუდე.

ხშირად ვამბობ ხოლმე, უნამუნო ძალზე კონკრეტული და კომპაქტური მწერალია-მეთქი. იგი ძალიან მარტივი ენით წერს, მის ტექსტებში ვერ ნახავთ მაღალფარდოვან სიტყვებს, პათეტიკას. კონკრეტულად არასოდეს მიუთითებს სიურჟეტის განვითარების ადგილსა და დროს, მკითხველის წარმოსახვას სრულ თავისუფლებას აძლევს და ნაწარმოებში განვითარებული მოვლენების თანამონაწილედ აქცევს მას. აკი ამბობს, მკითხველი ჩემი ნიგნების თანაავტორია და ამ შემთხვევაში არამხოლოდ ინტელექტუალებს, არამედ უბრალო ადამიანებსაც გულისხმობს. მისი მარტივი და უბრალო თხრობა მართლაც ყველასთვის გასაგებია. ერთ-ერთმა ინტელექტუალმა მთარგმნელმა უნამუნოსთან პირველი „შეხვედრის“ შემდეგ თქვა, აქამდე როგორ არ ვიცნობდი მას, ეს ხომ დანაშაულიაო. ასეთია უნამუნო, ამგვარ ემოციას იწვევს ის მკითხველში.

— 2008 წელს ლიტერატურული კონკურსის „გალას“ ლაურეატი გახდით. ალბათ, ნიშანდობლივია, რომ პრემია სწორედ თქვენი საყვარელი ავტორის, მიგულ დე უნამუნოს ესეების თარგმანისათვის გადმოგვცა. თქვენც, რამდენად ვიცით, ჯილდო, რომელიც ამავე ავტორის რომანებისთვის — „სიყვარული და პედაგოგია“ და „ახელ სანჩესი“ — მიიღეთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია თქვენთვის.

— ამ ორმა რომანმა თბილისის ბიბლიოთეკების მომხმარებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია — უცხოური ლიტერატურის თარგმანების შორის, უნამუნოს ზემოხსენებულ რომანებს ყველაზე მეტი მკითხველი გამოუჩნდა. პრემია ამიტომაც გადმომცეს. ფაქტიურად, ეს მკითხველის მიერ მონიჭებული ჯილდოა და ის განსაკუთრებულად ძვირფასია ჩემთვის. „სიყვარული და პედაგოგია“ ძალზე საინტერესო ნაწარმოებია. მნიშვნელოვანია, რომ 1902 წელს გამოცემულ ამ რომანში ეგზისტენციალური კონცეფცია უკვე მკვეთრად ჩამოყალიბებული იყო და მას საფუძვლად პიროვნების არსობისა და არსებობის პრობლემა უდევს. ეს თემა მწერლებისა თუ მოაზროვნეებისთვის ფიქრისა და განსჯის საგანს ყველა ეპოქაში წარმოადგენდა, თუმცა „ეგზისტენციალიზმი“, რო-

გორც ფილოსოფიური და ლიტერატურული მიმდინარეობა, მარტინ ჰაიდეგერის ნიგნის — „ყოფიერება და დრო“ — გამოცემის შემდეგ, 1927 წელს „გაფორმდა“. საფრანგეთში ეს მიმდინარეობა კამიუმ და სარტრემ განავითარეს. არადა, უნამუნომ თითქმის ორი ათეული წლით ადრე შექმნა კონცეპტუალური რომანი „სიყვარული და პედაგოგია“, ორი წლის შემდეგ კი ლუიჯი პირანდელმა გამოსცა ლიტერატურული ეგზისტენციალიზმის ნიმუში — „მატია პასკალი“. საქმე ისაა, რომ XX საუკუნის დასაწყისში, ესპანეთშიცა და იტალიაც, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებების გამო ევროპაში მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებას მონყვეტილი იყო და ამ ავტორების შემოქმედებაც უცნობი რჩებოდა იმდროინდელი ევროპისთვის.

— თქვენს მიერ აღმოჩენილი პოეტის, რუბენ დარიოსეულ მოდერნიზმზეც იგივე შეიძლება ითქვას.

— დიახ, ეს კულტურული მიმდინარეობა ევროპაში 1914 წელს აღმოცენდა, თუმცა ნიკარაგუელმა პოეტმა პირველად 1897 წელს ახსენა იგი. ევროპაში მოდერნიზმის დაბადების უამს რუბენ დარიო უკვე გარდაცვლილი იყო.

— საინტერესოა, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ვითარებები, სხვადასხვა დროს, იტალია-ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის კულტურული კრიზისის მიზეზად იქცა. შემდეგ სამივე ქვეყანაში გამოჩნდნენ ავტორები, რომელთაც შეიძლება გაერღვიათ ვაკუუმი და თავიანთი შემოქმედებით სრულიად ახალი ლიტერატურული ეპოქები შექმნათ.

— დიახ, შემოქმედებითი კრიზისი ამ ქვეყნებში მართლაც გაიარეს. მაგალითად, ესპანეთში ფრანკოს რეჟიმის დროს ცხოვრობდნენ მწერლები, რომლებიც ვერ აფრთხილდნენ კონიუნქტურას, ცდილობდნენ გაღარბებული ლიტერატურული პროცესი ახალი, ცოცხალი მწერლობით გაემდიდრებინათ. XX საუკუნის 70-იან წლებში ეს მოახერხეს კიდევ. ამას დიქტატორის აღარარსებობამ, ეკონომიკურმა წინსვლამ, თავისუფალი სივრცეების წარმოქმნამაც შეუწყო ხელი. თუმცა, ესპანეთის ლიტერატურას მანამდეც ჰქონდა „ოქროს“ პერიოდები. ასე იხსენიებენ XVI—XVII საუკუნეებს — დროს, როცა მიგულ დე სერვანტესის, ლოპე დე ვეგას, პედრო კალდერონის გენიალური ნაწარმოებები იქმნებოდა. ახალმა ლიტერატურულმა ცხოვრებამ XIX—XX საუკუნეების მიჯნაზეც იფეთქა, როცა ანტონიო მარია ადო, გარსია ლორკა, ხუან რამონ ხიმენესი გამოჩნდნენ.

იტალიასაც, შემოქმედებითი ცხოვრების თვალსაზრისით, არავითი „ჩავარდნა“ ჰქონია. მაგალითად ბაროკოს ეპოქაში მხატვრულად ღირებული ლიტერატურული ნიმუში თითქმის არ შექმნილა. იგივე შეიძლება ითქვას ფაშისტური მმართველობის პერიოდზეც. მაშინ კულტურული იზოლაციის გარღვევა მხოლოდ ლუიჯი პირანდელმა და იტალი ზვევომ შესძლეს.

რაც შეეხება ლათინო-ამერიკულ ესპანურენოვან მწერლობას, ის გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ერთობ უინტერესო, უსიცოცხლო და თანამედროვე ევროპული პროცესებისგან მონყვეტილი იყო. მაგრამ შემდეგ გამოჩნდნენ ავტორები, რომლებმაც თავდაყირა დააყენეს ყველაფერი.

— არგენტინელი მწერლის ხულიო კორტასარის ყველაზე აღიარებული რომანი „კლასობანა“ მკითხველმა თქვენი თარგმანით გაიცნო.

— მნიშვნელოვანია, რომ „მეს“ ძიება, საკუთარ თავში ჩალრმავება საერთო ამოცანაა იმ ავტორებისთვის, რომელთაც მე ვთარგმნი. თვითგანსაზღვრა, თვითდამკვიდრება მათი შემოქმედების ამო-



სავალია. შემთხვევითი არ არის, რომ ვალიე-ინკლანის რომანის — „ტირანი ბანდერასის“ ქართულენოვანი გამოცემის გარეკანისთვის გიიას ოფორტი შევარჩიეთ, მისი სახელწოდებაა „გონების ძილი შობს ურჩხულებს“. შეიძლება ითქვას, „ჩემი“ ავტორების შემოქმედების დევიზი და ცხოვრებისეული, პირადი მაგალითიც ესაა — არ მიაძინოთ გონება! ამ თვალსაზრისით, ხულიო კორტასარის „კლასობანა“ ერთგვარი სახელმძღვანელო ახალგაზრდებისთვის. ჩემი სტუდენტები გაფაციცებით კითხულობენ ამ ნაწარმოებს.

— როგორია კარგი თარგმანი?

— ჩემს სტუდენტებს ყოველთვის ვეუბნები, რომ სანამ რომელიმე ნაწარმოების თარგმანს შეუდგებოდნენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაეცნონ იმ ეპოქას, რომელშიც მათ მიერ არჩეული ავტორი მოღვაწეობდა, შეისწავლონ იმ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალურ-კულტურული ვითარება, რომელშიც ნაწარმოები შეიქმნა, გაერკვენ მაშინდელ ლიტერატურულ მიმდინარეობებში, ზედმიწევნით დაეუფლონ იმ პერიოდისთვის დამახასიათებელ სალიტერატურო თუ სამეტყველო ენის თავისებურებებს, გაეცნონ პერიოდს, რომელშიც მწერლის მიერ მოთხრობილი ამბავი ვითარდება...

— ქალბატონო მერი, ესპანურად ან იტალიურად ქართული მწერლობის ნიმუშები თუ გითარგმნით?

— მახსოვს, ერთხელ ქართული პოეზიის ანთოლოგიის ესპანურ ენაზე გამოცემა გადაწყდა. ბევრი ვიმუშავეთ, მაგრამ სამწუხაროდ, საქმე ბოლომდე ვერ მივიდა. უცხო ენებზე ქართული ავტორების თარგმანსა და მათი შემოქმედების მსოფლიოსთვის გაცნობას ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და ეს ძალიან მახარებს. ვფიქრობ, მთარგმნელი უპირველესად საკუთარი ქვეყნის ისტორიიდან, კულტურიდან, ლიტერატურიდან უნდა „ამოღოდეს“. საფულისხმოა, რომ ბევრ ასპექტში ქართული მწერლობა წინ უსწრებს უცხოურ ლიტერატურას. ლიტერატურული ანალოგიები, ე.წ. კომპარატივისტიკა ყოველთვის მაინტერესებდა. ბოლოს გავხედე და შედარებითი კვლევა განვახორციელე. სტატიები „ილია ჭავჭავაძე და მიგულ დე უნამუნო“, „ვაჟა ფშაველა და მიგულ დე უნამუნო“ (თუმცა წერილი ამ სათაურით არ გამოქვეყნებულა), „ორი იბერიის ერთი პრობლემისათვის“ — ლიტერატურული საზოგადოებისთვის ერთგვარი მოულოდნელობაც კი იყო. ილიასა და უნამუნოს შორის, ვაჟასა და უნამუნოს შორის ძალზე დიდი კულტურულ-შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი კავშირები არსებობს. 1898 წელს უნამუნოს მიერ წარმოქმნილი უკვდავი ფრაზა — „მე მტკივა ესპანეთი“ — იგივეა რაც ილია ჭავჭავაძის მიერ ოცდაათი წლით ადრე ნათქვამი — „ქვეყნის წყლული მარცხის წყლულია“. ილიამ დაასწრო ესპანელ მწერალს და გაცილებით ადრე შეეხო ინტერაისტორიას — თავის შემოქმედებაში, განსაკუთრებით პუბლიცისტიკაში, ქვეყნის შიდა ცხოვრების პრობლემები ასახა. ვაჟასეული კონსეპტუალური პროცესებისგან მონყვეტილი იყო. მაგრამ შემდეგ გამოჩნდნენ ავტორები, რომლებმაც თავდაყირა დააყენეს ყველაფერი.

და დღეს, როცა ქართული ლიტერატურის თარგმნის და გაცნობის პროცესი აქტიურად დაიწყო, ვფიქრობ მნიშვნელოვანია, ჩვენი ლიტერატურა უპირველესად სწორედ ამ კუთხით გავაცნოთ ევროპას. თუმცა ამას ბევრი მუშაობა სჭირდება.



როსტომ ჩხეიძე

ეს უცნაური ედგარ პო

„ყორანის“ 21 ქართული ვერსია

იმ კრებულში თოთხმეტი თარგმანი იყო თავმოყრილი.

ის, რაც იმჟამად არსებობდა ქართულ ენაზე: XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის დამდეგს.

ედგარ ალან პოს „ყორანი“ იმთავითვე — 1845 წლის 29 იანვრის გაზეთ „ნიუ იორკ ივინგ მირორში“ გამოქვეყნებისთანავე — შედევრად იქნა შერაცხილი. და რასაც რედაქტორი აცხადებდა ლექსის ნარდგინებისას: ამერიკული პოეზიის უზადლო ნიმუშია დახვეწილი მხატვრული ჩანაფიქრისა და დიდოსტატური ლექსნაწობის გამო, — სავსებით გაიზიარა მკითხველმაც და სალიტერატურო კრიტიკამაც და მალევე შეატოლეს მსოფლიო პოეტურ მიღწევებს.

თუმც სხვა თხზულებათა გამო კი პოს არავითარი დაფასება არა ჰქონია სამშობლოში.

აი, უცხოეთში კი... ისეთი კრძალვა და მონინება გაჩნდებოდა მისი შემოქმედებისა და უშუალოდ ამ პოეტური ნიმუშის მიმართ, რომ თვით შარლ ბოდლერი — ლექსის დიდოსტატი — „ყორანის“ ამეტყველებისას ფრანგულ ენაზე, ვერ გაბედავდა პოეტური ვერსის შექმნას და პროზის ფორმას ამჯობინებდა: ლექსს მინიატურად გადააკეთებდა, რადგანაც თავი არ ელირსებოდა ამ შედევრის კონგენიალურ მთარგმნელად, არადა, უზომოდ აღტაცებულს, მისი ნახდენაც ენანებოდა.

დიდი ამაგი კი დასდო ედგარ პოს — საქვეყნოდ რომ გაუთქვა სახელი: მანაც, სტიფან მალარმემაც და პოლ ვალერიმაც. ეს სამი დიდებული ფრანგი რომ არა, პოს სახელი ამერიკულ მკითხველთა ვინრო წრეს ვერ გასცდებოდა და ლიტერატურის ისტორიაშიც სადღაც მეორე და მესამეხარისხოვან ავტორთა შორის უფრო იტრი-ალეობდა.

ტომას სტერნზ ელიოტის მსჯელობასა და შეფასებას უფრო დაუჯერებდნენ ასეთი სიმკაცრით ჩამოყალიბებულს ესეიში „ედგარ პოდან პოლ ვალერიმდე“, ვიდრე მისი პატივისმცემლებისა, თუკი ასეთი კრიტიკოსებიც თუ მკვლევარებიც გამოჩნდებოდნენ.

ელიოტი არ აღიარებდა „ყორანს“ პოს საუკეთესო ლექსად?

ალარც სხვანი აღიარებდნენ. სიტყვისადმი უზუსტესმგებლო დამოკიდებულებით უფრო გამოარჩევდა?

სხვანიც ამ და კიდევ არაერთი ნაკლოვანების თვალსაჩინოებისათვის უფრო დაიმონებდნენ.

ამ ლექსის გახმაურებას უფრო ესეის მიაწერდა, „კომპოზიციის ფილოსოფია“ რომ ერქვა და პო „ყორანის“ შექმნის მეთოდსა და ისტორიას წარმოაჩენდა დეტალური თანმიმდევრობით?

სხვანიც ამ ესეის არსებობით ახსნიდნენ „ყორანის“ ჩარჩენას მკითხველის ცნობიერებაში.

სასაცილოდ არ ეყოფოდა ამ ყაიდის თხზულების შექმნა, ვითომდა შემოქმედებითი პროცესის ადგენის ცდა?

არც სხვებს ეყოფოდათ სასაცილოდ.

მაინც რანაირად უნდა აღმდგარიყო თხზვის თანმიმდევრობა, თუკი „ყორანის“ სახით მართლაც პოეტური ნიმუში გვეპყრა ხელთ, იდუმალებისაგან შობილი და არა მათემატიკურ გათვლებზე აგებული?


რა — პო სრულიად ძარცვავდა ლექსის შექმნის პროცესს იდუმალებისაგან?

თუკი ასეა, იდუმალებისაგან გაძარცვული ლექსი რაღა ლექსი გამოდიოდა. და ეს ფრანგები რაღას გადაერია, მათემატიკურ კომპლექსზე აგება რატომღაც ძალიან რომ მოსწონებოდათ. თვითონ როდის ქმნიდნენ ლექსებს ასეთი მეთოდით?..

და ელიოტი სხვა ახსნას ვერ მოუძებნიდა ამ უცნაური ესეთი ფრანგების აღფრთოვანებას, თუ არა მათ მიერ ინგლისური ენის ცუდად ცოდნას — მართებულად ვერ გაეგოთ, რას ამტკიცებდა ედგარ პო და უნებურად თავიანთ ნააზრევს იმას მიაწერდნენ, თავიანთი ღრმა შეხედულებანი და მიგნებანი, რაც „კომპოზიციის ფილოსოფიის“ კითხვამ გაუჩინათ, პოდან მომდინარედ აღიქვას: იმან გვიბძიაო.

რას წარმოიდგენდნენ, რომ პოს ეს სიღრმე სრულიად არ გააჩნდა და ლიტერატურული თამაშით „წამოიკიდა“ ეს ამხელა გონების შემოქმედნი.

მისტიფიკაციამ თუ თავის მოტყუებამ



კი დაბადა ბოდლერის, მალარმესა და ვალერის მხატვრული მეთოდები.

გნებავთ უნებურიც ყოფილიყო. მისტიფიციერება განა რას უშლის „კომპოზიციის ფილოსოფიის“ ორიგინალურ ჩანაფიქრსა და მარჯვე შესრულებას?

თუ შემოქმედების იდუმალი პროცესის ადგენა მხოლოდ პირობითად არის შესაძლებელი, თუკი სრულიად შეუძლებელი არა, ის ხომ მაინც მოხერხდება, იდუმალების გარეგნული სახე წარმოიდგინო გუნებაში და კვალდაკვალ მიჰყვე თუნდ იმ დედუქციური მეთოდით, რომლის მიკვლევაც ედგარ პოს დასაახურებდა და კიდევ მისი მიკვლევების წყალობით აღმოუჩინა ლიტერატურას ახალი ფანრი — დეტექტივი?

მაშ ელიოტს რაღა უნდა ჰქონოდა სადავო?

ალბათ არც ექნებოდა, მეტისმეტად ხელოვნურად რომ არ მიეჩნია „კომპოზიციის ფილოსოფიის“ მიზანდასახულობაც და სტრუქტურაც, ძალადობად ტექსტზე, ძალადობას კი ვერაფრისდიდებით ვერ შეეგუებოდა.

მწერლობისაგან შორს მდგომად მიიჩნევდა ელიოტი ედგარ პოს, იმ მანანხალად, შემთხვევით რომ ამოჰყო თავი მისთვის სრულიად უცნობ გარემოში და ისე გარდაიცვალა, ვერც გაიგო, სად მოხვედრილიყო.

აბა, პო მოსწრებოდა ტომას ელიოტს, თუ ისიც მწერლობისაგან შორს მდგომად არ მიიჩნევდა და თავსა და ბოლოს ვერ გაუტეხდა ვერც „ბერნ მინას“ და ვერც „მკვლევლობას ტაძარში“, და ვერც ელიოტის ამხელა ზეგავლენის მიზეზს ახსნიდა, დასავლურ ლიტერატურაზე რაც მოეხდინა.

ასეა — ვის როგორ!.. ჩვენ თუ ერთმანეთს ვერ ვურიგდებით, კლასიკოსები საუკუნეებში ვერ რიგდებიან.

და თუ ედგარ პოს აჩრდილს ვინმე დაამშვიდებდა და გაამხნევებდა, ისევე ლორდ ბაირონის აწრდილი, ჩვენ ჩვენი ვიცოდეთ, რომანტიზმია საწყისი მწერლობისა და ვინც მას უარყოფს, ისე გამოიშვება, აღმაფრენას მოკლებულ ჟამს რომ სჩვევია, და ტომას ელიოტი „ფუტურო ადამიანების“ შექმნით თანადროულობის სატირულ სურათს კი არ ქმნის, არამედ საკუთარ თავს გამოხატავს უნებურად.

ისე ედგარ პოს რატომ უხაროდა, თუ „ყორანის“ კომპოზიციამ არაფერი იყო შემთხვევითი ან ინტუიციური?

რატომ ეამაყებოდა, თუკი შეეძლო ძალდაუტანებლად, მათემატიკური სიზუსტითა და სიმკაცრით აღედგინა თავისი ნებისმიერი ნაწარმოების წერის პროცესი?

მათემატიკური სიზუსტისა და სიმკაცრის აუცილებლობა მიიყვანდა რეფრენისა (მჟღერი, შთამბეჭდავი და გაგრძელებულ-მახვილიანი რომ უნდა ყოფილიყო) და სვედიანი ინტონაციის შერჩევის აუცილებლობამდე, და კიდევ დაიბადებოდა იდეა ყორანისა, ავისმომასწავებელი ფრინველისა, მონოტონურად რომ იმეორებდა ერთ სიტყვას — „ალარასოდეს“ — ყოველი სტროფის დასასრულს დაახლოებით ასი სტრიქონისაგან შედგენილ მელანქოლიური განწყობილების ლექსში:

— ახლა კი, რათა არ დამეკარგა უმთა

ვ რ ე ს ი რ ა მ, ანუ სრულყოფილება ყოველი დეტალისა, ჩემს თავს ვკითხე — ყველა მელანქოლიური თემიდან, კაცობრიობის საყოველთაო აზრით, რომელია ყველაზე მელანქოლიური-მეთქი. სიკვდილი, იყო მკაფიო პასუხი. და მაშინ ვთქვი მე, არის კი ყველაზე მელანქოლიური იმავდროულად ყველაზე პოეტურიც? აქედან უკვე გამოვიტანე გარკვეული ცხადი პასუხი — ასე მხოლოდ მაშინ ხდება, როცა სიკვდილი მშვენიერებას უკავშირდება: ამრიგად, ულამაზესი ქალის სიკვდილი უეჭველად ყველაზე პოეტური თემაა მსოფლიოში — და ასევე უეჭველია, რომ ყველაზე უკეთ ამას სატრფოდაკარგული მიჯნურის ბაგენი ღალადებენ.

ნეტამართლა თავს იტყუებდა ამისთანა მოსაზრებების დახვავებით თუ სხვათა გაცუცურაკებას, უფრო სწორად, ეპატაჟს ესწრაფოდა?

კი გადარია ის სამი ფრანგი და, მათ კვლობაზე, მთელი მიმართულება განსაზღვრა ლიტერატურის ფილოსოფიასა, ფსიქოლოგიასა და ესთეტიკაში.

და თუნდ თამაშად და პირობითობად ვაღიაროთ „კომპოზიციის ფილოსოფია“, ამ ესეის თავისთავადი ღირებულება მაინც უდავოა პირნიმნდად ლიტერატურული თვალსაზრისით მაინც, თუ შემოქმედებითი ფსიქოლოგიისა არა.

და როდესაც თავის დროზე პაატა ჩხეიძისთან ერთად ავამეტყველე ქართულად კრიტიკულ-ესთეტიკური აზროვნების ეს შედევრი, იმიტომაც, რომ უიმისოდ წარმოდგენილი იქნებოდა ინგლისური და ამერიკული ესეის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ანთოლოგიური კრებულის შედგენა.

მოგვიანებით კი დავისაჭიროე ტომას ელიოტის იმ მძაფრ პოლემიკურ ესეის გადმოღებაც — „ედგარ პოდან პოლ ვალერიმდე“ — როგორც კონტრასტული ფონისა და თავისებური შემავსებლისა „კომპოზიციის ფილოსოფიისათვის“, თორემ თვითკმარი კრიტიკულ-ესთეტიკური ღირებულებაც რომ აქვს, ეს კიდევ ცალკე.

თვითონ გინდ რიგდებოდნენ და გინდ არა ედგარ პო და ტომას ელიოტი.

მთავარია, რომ ჩვენი მხატვრულ-კრიტიკული აზროვნება მდიდრდებოდა ამ უმნიშვნელოვანეს ესეისტურ თხზულებათა შემომატებით.

ხოლო როდესაც ჯერ „კომპოზიციის ფილოსოფია“ გადმოგვქონდა, „ყორანიდან“ ციტატა დასამონებლად საგანგებოდ მოვიძიეთ და საგანგებოდ გამოდგება საილუსტრაციოდ, და რაღა უნდა თქმულიყო იმ ვერსიებზე, რომელნიც — უკეთეს შემთხვევაში — ძალზე შორეულად თუ მიგვახვედრებდნენ, რაღაც მნიშვნელოვან ტექსტთან გაქვს საქმე.

ამერიკელი პოეტი ისე ღრმად ჩასდევდა ლექსის ყოველ შრეს, დეტალებსა თუ ნიუანსებს, რომ ასეთ დროს თვით კონგენიალური თარგმანიც კი ნაკლებად გამოდგება საილუსტრაციოდ, და რაღა უნდა თქმულიყო იმ ვერსიებზე, რომელნიც — უკეთეს შემთხვევაში — ძალზე შორეულად თუ მიგვახვედრებდნენ, რაღაც მნიშვნელოვან ტექსტთან გაქვს საქმე.

ამიტომაც ციტატებისათვის პნკარედული თარგმანი ვიკმარეთ.

მაგრამ ხომ არსებობდა არაერთი ქართული ვერსია?

და, მოსლოდნელი გახლდათ, კიდევ მიმატებოდა.

მერე რა, რომ თითო-ოროლა ნიმუშის გარდა ლიტერატურული თვალსაზრისით ვერ ბრწყინავდა ეს თარგმანები.

ნუ გამოგვრჩებოდა ამ პროცესის სოციალური მხარე, თავისთავად დამაფიქრებელი.

და მაშ ღირდა შეკრებილიყო „ყორანის“ ყველა თარგმანი, ვაჟა-ფშაველას მცდელობით (წარუმატებელი, მაგრამ ვაჟას ასერიგი დაინტერესება ამ ლექსით განსაგულისხმო არ არის?) სათავედადებული, დართოდა „კომპოზიციის ფილოსოფია“ და ტომას ელიოტის ესეიც და მცირე კრებულად გამოცემულიყო.

ამ იდეას რომ გავუზიარებდი გივი ალხაზიშვილს, ვისთანაც უკვე ვმეგობრობდი და იმჟამად გამომცემლობა „მეორანის“ მთავარი რედაქტორი გახლდათ, სიხარულით დამთანხმდებოდა და მეც სასწრაფოდ შევაგროვებდი მასალას, წინათქმასაც დაეურთავდი და წარუდგენდი თოთხმეტი ქართული ვერსიისაგან შემდგარ კრებულს, რომელიც, ცხადია, „ყორანის“ ორიგინალით იხსნებოდა.

ვაჟა იწყებდა და მოჰყვებოდა: ეს სანდრო შანშიაშვილი, ეს გრიგოლ მეგრელიშვილი („მთის ნიავის“ ფსევ-

დონიმით უფრო ცნობილი), ეს კონსტანტინე ჭიჭინაძე, ეს სანდრო სიორიძე, ეს ფილიპე ბერიძე, ეს გიორგი გამყრელიძე, ეს გიორგი ნიშინაძე, ეს სტეფანე მხარგრძელი, ეს ჯემალ ინჯიაო, ეს პორფირე იაშვილი, ეს სილოვან ნარიშკინი, ეს ვაჟა შიუკაშვილი, ეს კოტე ჯანდიერი.

დაერთოდა გალაკტიონ ტაბიძის არქივი ვახტანგ ჯავახაძის მიერ ნაპოვნი რამდენიმე სტრიქონი „ყორანის“ დასაწყისისა... და გული გწყდება, რომ ეს შედევრი უთარგმნელი დარჩა იმ პოეტს, ვისთვისაც ედგარ პო ერთ-ერთი უჭირფასესი სახელი გახლდათ და ეს სახელიც და რემინისცენცია-ალუზიებიც „ყორანიდან“ თუ სხვა ლექსებიდან გადადიოდა და გადმოდიოდა გალაკტიონის პოეტურ ხილვებში. იდუმალებით შეზურავდა და დიდ თავსატეხსაც გაუჩნდა მკვლევარებს, თუ რას გულისხმობდა თუნდაც „ედგარი მესამედ“... ის კი არა, „ლურჯა ცხენები“, რომელშიც ხელშესახებად სულაც არ შეიმჩნევა რემინისცენცია თუ ალუზია, აგებულია „ყორანის“ ლექსნაწობაზე — იმ საზომით, იმ მუსიკალურობით, იმ მიდართობებით...

გარეკანისათვის ვახტანგ ჯავახაძეს საგანგებოდ გამოვართვი ედგარ პოს გალაკტიონისეული პორტრეტი, რომელიც მანამდე მის მხატვრულ-ლიტერატურულ ნიგნში „უცნობი“ იყო ჩართული.

მარტო გალაკტიონი კი არა, ცისფერყანწელთათვისაც ერთი ყველაზე ამაღლებული სახელი გახლდათ „ყორანის“ შემოქმედი და გრიგოლ რობაქიძე სიამაყით აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1918 წელს, რომ: ქუთაისის დუქნებში, რომლებიც უეცრად პარიზის ლიტერატურულ კავებად გადაიქცნენ, არღვის ხრინწიან ხმასა და აუცილებელ მრავალჟამიერთან ერთად გაისმა ძვირფასი სახელები — ედგარ პო და შარლ ბოდლერი, პოლ ვერლენი და სტიფან მალარმე, ხოზე მარია ჰერედი და ვერჰარნიო...

იმ თარგმანებიდან, რაც კრებულში გაერთიანდა, გიორგი გამყრელიძის ვერსიის პირველი პუბლიკაცია აქაურ სივრცეში ჩემი თაოსნობით და წინასიტყვაობით მოხდა გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე. ბუჟან ბარდაველიძემ იცოდა, „ყორანის“ ქართული თარგმანების შეკრებას რომ ვაპირებდი და, რაკილა ჩვენს ემიგრანტულ მწერლობაზე ხელი მიუწვევებოდა, არამარტო მომხანოდა გიორგი გამყრელიძის თარგმანი, არამედ ნიგნამდელი პუბლიკაციის უფლებაც დამითმო.

რაც შეეხება ანდრო სიორიძის ვერსიას, ამ ბათუმელმა პოეტმა ოთარ ჩხეიძისა აჩუქა თარგმანის ხელნაწერი: ისე ვერ გავჩაღებ, გამოქვეყნება რომ შეიძლებოდა, ამიტომ სახსოვრად გქონდესო. თარგმანი არ ყოფილა ურიგო, თუმც ალაგ-ალაგ დახვეწა უთუოდ ზჭირდებოდა, და ოთარ ჩხეიძემ საბოლოო რედაქციისათვის გადასცა მეგობარ პოეტს ლადო სულაბერიძეს, ვინც შესაფერისი ცვლილებანი შეიტანა ტექსტში და მისი გამოქვეყნება უკვე თავისუფლად შეიძლებოდა.

ორიგინალური კრებული — რომელიც ამ მხრივ პირველი უნდა ყოფილიყო ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში, და მისი გამოცემის რიგმაც მოაწია — მოულოდნელად... აღარსად აღმოჩნდა. ეძებეს, ეძებეს და... სანუგეშოდ ესლა მითხრეს: ვერ ვპოულობთ, თორემ სადმე აუცილებლად იქნებო.

სადმე ეგებ ახლაც არის.

მეორე პირები არ გამაჩნდა, დაკარგვა ვერ წარმოვიგინე და წინასწარ არ მიზრუნია, სახელდახველად კიდევ ერთხელ ველარ შევაგროვე, ამასობაში სხვა საქმეები დამანვა და... ის პროექტი ასე უიმედოდ მიმრჩა.

დანანებით კი გავიხსენებდი, და ისიც მიფიქრია, ისე როგორ იქნება, სხვასაც არ მოუვიდეს თავში ეს იდეა და ადრე თუ გვიან „ყორანის“ ყველა ქართული თარგმანი ერთ ნიგნად არ გამოჩნდეს-მეთქი.

მითუმეტეს, გაზეთებსა თუ ჟურნალებში დაიბეჭდა ახალ-ახალი ვერსიები.

მათგან კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის თარგმანი ოთარ ჩხეიძემ გამოაქვეყნა ფურნალ „კლდეკარის“ ფურცლებზე.

ლელა ებრალიძისეული ვერსია კი მე თვითონ დაგებეჭდე გაზეთ „ჩვენს მწერლობაში“, სარედაქციო მინანქრში კი ზოგადად აღვნიშნე, რომ ნულებს წინათ კრებულად იყო გამზადებული „ყორანის“ ქართული თარგმანთა ნაკრები და გამოცემლობაში დაიკარგა.

დასასრული მე-16 გვერდზე



ედგარ ლოურენს დოქტოროუ:

„მწერლობა კეთილშობილური პროფესიაა...“

ამერიკელი მწერალი, მრავალი პროფესიული პრემიის ლაურეატი ედგარ ლოურენს დოქტოროუ 1931 წლის 6 ნაწიარს ნიუ-იორკის ერთ-ერთ უბანში, ბროქსში რუსეთიდან ემიგრირებული ებრაელების მეორე თაობის ოჯახში დაიბადა. დოქტოროუმ ფილოლოგიური განათლება მიიღო და წლების მანძილზე სტუდია „ქალაქშია ფიქჩერის“ ლიტერატურულ კონსულტანტად იმუშავა. ერთხანს გამომცემლობა „დეილი პრესის“ რედაქტორიც იყო. პერიოდულად XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოჩნდა. მას ეკუთვნის რომანები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მძიმე დროში“, „მსოფლიო გამოცემა“, „მარში“ „ბილი ბასკეითი“ (რომანი მოგვითხრობს ბროქსის ლარიბ ოჯახში დაბადებულ ბიჭუნაზე, რომელიც 1930-იანი წლების ცნობილი განგსტერის მოსწავლე ხდება. რომანის ეკრანიზაციაში მონაწილეობენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან დასტინ ჰოფმანი და ნიკოლ კიდმანი) და „რეგტიმი“, რომლის ეკრანიზაციაც რეჟისორ მილომ ფორმანს ეკუთვნის და რომელიც მსოფლიო ბესტსელერად იქცა. ედგარ ლოურენს დოქტოროუ ავტორია რამდენიმე პიესისა და ჩანაწერებისა. მისი პიესა „ოქტევილი სადილის წინ“ ნიუ-იორკის შექსპირის თეატრში დაიდგა. მწერალი დაჯილდოებულია უილიამ დინ ჰაუელის მედალით, რომელსაც ამერიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემია გასცემს.



გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ედგარ ლოურენს დოქტოროუსგან ფედერალური საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელმა ალენ ვანსტაინმა აიღო. მათი შეხვედრა 2008 წლის 25 სექტემბერს ამერიკის ნაციონალური არქივების ოფისში შედგა. ინტერვიუ იბეჭდება შემოკლებით.

— მოხარულნი ვართ, რომ სტუმრად გვყავს ჩვენი ქვეყნის და მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი. ვფიქრობ, დამსწრეთა უმრავლესობისათვის ცნობილია ამ ავტორის არაერთი ნაწარმოები, მათ შორის, ბოლოხანს გამოქვეყნებული შესანიშნავი რომანი „მარში“. მაგლობას მოგახსენებთ, სერ, ჩვენს პროგრამაში მონაწილეობისათვის.

მაშ, ასე, ედგარ ლოურენს დოქტოროუს ეყო ჭკუა, ქვეყანას მოვლენოდა ნიუ-იორკში და ეცხოვრა ბროქსში. საჭიროა რაიმეს დამატება? იგი მეორე თაობის ამერიკელია. მამამისს უყვარდა ედგარ ალან პო. როგორც ვხვდებით, თქვენი სახელი ედგარზე აქედან მოდის.

— გასურთ, ჩემს ახალგაზრდობაზე ვისაუბრობო?

— დაბა, რა გითხრათ? ნებაზე მიშვებულ ბავშვი ვიყავი, გამუდმებით ვკითხულობდი, სახლში სულ მუსიკის ხმა ისმოდა. დედა პიანისტი იყო, მამა — მუსიკალური მალაზიის მეპატრონე. იგი ნაწილობრივ მუსიკანტად მუშაობდა, მალაზია კი დიდი დეკორაციის წლებიდან შემორჩა. ჩვენ სახლში ყოველთვის ბუკინი წიგნი იყო და მუსიკა ისმოდა, ფული კი ვაჭარობდა. ჩემი მშობლები კარგი მკითხველები იყვნენ. თემიდან ხომ არ გადავუხვიე?

— არა. — როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ჩემთვის მართლაც ედგარ ალან პოს პაციფისციზმით დაუბრუნებია სახელი. ბავშვების შემთხვევით არ არქმევენ სახელებს: მამაჩემს მართლა უყვარდა ედგარ პოს წიგნები. საერთოდაც მას ბუკინი ცუდი მწერალი მოსწონდა... თუმცა, ჩვენი ცუდი მწერლებიდან პო ყველაზე დიდია, რაც ცოტათი მამშვიდებს. მამა ადრე გარდაიცვალა, დედამ კი ოთხმოცდაათ წლამდე იცოცხლა. ერთხელაც უკვე ხანდაზმულ დედებს ჩემ სახელები დაკავშირებით ვკითხე: „იცოდით შენ და მამამ, რომ მარქვედით ნარკომანის, ალკოჰოლიკისა და ნეკროფილისადმი აპკარად მიდრეკილი მანიაკალური პარანოიკის სახელს?“ „ედგარ, ეს სასაცილო არ არის“, — მომიგო დედამ.

ცნობა წლის ასაკში მივიჩნიე, რომ მწერალი ვიყავი, ისე, რომ დაწერილი არაფერი მქონდა, სამაგიეროდ, ყველაფერი ვკითხულობდი. ჩემს თაობას გაუმართლა — ტელევიზია ჯერ კიდევ არ გვიბურღავდა ტვიხს, ამიტომ ყველანაირ ინფორმაციას წიგნიდან, კომიქსებიდან და საბავშვო რადიოგადაცემებიდან ვიღებდით. მერე და მერე ერთი კითხვა მანვალებდა. ჩვეულებრივ, როცა ბავშვი კითხულობს, აინტერესებს, რა იქნება შემდეგ, მე კი მაინტერესებდა, როგორ ხდება ეს ყველაფერი? ვფიქრობ, სწორედ ეს კითხვა უნდა ადრევე დაგეგმავს, ანუ ბავშვს, თუკი მწერლობაზე ოცნებობს. „მწერალი ფურცელზე ხედავს მზა სტრიქონებს, რომლებიც აღძრავენ ძლიერ გრძობებს მკითხველის ცნობიერებაში. როგორ ხდება ეს?“ მასსოვს, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჯექ ლონდონმა, როგორ ნამოკლები ბიბლიოთეკიდან თეოფილ გოტიეს „მადმუაზელ დე მოპენი“, რომლის კითხვისგანაც ყურები მენჭოდა — ძალიან სექსუალური წიგნია. წიგნების შერჩევისას სათაურებს ვაკვირდებოდი. მაგალითად, მომწონდა ვინმე დოსტოევსკის წიგნის სათაური „იდიოტი“... როგორც მოგვიანებით აღმოვაჩინე, მამაჩემი შეუმჩნეველად აკვირდებოდა, რას ვკითხულობდი და დარწმუნდა, რომ უმეტესად ეს იყო მისტიკა, იდუმალებით მოცული ამბები და თავგადასავლები. ერთხელაც, როცა სტუმრად ვიყავით პაპასთან — მას კი შესანიშნავი ბიბლიოთეკა ჰქონდა — მამამ ერთი წიგნი აიღო და თქვა: „აი, „მწვანე ხელი“, შიში, ჟრუნბული. აბა, გადაფურცლე“. სანამ უფროსები ჩაის და ნამცხვარს მიირთმევდნენ, მთელი კვირადღე კუთხეში ვიჯექი და ამ წიგნს ვკითხულობდი. მამამ იემამაკა: წიგნი იყო არა მწვანე ხელზე, არამედ ჯერ კიდევ „მწვანე“ მეზღაურზე, რამაც სახლგაო თემატურას მიმაჯაჭვა... — ერთხელ მოყვით, როგორ დაიწყეთ წერა ბროქსის სამეცნიერო მიმა-

რთულების სკოლაში.

— ამ სკოლაში მძიმე წლები გადავიტანე. იქ სწავლობდნენ მეტად ჭკვიანი ბავშვები, ზოგი მათგანი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ თავისუფლად უწინასწარმეტყველებდი ნობელის პრემიას ფიზიკის დარგში. მათგან თავდასახსნელად ქვედა სართულზე ჩავდიოდი, სადაც ლიტერატურული ჟურნალის რედაქცია იყო. პირველად ამ ჟურნალში დავიბეჭდე, მოთხრობას „ხოჭო ერქვა“. მაშინ კაფკას ვკითხულობდი და მოთხრობაც მისი გავლენით დავწერე. შემდეგ გადავწყვიტე, ჟურნალისტიკას გავყოლოდი. არა, ეს საქმე მინიც და მინიც არ მზიბლავდა, მაგრამ წერის საშუალება მეძლეოდა. ერთხელაც ინტერვიუს მომზადება დამეცალა და ქალაქისკენ გავემართე.

— ალბათ, რომელიმე გამოჩენილ პიროვნებას უნდა შეხვედროდით.

— პო. ნავედი და კარნეგი-ჰოლის შესავლელის დარაჯისგან ავიღე ინტერვიუ. სანდომიან მოხუცს კარლი ერქვა და გერმანიიდან ლტოლვილი ებრაელი იყო. სამსახურში ყავისფერი შარვლითა და ლურჯი სარკის პიჯაკით დადიოდა. ჩაის ეგროპულად სვამდა — შაქარს ცოტას მოაკვებდა, კბილებს შორის გაიჩრებდა და ასე ისრუტავდა ჩაის ფინჯნიდან. ყველა ცნობილი პიროვნება აღმერთებდა. მესანიშნავად ერქვოდა მუსიკაში. გოლოვი და ტოსკანიხი სახელით მიმართავდნენ. აი, ამ კაცისგან ავიღე ინტერვიუ. მეორე დღეს მასწავლებელმა გამომიძახა და მითხრა: „ეს საუკეთესო ინტერვიუა, რაც ამ სკოლაში ნამიკითხავს. აუცილებლად დავბეჭდავთ ჩაისის გაზეთში, ოლონდ, იქნებ, რომელიმე ბავშვი გაემგზავროს კარნეგი-ჰოლში და კარლს სურათი გადაუღოს“. „ფიქრობ, მას ეს არ მოეწონება“, — ვუპასუხე. „რატომ?“ — მკითხა მან. „იცი, კარლი ძალიან მორცხვია“. „მორცხვია? კი მაგრამ, ინტერვიუ ხომ მოგცა?“ „მთელ ასეც არაა, — ვუპასუხე, — კარლი არ არსებობს, მე გამოვიგონე“.

— მოგვიანებით წერდით: „ვფიქრობ, მხატვრული გამოხატვის იჭრება რეალურში. ისტორიკოსებმა იციან, რომ ობიექტურები არ არიან. მითისა და ისტორიის ნახაზი — აი, ჩემი რომანების ამოსავალი ნერტილი“. თქვენი კარლიც მითია, რეალურ ამბებთან შეთავსებული.

— ჩემი პოზიცია ასეთია: თუკი კარლი არ არსებობს, უნდა გამოვიგონო, — ამ გზით ვავსებ ლაკუნებს.

— ბროქსში ბევრი ადამიანი ჰვავდა კარლს. ისინიც ისევე დადიოდნენ ბიბლიოთეკაში, როგორც ყველა ჩვენგანი. გახსოვთ საჯარო ბიბლიოთეკები? ნამოილებ უზარმაზარ შეკვრა წიგნებს, ორ-სამ დღეში ნაიკითხავ, დაბარუნებ და ისევ ხელახლა შეუდგები ამ საქმეს.

— საჯარო ბიბლიოთეკას ჩემთვის უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარი იყო არა მხოლოდ წიგნის შინაარსი, არამედ მისი ფაქტურა. ზოგი ძველი ეგზემპლარი ხმარებისგან ისე გაცვეთილიყო, რომ ხელახლა აკრავდნენ და ანებებდნენ. შეგხვდებოდათ კითხვისგან დამდნარი ფურცლებიც. კიდევ ერთი სასიამოვნო მოგონება: ბიბლიოთეკის სახელობეს ვაპინგტონ-ავენიუზე დიდი სიაცხობი იყო, ალბათ პურის ქარხანა, და ირგვლივ ახალგაზრდობის პურის სურნელი იფრქვეოდა. ასე შეერწყა ჩემს ცნობიერებაში პური წიგნს და ეს ასოციაცია მეტ-ნაკლებად დღემდე მომყვება...

— როგორ აღმოჩნდით ბროქსიდან ქენონ-კოლეჯში, ეს ხომ ორი სხვადასხვა სამყაროა?

— მართლაც უცნაურია. მომწონდა ჯონ ქროუ რენსომის ლექსები. ის გახლდათ ახალი კრიტიკის მიმდევარი, ნატიფი და პოპულარული პოეტი. ახლა მოლაშქა, ნაკლებად ცნობილი პოეტი იყო. ვიგრძენი, რომ მასთან მსურდა სწავლა ქენონ-კოლეჯში და, ჩემდა გასაკვირად, მიმიღეს კიდევცხომ იცით, როგორ ემზადებოდნენ ბავშვები კოლეჯში შესასვლელად? აქ თხილავს მთელი კომპიუტერი, დინამიკები და ვინ მოთვლის კიდევ, არ აღარ. მე კი ვაგზობისკენ გავემართე ერთი პატარა ჩემოდნითა და ქალაქის პარკით, რომელშიც სენდვიჩი, ვაშლი და რძის პაკეტი იწყო. მშობლებს უწინასწარმეტყველებდით და ვემშვიდობებ — უკვე თქვენსმეტი წლის ვიყავი — და მატარებელში ჩავჯექი...

ქენონში შესანიშნავი ცოდნა მივიღე. კოლეჯი დავამთავრე ფილოსოფიის დიპლომით. იქ ასწავლიდა ორი საუკეთესო ამერიკელი ფილოსოფოსი — ფილიპ ბლერ რაისი და ვერჯილ ოლდრიჯი. მე, ცხადია, ორი წელი რენსომთან ვსწავლობდი. გატაცებული ვიყავი თეატრითაც და ვმონაწილეობდი სტუდენტურ დადგმებში, მაგრამ კარგ როლებს მანამ არ მძლავდნენ, სანამ კოლეჯი არ დაამთავრე ლეგენდარულმა უფროსკურსელმა პოლ ნიუმენმა (პოლიუდის ვარსკვლავი — 1925-2008 — მთარგმნელი ვარსკვლავი). საინტერესოა, რა ბედი ეწია მას?

— თუმცა, დავუბრუნდეთ ქენონსა და პოეზიას. კრიტიკულ სტატიებს ისე ვწერდით, როგორც ფიქტურის თამაშობენ ოპიის შტატში: იქ სიტყვებს არ ეხუმრებოდა. მოგვიანებით, როცა მწერალი რობერტ პენ უორენი გავიცანი, მითხრა, იმ პერიოდში ქენონ-კოლეჯი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელ ქვეყანაში, რაც დიდად მეაბა.

— პირველად როდის მიმართეთ ისტორიას, რაიმე კონკრეტულმა შემთხვევამ გიკარნახათ თუ ეს გასაყოველთვის ბუნებრივი იყო თქვენთვის?

— კარგი კითხვაა. იცით, ისტორიასთან მიმიყვანა ქემოქმედებითი ხასიათის შემთხვევითობათა წყება. არმიის შემდეგ „ქალაქშია ფიქჩერსში“ რიდერად ვმუშაობდი, ანუ დღემდე ერთ წიგნსა თუ სცენარს ვკითხულობდი იმის გასარკვევად, შეიძლებოდა თუ არა ამ მასალის მიხედვით ფილმის გადაღება. იმ ხანებში ძალზე პოპულარული იყო ვესტერნის ჟანრი და ყოველდღიურად მიხდებოდა საშინელი, გულისაბრველი თხზულებების კითხვა. ერთხელაც პაროდია დავწერე ამაზე და ჩემ მეფს ჯონი ჯონსტონს ვაჩვენე. მან მითხრა: „მომწონს, რომანად გადააკეთე“. მოთხრობას სათაური მოუძებნე, ქვეშ მივუწერე „პირველი თავი“ და ისე, რომ რომანის ინჩი-ბინჩი არ გამეგებოდა, წერას შევუდეგი.

რომანში მოქმედება მიმდინარეობს დაკოტას ტერიტორიაზე 1870-იან წლებში. იმის მიუხედავად, რომ თავიდან პაროდია იყო ჩაფიქრებული, ამ ცდასთან ერთად დაიწყო რაღაც სერიოზულის მიღება მომინდა. სტრუქტურულ საფუძვლად პაროდია დარჩა, თუმცა რომანში არაფერია გამასხრებელი. დაიბეჭდა, მოჰყვა კარგი გამოხმაურება და მიგზავნი, მიხანს მივალნი, იმის მიუხედავად, რომ არასოდეს არსებულა დასავლეთ ოპიო. კაცმა რომ თქვას, ნიუ-იორკისთვის ოპიო ისედაც დასავლეთია. ასეთი მიდგომა პირველი არ არის, მაგალითად, კავკაზ პარადიდან გაუსვლელად დაწერა „ამერიკა“...

— თქვენს მითხრეთ, როგორ მიგმართე ისტორიას. ვფიქრობ, ეს თვით რომანის ჟანრმა მოითხოვა. მე ნიუ-იორკში გავიზარდე, მაგრამ ამ ქალაქს ისეთი გავლენა არ მოუხდენია ჩემს მწერლობაზე, როგორც, ვთქვათ, შუა დასავლეთმა შერეულ ანდერსონსა და სინკლერ ლუსისზე, ანდა სამხრეთმა უილიამ ფოლკნერზე. უბრალოდ, თავში მომივიდა აზრი, რომ დრო ისევე შეიძლება იქცეს რომანის მაროგანიზებულ პრინციპად — როგორც სივრცე. ჩემი მეორე წიგნი (მასზე ლაპარაკი არ ღირს, რადგან კრიტიკოსებმა ბომბის აფეთქებასავით მიიღეს) და შემდგომებიც — „დასავლეთის წიგნი“ და „რეგტიმი“ ამ პრინციპითაა აგებული. მაგრამ ჩემ თავს ისტორიული რომანების ავტორად არ მივჩნევ, საერთოდაც, ასეთი განსაზღვრების წინააღმდეგ ვარ. გნებავთ, განვავრცო ეს თემა?

— რა თქმა უნდა, ოლონდ აქვე შევნიშნავ, რომ ისტორიული რომანების ავტორად არ მომიხსენებინახართ. მე ვთქვი, რომ თქვენ ხართ მწერალი ბროქსიდან.

— ეს მთლად გასაგები არ არის... ცხადია, ასეთი ჟანრი არსებობს. „ისტორიული რომანი“ — კოსტიუმური რომანია, რომელიც ამა თუ იმ ეპოქას ადიადავს, მაგრამ ამ შედარებით ჟანრზე არ ვსაუბრობ. მაგალითად, „ალისფერ ასოში“ ნათანელ ჰოტორნი თავის დაბადებამდე ასორმოცდაათი წლის წინანდელ პერიოდს აღწერს და განა მას ისტორიულ რომანად მივიჩნევთ? მარკ ტვენმა „ტომ სოიერის თავგადასავალი“ 1870-იან წლებში დაწერა

და თავისი ბავშვობა — 40-იანი წლების ეპოქა აღწერა, თუმცა „ტომ სოიერი“ და „შექლები ფინი“ ისტორიული რომანები არ არის.

— ასეა თუ ისე, ნებისმიერი რომანი ასახავს წარსულს, ამას ვერსად გავუცდევით, თუმცა, შეგიძლიათ, შემოქმედდეთ: რომანი ისტორიული არა მხოლოდ იმის გამო, რომ წარსულს ასახავს, არამედ იმიტომაც, რომ მასში რეალური პიროვნებები გამოყვანილი. მაგრამ ჩვენ ისტორიულ რომანად არ მივიჩნევთ არც ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“ და არც სტენდალის „პარმის სავანეს“, თუმცა ორივე რომანში ისტორიული პიროვნებები გამოყვანილი...

— ახლა შევხვებით თქვენი ხელობის ბუეებს. პერსონაჟები, ადგილი, სადაც მოქმედებთ ვითარდება, თქვენთვის საინტერესო აქტუალური თემები იმაზე მიუთითებს, რომ გამორჩეულად ნიუ-იორკელი მწერალი ხართ. ნიუ-იორკი თქვენს ცხოვრებაში მთავარი ქალაქია?

— ესე იგი, ნიუ-იორკელ მწერლად მიგაჩნევართ? — ვფიქრობ, მხოლოდ ნიუ-იორკისთვის დამახასიათებელი ბევრი დეტალი გაქვთ დაჭერილი.

— გმადლობთ. პო, იყო დრო, როცა ასე მომიხსენიებდნენ. მე წართლაც გამოვიქვეყნე რამდენიმე წიგნი, სადაც ნიუ-იორკის ყოფა იყო აღწერილი სხვადასხვა პერიოდში, მაგრამ ასევე ხშირად მომიხსენიებდნენ პოლიტიკურ, ისტორიულ, ებრაელ და პოსტმოდერნისტ მწერლადაც... არ ვაპროტესტებ, ჩემი შემოქმედების ნებისმიერი გააზრება მისაღებია, თუკი ამომწურავობის პრეტენზია არ გააჩნია.

— როგორ მოგზონს ეს ციტატა? „დოქტოროუ — ამერიკის გაქრობის პირის მისული რადიკალური წარსულის ეპიკური მომღერალი. ვერცერთი მემარცხენე თანამარცხენელი ვერ წაიკითხავს მის დიდებულ რომანებს ერთგვარი განზილების გარეშე, რაც თანადროულთა პოლიტიკური დილემების ბუნებრივი რეაქციაა“.

— უცნაურია... უნდა გამოგიტყდეთ. როგორც წესი, სერიოზულ კრიტიკას არ ვკითხულობ, არ მერის მეტისხედება ჩავუტრიალავდი იმას, რასაც ვაკეთებ... იკითხო სერიოზული კრიტიკა — იგივეა, შენი ნებით გაყო თავი უღელში. ხელოვნება თითქმის უკონტროლო პროცესია, რომლის შედეგიც უმეტესად განუქვრეტელია. ჩემი ახალგაზრდობის დროის კრიტიკოსები იყენებდნენ გამოთქმას „ინტელციალური ცდომილება“, ანუ გულისხმობდნენ, რომ ავტორმა ჩაიფიქრა ერთი და მიიღო მეორე. ესე იგი, ჩანაფიქრი უკვე ცდომილებაა... ყოველთვის ვემადლიერებდი იმ კრიტიკოსებს, განსაკუთრებულ ყურადღებას რომ იჩენენ ჩემს მიმართ, მაგრამ როცა წიგნსა თუ სტატიას მიგზავნიან, მაგლობას ვუთუთავი და... არ ვკითხულობ.

— ზოგიერთი მწერალი მკაცრად იცავს რეჟიმს და ყოველდღე ერთ გვერდს ან ცოტა მეტსაც წერს. სხვები უფრო თავისუფლად ეკიდებიან საქმეს და იმის მიხედვით მუშაობენ, როდის ენევათ შთაგონება, როგორ განწყობა არიან და ასე შემდეგ. თქვენ რომელ მოდელს ანიჭებთ უპირატესობას?

— მიმარჩია, რომ ყოველდღე უნდა იარო სამსახურში. თუკი გააცდენ, ორი დღე დაგჭირდება დაკარგულის ასანაზღაურებლად. ბევრი წესია, რომლითაც შეიძლება იხელმძღვანელო. ჰემინგუეი — სამწერლო საქმიანობის დიდი მცოდნე — ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: „შენ-ვეციტეთ წერა, თუ იცით, რა მოხდება შემდეგ“. ყველაფერი გასაგებია. და კიდევ: „წერის გაგრძელების წინ არასოდეს ნაიკითხოთ დაწერილი ტექსტის ერთ გვერდზე მეტი“. ბევრი ავტორი გამუდმებით კითხულობს უკვე დაწერილ ტექსტს, რაც მეცდომია. მე ყოველდღიურ რომანს ვარჩევ. მწერლობა კეთილშობილური პროფესიაა, რაც ერთგულებას, პრინციპულობას და ეკოიზმს მოითხოვს. უნდა შეგახსენოთ, როცა მწერალი თავის წიგნებსა და წერის მანერაზე მსჯელობს, თხზვის პროცესი გრძელდება.



ლაშა იმედაშვილი

# ქართული მანონი

გაგრძელება

მეორე დილით ადრიახად წამომდგარმა ანდრომ მანქანის სარემონტოდ პროფილაქტიკაში წასვლა მოიმიზეზა და სახლიდან იმ დროს გავიდა, როდესაც გადიან კიდეც მანქანის გაუმართაობით შენუხებული და ამ გაუმართაობის დაძლევის სურვილით შეპყრობილი მძღოლები. რადგან ნორა ძირითადად ერთ უბანში დაატარებდა მანონს და მისი სამოძრაო მარშრუტი სოლოლაკისთვის დამახასიათებელი რამდენიმე მოკლე ქუჩითა და ასევე რამდენიმე სახლით შემოიფარგლებოდა, ანდროსთვის მათი მონახვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. მთავარი ახლა მანქანის გადაძალა დასვლა იყო, ისე რომ, ოჯახის წევრებს რაიმე ეჭვი არ აეღოთ და საკუთარ საქმეებზე, თუკი ასეთი ექნებოდათ, გარეთ გამოსულეხს ანდროს, იგივე წელის მანქანა თვალში არ მოხვედროდათ. ანდრომ ხერხი იხმარა და ვითომდა პროფილაქტიკაში წასაყვანი მანქანა იქ გააჩერა, სადაც სხვა მანქანებიც მრავლად ეყენა, ანუ უბნის ერთადერთ სკოლასთან. მართალია, გამოსაჩენი ადგილი კი გახლდათ, მაგრამ ვერც იმას წარმოიდგენდა ადამიანი, რომ სკოლასთან, რომელიც ანდროს ოციონდე წლის დასრულებული ჰქონდა, მის მანქანას ნაანყდებოდა. ნივ-

ლიერა, კარი დახურა, მაგრამ მალე უკანვე დაბრუნდა, კარი ისევ სანახევროდ გახსნა და ანდროს ორი დაჭმუჭნული ფურცელი მიანოდა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა ნითელი შხეფების კვალი, საგარაუდოდ უხეიროდ გახსნილი ტყემლის ბოთლის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.  
 „გაზეთებში „ლომისი“ და „პოეზიის დღე“ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლების შესახებ.  
 1. გაზეთი „ლომისი“ დაიხუროს.  
 2. წინადადება მიეცეს ჩეკას – გამოიძახოს და დაკითხოს გაზეთებში დაბეჭდილი სტატიების ავტორები.  
 3. დაევალოს ცკ-ის ავტორებს გაარკვიოს მთავალიტში ვის ევალეობდა გამოცემაზე მეთვალყურეობა. ამხ. შავიშვილს გამოეცხადოს საყვედური გაზეთებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული სტატიების გასვლისთვის.  
 წინადადება მიეცეს მთავალიტს – მკაცრად ადევნოს თვალი საქართველოს ყველა გამოცემას.  
 4. წინადადება მიეცეს ზომლეთელს (ბათუმი) არ ითანამშრომლოს ბურჟუაზიულ გამოცემებთან.  
 5. წინადადება მიეცეს საქრევკომს მთელ რესპუბლიკაში აიკრძალოს ჰომინი „დიდება“.



ჰეპლა ეს ამბავი მოჰყოლია პოეტ იოსებ მჭედლიშვილის ლექსის გამოქვეყნებას, რომელიც საკმაოდ გრძელი იყო, ვითომდა საბჭოთა მიღწევებს ადიდებდა, სინამდვილეში კი ყოველივე ამ ორი სტროფისთვის იყო დაწერილი, რომლითაც სრულდებოდა კიდეც აღნიშნული ლექსი.

თისა თუ ადამიანის დამალვაც ხომ ასე უნდა, ყველას დასანახად თუ შესამჩნევად, სწორედ ასეთ დროს ჭირს მისი აღმოჩენა. ანდრომ ასიოდე მეტრი გაიარა და მიადგა კიდეც თავდგირიძეების ოჯახის კარს, რა თქმა უნდა, ნორას სიის მიხედვით, რომელსაც ეს ოჯახი, მხოლოდ მისთვის ნაცნობი მიზეზებით, სიაში პირველ ნომრად ჰყავდა განთავსებული.  
 – ვინ ბრძანდებით? – გაისმა კარსუკან ხანშიშესული ქალბატონის ხმა, როდესაც ანდრომ რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ზარის დარეკვანზე უარი განაცხადა და კაკუნზე გადავიდა.  
 – ანდრო ქირია ვარ, ქალბატონო, თქვენი მეზობელი, აქვე ახლოს ვცხოვრობ, საქმე მაქვს.  
 – ფული არ მაქვს, თანაც მარტო ვარ და ვერ გავალებ, ვერაფრით დაგეხმარებით.  
 – ფული არ მინდა, საქმე მაქვს, ნორამ გამომაცხადებ. – კიდეც ერთხელ სცადა ანდრომ მასპინძლის დათანხმება.  
 – რომელმა ნორამ?  
 – მემანვანემ.  
 – თქვენ შვილი ხართ?  
 – არა, ოჯახის ახლობელი. - იცრუა ანდრომ. – ქალბატონ ნორას მანქანა დაეჯახა.  
 მცირეოდენი შეყოვნების შემდეგ საკეტი გატყავუნდა და კარი სანახევროდ, ჯაჭვზე გაიღო, როგორც შეეფერება კიდეც ძველ, ხისკარიან ბინებს.  
 – რა გნებავთ?  
 – თქვენ რამდენ ქილა მანონს იღებთ?  
 – პირდაპირ საქმეზე გადავიდა ანდრო, რადგან, როგორც საუბრიდან ჩანდა, ბინის პატრონს ნორას ბედ-იღბალი არ ანალვლენდა.  
 – ორს.  
 – ქილები ქალღმერთი იყო დახურული?  
 – დაახუსტა ანდრომ.  
 – მგონი კი.  
 – იქნებ გენახათ ქალბატონო, მე არაფერი მჭირდება, უბრალოდ ნორას შვილმა მოხვია ძალიან, ყველა უნდა დავიარო და იქნებ მოვავროვო როგორმე. – თავი მოისანყლა ანდრომ.  
 ქალმა ანდრო კიდეც ერთხელ შეათვა-

რატომ არ გინდა შეურიგდე იმ სინამდვილეს, რომ შენს მხარეში უკეთესად სხვა გრძობდეს თავსა?

მჭედლიშვილის დაპატიმრება, იმავდროულად ბინის ჩხრეკა, დავალებული ჰქონდა გამოცდილ მუშაკს ხუტა ხუტუტისა, იგივე „აისელს“, რომელსაც ჯერ კიდევ კიევის ჩეკას თავმჯდომარეობისას, საკუთარი ხელით ჰყავდა დახვრეტილი ექვსასი მონინალმდეგე ახალი მთავრობისა. ხუტუტისა იყო განსწავლული ექიმი, თუმცა ექიმად ერთი დღეც არ უმუშავია და ძირითადად მიცვალებულებით გახლდათ დაკავებული. უყვარდა მუსიკა, სიმღერა, მოლენა; მღეროდა, აგრეთვე უკრავდა და ბინაზე ჰქონდა თითქმის ყველა აღმოსავლური საკრავი. ჰყავდა რუსი ცოლი, რომელსაც ყოველდღე აკარგვინებდა ნონასწორობას, და რამდენიმე ქართველი საყვარელი, რომლებიც დროდადრო უჩინარდებოდნენ და ასევე დროდადრო იცვლებოდნენ ახალი საყვარლებით. ასეთ მუშაკს დაუსხლტა პოეტი მჭედლიშვილი და გადაიხვეწა რუსეთში, ვითომდა საკუთარი რუსი ცოლის, ასევე რუსი შვილის მოსანახად, ყოველმთხვევაში, მეზობლები, ისინიც, რომლებიც თანამშრომლობდნენ, და ისინიც, რომლებსაც თანამშრომლობა ჯერ არ დაეწყოთ, ამ ყოველივეს დაჟინებით ამტკიცებდნენ. ჩხრეკა კი ჩატარდა და წარმატებით, თუკი ამას წარმატება ჰქვია, დასრულდა. აღმოჩენილი იქნა რამდენიმე ლექსი, რომელიც მჭედლიშვილის ისედაც მძიმე მდგომარეობას სულ მთლად უიმედოს ხდიდა.

სიმდიდრისათვის თაღლითობით იმდენს, რომ ვისაც ჰქონდა, ჩამოართვით საცხოვრებელი, და პოლიტიკონდას თქვენშიც ყველა იმისთვის იძენს, რომ ჯიბისათვის მოიხმაროს მარქსი, ბებელი.

დასასრული შიშავი ნომერი

როსტომ ჩხეიძე

# ეს უცნაური ედგარ პო

დასასრული

ისე როგორ იქნება, სხვასაც არ მოუვიდეს თავში ეს იდეა...  
 და, აი, კიდეც:  
 „ინტელექტის“ კიდეც ერთი წარმატებული პროექტი —  
 ედგარ პოლ პოს „ყორანი (ერთი შედეგის ოცდაერთი ქართული თარგმანი)“.  
 შეადგინა და შენიშვნები დაურთო გივი ბოჯუამ. დავძენდი: გემოვნებით შედგენილი ბიბლიოგრაფიული ცნობები, საგულისხმო სურათს რომ ალადგენს.  
 გარეკანს ამშვენებს ედგარ პოს გალაკტიონისეული პორტრეტი, ჩართვით კი ჩართულია მის მიერ მოსინჯული ის რამდენიმე სტრიქონი და ვახტანგ ჯავახიძის კომენტარი.  
 დაერთვის „კომპოზიციის ფილოსოფიის“ პატასა და ჩემული თარგმანი.  
 კრებულში კი, რომელსაც ხსნის „ყორანის“ ინგლისური ორიგინალი, გარდა შემოსხენებული თარგმანებისა, შეტანილია: ვანო ყვავილაშვილის, ვია ბენიძის, ზვიად მუსელიანის, ბათუ დანელიას, კოტე ყუბანიშვილისა და ბაგრატ ბაიდიის (ელ-გუჯა გელენავა) ვერსიები. ერთადერთი, რაც აკლია კრებულს, ანდრო სიორიძის თარგმანია, რომელიც ლადო სულაბერიძის არქივშია დარჩენილი და, ჩემს გარდა, მისი არსებობა აღარავინ უწყობდა.  
 ასეა თუ ისე, ჯერჯერობით ამ შედეგის 21 თარგმანი კი არ მოგვეპოვება ქართულად, არამედ — 22.  
 ნეტა ზვიად გამსახურდიასაც ხომ არ განეზრახა „ყორანის“ თარგმნა?  
 ამერიკელ პოეტთა კრებულში არ შეუტანია ეს ლექსი, მაგრამ ეგებ უფრო შევსებული გამოცემისათვის მოემზადებინა „ყორანის“ საკუთარი ვერსიაც? ისე ამ ლექსს რომ უტრიალებდა, ამის ამოცნობა შეიძლება მისი ორიგინალური სონეტიდან „მიძღვნა“, რომელშიც ათენა პალადას ახსენებს თუ არა, ძალდაუტანებლად ჩნდება ასოციაცია ედგარ პოს შედეგთან და,

მოიხმობს თუ არა ფრაზას იქიდან, წინ-წკლებით მოსავს, როგორც ციტატას: „შავი ყორანი აზის თავზე“. მოგეხსენებათ, ლექსებში უაღრესად იშვიათია სხვათა ციტატები, და მითუფრო საგულისხმოა ეს დამონებება.  
 გარდა მკითხველის ცნობისწადილისა, თვითონვე გაერკვეს ამ ნიმუშთა ღირსება-ნაკლოვანებებში და გამოარჩიოს მისთვის ყველაზე საყვარელი ვერსია თუ ვერსიები, მასალა, რაც ამ გარეკანშია მოქცეული, უხვი საზრდოა მკვლევართათვის სხვადასხვა კუთხით შესასწავლი და გასაზრებელი — დაინეროს მონოგრაფია ან სულაც სადისერტაციო ნაშრომი ამ თემაზე: „ყორანის“ ქართული თარგმანები (ეთერ მგალობლიშვილის საგულისხმო წამოწყება ამ მიმართულებით უთუოდ მოელის შემდგომ გაგრძელებას).

\*\*\*  
 ედგარ პოს „კომპოზიციის ფილოსოფია“ საკუთარი თავი მაპოვნინაო, — ვინ იცის, როგორი სიხარულით აცხადებდა ხოლმე პოლ ვალერი და, ტომას ელიოტი რომ შესწრებოდა, ალბათ თავს ვერ შეიკავებდა და სახეში შესცინებდა: ედგარ პოს საპოვნელი რა გჭირდა, ინგლისური ენა უკეთესად რომ გცოდნოდა, მაშინ ხომ კარგად გაერკვეოდი მისი აზროვნების ინფანტილურობასა და პრიმიტივიზმში და შენს ორიგინალურსა და ღრმა დაკვირვებებს მას არ მიანერდიო.  
 „ყორანის“ პოეტური ქარგა მართლაც მათემატიკური სიზუსტითა და სიმკაცრით რომ იყოს გაანგარიშებული და ყოველგვარ შთაგონებასა და ინტუიციას მოკლებული, იმის მეთადე შთაბეჭდილებასაც ვერ მოახდენდა მკითხველზე, ახლა რომ ახდენს.  
 არადა, „კომპოზიციის ფილოსოფია“ თავისთავად ესეისტური აზროვნების შედეგური რომ არის?!.  
 რა უყვარდა ამ ედგარ პოს ეს ლიტერატურული თამაში!..

**ლიტერატურული კონკურსი**

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს პოეზიასა და მსოფლიო ხალხთა პოეტურ თარგმანებზე**

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, მეორე კონვერტით — ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი და დევიზი: **(კონვერტზე დაუშვებელია მიეთითოს ავტორის გვარი).**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა და სარედაქციო საბჭოს წევრებისა.

**დანესებული პრემიები**  
 (პოეზიაში)

ერთი სპეციალური პრემია — საქართველოს პირველი ლედის — **სანდრა - ელისაბედ რულოვისაგან;**  
 პირველი პრემია — 1000 ლარი — **ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან;**  
 ორი მეორე პრემია — 500-500 ლარი — საქართველოს პირველი ლედის — **სანდრა-ელისაბედ რულოვისა და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისაგან;**  
 მესამე პრემია — 250 ლარი — **თბილისის სახელმწიფო მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან.**

(თარგმანებში)

პირველი პრემია — 500 ლარი — **საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი-ინტერნაციონალის“ ახალციხის ფილიალისაგან;**  
 მეორე პრემია — 300 ლარი — **სსიპ ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება-კოლეჯისაგან.**

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ 2011 წლის ოქტომბერში — საქართველოს პირველი ლედის სანდრა-ელისაბედ რულოვის პატრონაჟით ჩატარებულ „პოეზიის დღის“ — შოთაობის ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე.  
 საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით, ხელნაწერი არ მიიღება.  
 კონკურსში გამარჯვებული ლექსები გამოქვეყნდება გაზეთ „ლიტერატურული მესხეთში.“  
 საკონკურსო მასალა, **არაუმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა და თარგმანისა,** უნდა გამოიგზავნოს 2011 წლის 30 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის რაიონი, დ.ასპინძა, თამარის ქუჩა 3.  
**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.**  
 ტელ.: 5 99 97 95 24

**ლიტერატურული გაზეთი**

გამომდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახიძე**  
 რედაქტორის მოადგილე **ურა შერაზადიშვილი**  
 ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ყურული**

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com